

ნაშრომი

(1. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2. ახალი ქართლის ცხოვრება (გიორგი ბრწყინვალის დამ გიორგი XI-მდე), 2. თვითონვე გვიწვევენ (შენიშვნები წერილის გამო „ქართული გრამატიკა მ. ჯანაშვილისა“).

ტ ფ ი ლ ი ს ი
სტამბა „ნადეჟდა“ კ. თავართქილაძისა.
1907

საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი „ახალი ქართლის ცხოვრება“

ისტორია იწერება თანახმად საბუთებისა. საბუთები კვალია ოდესმე მცხოვრებ ადამიანების ნამოქმედარისა და ნაფიქრისა. ვისაც სურს შეისწავლოს რომელიმე კითხვა, უნდა შემოიკრიბოს ყველა საბუთები ამ კითხვის შესახებ. მიაქციოს უმთავრესი ყურადღება არა თუ მარტო საბუთების შემოკრებას – ევრისტიკას, არამედ შემოკრებილ საბუთების ღირებასაც. ეს საქმე კი, დღევანდელს ჩვენს ყოფა-მდგომარეობაში, მეტის-მეტად ძნელია, და ამ სიძნელის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენებური სამწერლო საბუთები განბნეულია: ზოგი ლპება მონასტრებ-ეკლესიებში, ზოგი კერძო პირთა და კოლექციონერთა ხელშია, ზოგი სხვა და სხვა მუზეუმებსა და წიგნთსაცავებშია, ზოგი თვით საქართველოს გარეთ არის – მოსკოვს, პეტერბურდს, ლონდონს, პარიჟს, იტალიას, ათონს, იერუსალიმს, სინას და სხვ. ამას გარდა ჩვენ არა თუ არა გვაქვს აგრედ-წოდებული სამეცნიერო სახელმძღვანელოები (manuels scientifiques) – ისტორიული, ლინგვისტიური და სხვა, არამედ არც ხეირიანი კატალოგები გვაბადია. ცაგარელის, მარრის, ხახანაშვილის, თაყაიშვილის, ჟორდანას, კარიჭაშვილის და სხვ. შვენიერი კატალოგებიც ყველა არსებულ სამწერლო საუნჯეთა სიას არ შეიცავენ, არ არის საერთო კატალოგი ქართულ სამწერლო და ნივთიერ (სახუროთ-მოდვრო, საქანდაკო, სამხატვრო) საბუთებისა და ნაშთებისა. რა გვაქვს დღეს, არ ვიცით, რა გვექნება ხვალ, არ ვუწყით. მხოლოდ შემთხვევით ჩნდება ისეთი საუნჯე, ვით ეს ჩვენი „ახალი

და. რამდენია ამისთანა „უჩინარი“ და ამაზედაც უკეთესი სა- ისტორიო საბუთი, მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის. ესრე- თი უცნობობა აიხსნება ქართველი ერის მიერ თვისი საეროვ- ნო ნაშთების თითქმის უგულვებელ ყოფით. სხვაგან ამგვარ ნაშთების შემოსაკრებად ანუ მარტო ასაწერად იმეტებენ მილიო- ნებს, იმსახურებენ მცოდნე მწიგნობრებს, სახელოვან ბიბლიო- თეკრებს, ჩვენში კი, საცა სამწიგნობრო ნაშთების ზღვა-ოკვა- ნეა, ამ საქმეს სათანადო ყურადღებით არ ვეპყრობით. დღი- თი დღე იმუსრება ეპიგრაფიკა, უჩინარი ხდება მრავალი ძვირ- ფასი ნაშთი, მეწყერი იტანს არა ერთ საუნჯეს, რომელიმე ორფეხა სვაგი ითვისებს და ცხრა კლიტულში ინახავს საე- როვნო ძეგლს... სახელოვანი მეცნიერი ლანგლუა და მისი ამხანაგი სენობისი აღნიშნავენ იმას, თუ საფრანგეთის რევო- ლიუციამ რა სამსახური გაუწია ისტორიულ კვლევა-ძიების საქმეს: 1789 წლის რევოლიუციამ და მაგვარივე მოძრაობამ სხვა ქვეყნებში კერძო პირთ სამწიგნობრო და საარქეოლო- გიო ნაშთები საეროვნო კუთვნილებად გამოაცხადა, სახელმწი- ფო სალაროში შემოკპრიბა და მით შეძლება მისცა ყველას ესარგებლნა ამ მამა-პაპათა შენაძენით. და არც ეს იკმარა: 1790 წელს საკანონმდებლო კრებამ სახელმწიფოს კვლავ გა- დასცა აუარებელი რიცხვი ისტორიულ საბუთთა სალარომ ბისა, რომელნიც მანამდის გაბნეულნი იყვნენ აქა-იქ და რო- მელთა კარები მანამდე სწავლულთათვის დახშული იყო. ამისთანა ზრუნვამ კეთილი ნაყოფი გამოიღო და პარიჟში დაწესდა „პარიჟის ნაციონალური არქივი“, დღეს ლონდონის „ბრიტანიის მუზეუმი“ ხომ ერთი უუმდიდრეს დაწესებულებათა- განია მთელს მსოფლიოში. ამას გარდა, სხვა და სხვა ქვეყნის მთავრობამ გადასდო დიდძალი ფული არა თუ მარტო ნაციონა- ლურ ბიბლიოთეკების და სალაროების მოსაწყობად, გასამ- დიდრებლად და გასაბრწყინებლად, არამედ შემოსაკრე- ბადაც ყველა ცნობებისა თავიანთ სამშობლოს შესახებ. ამის- თანა მოღვაწეობის შედეგია მონუმენტალური „Corpus inscrip-

tionum latinarum”, რომლის შესადგენად ევროპის სამწიგნო- ბროებსა და მუზეუმებში მრავალმა მეცნიერმა იმუშავა თი- თქმის 50 წელიწადი, აგრეთვე „Corpus inscriptionum graeco- rum“, „Corpus scriptorum ecclesiasticorum latinorum“. მთელის საფრანგეთის სამწიგნობროების საზოგადო კატალოგი (Cata- logue général des manuscrits des bibliothèques publiques de France) 1897 წელს უკვე მე 50 ტომს ითვლიდა. გერმა-ე ნიაში რა ერთი ხანია იღვწის საზოგადოება „Monumenta Germania“ histo rica“. საფრანგეთში დაარსეს თვით ხელ- ნაწერების შესასწავლი უმაღლესი სასწავლებელი, აგრედ-

წოდებული „Ecole des chartes“. ჩვენში სად არის ყველა ეს! აქ ყოველ შეხვედრილ ხელნაწერს ვენდობით, როგორც უჭემმარიტეს ფაქტს, საბუთს! მეტიმეტ ნდობას არა ერთგზის შეუყვანივართ შეცდომაში ჩვენ თვითონ! თითო-ორო-ლას გარდა, ჩვენში არავინ ფიქრობს ამ საბუთების ავ-კარგის გაგებას, რიგიანად შესწავლას. ვინ დასწერა? როდის დასწერა? როგორ დასწერა? გადამწერმა ხომ არ გარყვნა? რა დროს ეკუთვნის ნაშთის ენა? ყველა ესეთი კითხვები ჩვენში ჯერ-ჯერობით რჩება უპასუხოდ. ხელნაწერში სწერია, მამასადამე, მართალია! ორიოდე მაგალითი.

ლარაძე გვეფიცება, „დილარიანი" მე მეკუთვნისო. მაგრამ „დილარიანის“ ერთ ანტონი კათალიკოზის დროს არავინ სწერდა და არც ეს ენა ჰგავს ლარაძის საკუთარ ნაწერების ენას. ცხადია, ავტორს უწინდელ დროის წიგნის მითვისებით მხოლოდ თავის სახელის განდიდება სდომებია.

რუის-ურბნისის „მეგლისწერის“ ერთი მუხლი შეეხება ჯვარწერის წესს. ეს წესი ნებას რთავს სანეფოსა და საპატარძლოს ჯვარი გადიწერონ, თუნდაც ამ ჯვარწერის დროს იგინი ერთმანეთისაგან დაშორებით ცხოვრობდნენ, მაგალ., ერთი ტფილისს, მეორე ქუთაისს; ამისთვის საჭიროა მხოლოდ ჯვრისწერის დღისთვის ერთმანეთს მიუვლინონ თავთავიანთი სანდო კაცნი, მეჯვარეები, რომელთაგან ერთი –

– 6 –

სანეფოს მეჯვარე – ჯვრისწერის დროს დგება პატარძლის გვერდით ნეფის მაგიერ, ხოლო მეორე – საპატარძლოს მეჯვარე – ნეფის გვერდით პატარძლის მაგიერ.

აქ აღნიშნული ჯვრისწერის წეს-კანონი ერთ „უმაღლეს სწავლა მიღებულს“ მოეჩვენა მამაკაცის მიერ მამაკაცის ცოლად შერთვის კანონად! ჩვენც რომ გვქონოდა „Ecole des chartes“-თანა სასწავლებელი, ანდა ჩვენს რომელსამე სასწავლებელშიაც რომ რიგიანად შეისწავლებოდეს ქართული ენა და მწერლობა, უეჭველია, „მამაკაცის მიერ მამაკაცის ცოლად შერთვის კანონი“ არავის მოეჩვენებოდა იმ ძეგლში, რომელიც დასწერა მთელის საქართველოს უმაღლეს სამღვდელოებამ და რომელიც დაამტკიცა საქართველოს უდიდებულეს მეფემ, დავით აღმაშენებელმა.

ამ საზოგადო მოსაზრებებიდამ ახლა რომ გადავიდეთ ჩვენს საეროვნო მატთანე „ქართლის ცხოვრებაზე“, დავინახავთ, რომ არც აქ არის გადაწყვეტილი კითხვა, თუ ვისი შედგენილ-შემუშავებულია ეს მატთანე, მართლაცა-და ვახტანგ სჯულმდებელისა, მის მიერ მოწოდებულ კომისიისა, თუ სრულიად სხვა დროს და სხვა პირთა მიერ.

ჩვენ ჩვენს წერილში „ქართველთა მატთანე“ „ქართლის“ ცხოვრების“ შინაგან და გარეგან თვისებათა გარჩევით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს ძეგლი ვახტანგ მეფის ანუ მის კომისიის შემუშავებულ-შედგენილი არ იქნებოდაო. ახლა, გამოჩნდა-რა „ქართ. ცხოვრების“ სწორეთ ის ვარიანტი, რომე-

ლიც, ვახუშტის სიტყვით, შეუდგენიათ ვახტანგ VI-ის ბრძანებით, შეძლება გვეძლევა უფრო მეტის სიმტკიცით გამოვთქვათ ჩვენი აზრი შესახებ იმისა, რომ ვახტანგსა და მის კომისიას ამ ვარიანტს გარდა არა შეუდგენიათ-რა და ეს მათი შედგენილიც უსწორ-მასწორო გამომდგარა და გაუქმებულა ვახუშტის შრომის შემდეგ.

მართლაცა-და, თუ უმთავრესი ჩვენი მატიაზე „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგის ანუ მის მიერ მოწვეულ კომისიისაგან

– 7 –

შედგენილ-შემუშავებულ-აღწერინებული ყოფილიყო, ამ მატიაზის ყველა ნაწილების ენა ერთნაირი იქნებოდა და მსგავსი იმ ენისა, რომლითაც სწერდნენ თვით ვახტანგ VI, მისი შვილი ვახუშტი და ამათ დროის მწერლები. ნამდვილად კი ჩვენ რას ვხედავთ? ქართ. ცხოვრების პირველი ნაწილის ენა უფრო კლასიკურ დროის მწერლების ენაა, მეორე ნაწილისა – ახალი დროისა, ვახტანგ-ანტონი II-ის ეპოქისა.

ენის მხრივ, თითქმის ერთნაირი წყლისა არის ქრონიკები თანამედროვეთა ვახუშტის, ფარსადან გორგიჯანიძის, პაპუნა ორბელიანის, სეხნია ჩხეიძის, ომან მდივანბეგის. სულ სხვაა ენა ქართლის ცხოვრების პირველის ნაწილისა (დასაბამითგან 1469 წლამდე). ეს ნაწილიც თუმცა სხვადასხვა ავქსონების მიერ შეთხზულ ქრონიკების მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ მისი ენა ერთნაირი არ არის, რადგან ქრონიკების ავტორები თანამედროვენი კი არ ყოფილან, როგორც ავტორები „ქართ. ცხოვრების“ მეორე ნაწილისა, არამედ სხვადასხვა დროისა და ეპოქისა (ორივე ნაწილის ენის შედარება იხ. ჩვენს შრომაში „ქართველთა მატიაზე“, გვ. 76-91). სიტყვით, ამით ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ, თუ ვახტანგს ან მის „კომისიას“ ხელი ეხლო ძველის „ქართ. ცხოვრებისთვის“, ამ ძეგლის ენა თავიდან ბოლომდის ისე გათანასწორებული იქნებოდა, როგორც გათანასწორებულია აგრედ-წოდებულ მარიამ დედოფლის ვარინტის ენა, იმ ვარიანტისა, რომლის ენა ანიდამ მ-მდე თანასწორად გარყვნილ-დამახინჯებულია.

ამას გარდა, ვახტანგს თუ მართლაც ეზრუნა საეროვნო ძეგლის შესადგენად, ამას არა თუ თვითონ, მის დროის კაცნიც აღნიშნავდნენ ცხადად და ყველას გასაგებად. არსებობს ეპიტაფია, რომელშიაც ჩამოთვლილია ვახტანგის ყველა ნამოქმედარი, ისეთი მცირე მნიშვნელოვანიც კი, ვით ძეგლირმეზზე ნადირობა, თევზების ჭერა, რუის გამოყვანა და კრინტი არ დაძრულა მის მიერ ქართლის ცხოვრების შედგენისა, შემოკრებისა თუ შესწორების შესახებ. თუ მას ამ საქ-

– 8 –

მეში რაიმე მონაწილეობა მიეღო, ეპიტაფიაში, რომელიც ამავე მეფის პირით დაწერილია დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპიტაფიების მიბაძვით, უეჭველად აღნიშნული

იქნებოდა. ამ კითხვას ნათელს ჰფენს ჩვენი „ახალი ქართლის ცხოვრება“. ეს სწორედ ის მატიანეა, რომლის შესახებ თვით ვახტანგის შვილი ვახუშტი ამბობს:

„ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძის მეფის ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ, განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით აღარა განუხილავს ვითარება მისი.

„ჩვენი ესე ქმნული და აღწერილი ყოველნი ქორონიკონითა ქმნულ არიან, რომელნი დღესაც იპოების და იხილვების მეძიებელისაგან, და ვითარცა გვიხილავს, ეგრეთცა ჩაგვირთავს ქრისტეს აქეთი და ქართული, რომელი არს ხუთასიანი (ესე იგი 532 წელი – კვინკლოსი) ბრწყინვალის გიორგიდამ ვიდრე ქრისტესა ჩლმე-მდე.

„ხოლო უკეთუ უმჯობესი და უჭემმარიტესი ჰპოვოს ვინმე გონიერმან და განიხილოს ესეცა და იგიცა და უკეთესად აღუჩნდეს, არა არს ქმნილი ესე ჩვენი დამაყენებელი უმჯობესისა თქვენისა. გარნა ისმინე და გულისხმავად აღმოჩენა, უწყებულებანი და შემსგზავსებულად მისა ჯერ იყავნ ქმნულნი თქვენნი. ხოლო ჩვენი შრომა ესე ამისთვის იყო: ვინადგან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესეოდენი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორეთ და განვამართლეთ მოწმობითა ზეით აღქმულითა, რათა არავინ თქვას მხილველმან ამისმან შეურაცხება რადმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრეთ, ვითარცა აღვწერეთ: ვინათგან ნათესაობის ქორონიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეცთომილ არს“ (გვ. 10).

ვახუშტის აზრი ცხადია. მეფეს განზრახვა ჰქონდა გიორგი ბრწყინვალის შემდგომ დროის ცხოვრება-ქორონიკონები გაეწყობოთ და გააწყეს კიდევაც მის სახელით. ყალბის

– 9 –

მქნელს ვახუშტის სიტყვები ვერ გაუგია და ძველის მატიანისთვის ჩაუკოსებია სიტყვები:

„პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან „ქართლის ცხოვრება“ გარყვნილიყო: რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე – ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულიყო; ხოლო მეხუთემან(?) ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვანის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ ქართლის ცხოვრებები ჰოვნა და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს და რომელი გარყვნილ იყო, განმართეს, და სხვაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოახვნეს, და ესრეთ აღაწერინეს.“

ეს ყალბი ჩანამატი დაწერილია არა მატიანის გადაძწერის ხელით და არც იმ ქაღალდზე, რომელზედაც დაწერილია თვით მატიანე .

აქ საჭიროა მოვიგონოთ ვახუშტის სიტყვები შესახებ

მის წყაროებისაც. იგი ამ წყაროებ შორის იხსენებს „ძველთა და ახალთა ქართლის ცხოვრებათ“ (გვერ. 237) და დასძენს, რომ მას ძველი დედანი არ გაურყვნია, არ გადუჩქმალავს. რომ თვისი შრომა უმთავრესად ამ დედანზე დაუმყარებია და ვისაც სურს, შეუძლია მისი საკუთარი შრომა შეადაროს ძველს ქართლის ცხოვრებებს, ვინაითგან ამ „მატიანის დედანი შეურყეველად ჰგის არა ერთი, არამედ მრავალი (გვ. 13).

ამას ამბობს ვახუშტი 1745 წელს, როდესაც დაასრულა თვისი შრომა. ვახტანგ VI-ის სახელით აღწერილი „ქართლის ცხოვრება“ კი გამოვიდა არა უადრეს 1709 წლისა, როდესაც ვახუშტი უკვე 13 წლის ჭაბუკი იყო. მიუხედავად ამისა ზოგნი დღესაც ირწმუნებიან, რომ ზემორე აღნიშნული, დიდს მატიანეში შეტანილი ჩანამატი ყალბი არ არისო, ვახუშტი რომ ლაპარაკობს ძველ და ახალ ქართლის ცხოვრებაზე, იგულისხმებს მხოლოდ ვახტანგისა თუ მის კომისიის

– 10 –

ხელით გამოცემულ ვარიანტებსო და ვახტანგის წინა დროის ქართლის ცხოვრებები კი მან არ იცისო და არც უნახავსო. მკითხველმა თვითონ განსაჯოს, როდენად მართალი უნდა იყოს ესეთი მტკიცება ვახუშტის მოწმობის შემდეგ მრავალ ძველ და ახალ „ქართლისცხოვრებების“ შესახებ. ჩვენ კი ვიტყვით, რომ 1745 წლისთვის ახალი ქართლის ცხოვრებები იქნებოდა მხოლოდ ვახუშტ-ვახტანგის დროისა და ძველი კი – მათ გაჩენა-დაბადებამდე შედგენილი უწინარეს დროითგანვე ნაწილ ნაწილად და მერე შეერთებული ცალკე კრებულად. 36 წელიწადი (1709-დგან 1745 წლამდე) ისეთი მცირე დროსა, რომ მასში ერთად ორი ცნება – ძველი (древний) და ახალი (новый) ვერ მოთავსდება!

„დიდმოურავიანის“ ავტორი იოსებ თბილელი, რომელიც ცხოვრებდა 1688 წლამდე, სწერს: „ქართლის ცხოვრება“ სხვათა სთქვეს...“ (გვ. 85). კიდევ (გვ. 1): მეფესა „ქართლის ცხოვრება“ ებრძანა გალექსულობით“. ეს „სხვათა ნათქვამი „ქართლის ცხოვრება“ არ შეიძლებოდა, რომ ვახუშტს ხელში არ ჰქონოდა!

ახლა ვიკითხოთ, თუ რა იყო ის ახალი ქართლ. ცხოვრება, რომელიც შეადგინეს ვახტანგ მეფის ბრძანებით და მის სახელით.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი თვითონვე აღნიშნავს თავის წყაროებს. უმთავრესი მათგან არის ძველი ქართლის ცხოვრება, ძველნი გუჯარნი, სპარსთ და სომეხთ ცხოვრებანი, ქორონიკონები, ხოლო „მეფე როსტომის აქათი თვით თვალით მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აგვიწერიაო“.

ყველა აქ მოხსენებული წყაროები რომ საიმედო ღირსებისა ყოფილიყო და რიგიანად გამოეყენებინა ავტორს, ხომ იმდენს წინაუკმო ცნობას არ აღმოაჩენდა მასში ვახუშტი და აღარც საჭირო შეიქნებოდა დაეწერა ამას თავისი სა-

„საქართველოს ისტორიას“ გაუქმებია „ახალი ქართლის ცხოვრება“ და, მამასადაძე, მასთან ერთად უნდა გაუქმებულიყო თვით ვახტანგ VI-ის ინიციატავა თუ მონაწილეობაც დიდ „ქართლის ცხოვრების“ აღწერასა, აღწერინებასა, შედგენასა თუ შემატებაში. ვახუშტის სიტყვაც ემოწმება ამას: „აღუწერიათ ცხოვრებაცა ვახტანგის სახელით, რომელი არა საგონებელ არს მის მიერა, თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი. ეს „ცხოვრება“ რადგან ვახტანგის სახელით წერებულები და შეიცავდა მრავალ წინააღმდეგობას და უსწორებლობას და რომ მის მხილველს არ გაეკიცხა ვახტანგი, ჩვენ განვასწორეთ და განვამართლეთ ჩვენის საკუთარის შრომით და მეფის განზრახვაც, ვგონებ, ესრეთ იყო, ვით აღვსწერეთ.

აქ ორაზროვნება აღარ არის: მამის სახელით ვიდაცას შეუდგენია ცთომილებით სავსე ქართ. ცხოვრება, შვილს, რომ საყვედურისა და შეურაცხყოფისაგან ეხსნა მამა, რომლის სახელით გამოუსადეგარი და გასაკიცხავი წიგნი დაეწერათ, – შეუდგენია ახალი შრომა – ა) შემოკლებული „ქართლის ცხოვრება“ დასაბამიდან 1469 წლამდე, ბ) ცხოვრება და ქმნულება მეფეთა 1469 წლიდან და გ) საქართველოს დეოღრაფიული აღწერა. ვახუშტის ჩხრეკა-ძიების მეოხებით „ახალ ქართლ. ცხოვრების“ გაუქმების შემდეგ, ჩვენ ნება აღარა გვაქვს, ამ გაუქმებულ წიგნს გარდა, ვახტანგს ანუ მის „კომისიას მივათვალოთ კიდევ მრავალი ძველი ქართ. ცხოვრების შედგენა, შესწორება თუ რედაქცია. ან და სად არის ამ „კომისიის“ მონაღვაწი? ვახტანგს გარეშემო მყოფ კაცების ნამოქმედარი ჩვენ დაწვრილებით ვიცით: ფარსადან გორგიჯანიძემ (ფარსადან გიორგი ჯანაშვილმა) დასწერა ისტორია როსტომ მეფისა, გიორგი XI-ისა და სხ. და გარდაიცვალა 1703 წელს. სეხნია ჩხეიძე იყო თანამედროვე იმავე გიორგი მეფისა და დასწერა ისტორია საქართველოსი 1653 წლიდან 1737 წლამდე. ამის შემდეგი დროის ისტორია განაგრძო პა-

პუნა ორბელიანმა. დავით გურამიშვილის მატთანე დაიწერა სამშობლოს გარეთად, ვახუშტიმ იმოღვაწა მოსკოვში, პრესნას. სხვა ვინ იყო ისეთი, რომ ეტვირთნა ისეთი მძიმე საქმე, ვით დიდი „ქართ. ცხოვრების“ რედაქცია?! სრულიად არავინ! ვინც იკისრა, დაგვიტოვა სწორეთ ეს „ახალი ქართლის ცხოვრება“, რომელსაც იწუნებს ვახუშტი „უსწორებლობისა“ გამო.

მართალია, ძველი ქართული მატთანეც ურედაქციოდ არდარჩენილა, მაგრამ ამ რედაქტორებად შეიძლება ყოფილიყვნენ ძველი დროისვე შემმუშავებელნი, გადამწერნი და

ავტორნი (იხ. ჩვენი „ქართველთა მატთანე“ გვ. 81 და სხ.) და შემდეგი დროის კაცნიც, მაგალ. თუნდ ის უცნობი, 1779 წელს მცხოვრები კრიტიკოსი, რომელიც თავის შენიშვნებს ურთავს თვით ვახუშტის შრომაშიაც (იხ. საქ. გეოგრაფ. გვ. იე) და ჩვენს „ახალს ქართლის ცხოვრებაშიაც“ (იხ. ტექსტშივე) და აქაც და იქაც უსაყვედურებს ვახუშტის იმისთვის, რომ „თავის სახლის სირცხვილები არ დაუფარავს“... ისტორიის წერის დროს!

„ახალი ქართლის ცხოვრება“ შევიძინეთ მხცოვან მწიგნობრის გივი დავითისძის მაისურაძისაგან 21 მაისს 1906 წელს. ხელნაწერს თავბოლო აკლია, მასში თავდაპირველად დაახლოვებით უნდა ყოფილიყო 600-მდე ფურცელი, გადარჩენილა კი მხოლოდ 412; უფრო მეტად დაზიანებულა წიგნის დასაწყისი და დასასრული. მთელი წიგნი გადაწერილია მეტად ლამაზ მხედრულით, მაგრამ სამნაირ ხელით: 376 ფურცლამდე უწერია ერთ კაცს, 410 ფურცლამდე მეორეს და დანაშთენი ორი ფურცელი – მესამეს. ყველგან კი კაბადონზე დატეულია 16 სტრიქონი. ზოგან სახელები და სათაურები შესრულებულია წითელის მელნით.

პირველის გადამწერის ხელით შესრულებულია „ქართლის ცხოვრების“ 1-ლი ნაწილი – დასაბამიდან გიორგი ბრწყინვალის ისტორიის დასასრულამდე, მეორის ხელით გადაწერილი თავდება იმერეთის მეფის ბაგრატის მიერ საათაბაგოს

– 13 –

დაპყრობით 1543 წელს, ხოლო მესამის გადაწერილი თავდება გიორგი XI-ის წასვლით ისპანს 1696 წელს. ამ ორ ქორონიკონს შუა თითქმის 100 წლის ისტორია დაკარგულა.

1-ლი ნაწილი მთლად და მეორე ნაწილის დასაწყისი 1469 წლამდე არის იგივე ძველი „ქართლის ცხოვრება“, მხოლოდ აქა-იქ ტექსტ-გამოშვებით შემოკლებული და ზოგანაც ახალის ცნობებით შევსებული. დანარჩენი ნაწილი ავტორს შეუდგენია დამოუკიდებლად, ზემო აღნიშნულ წყაროების შემწეობით.

მეტად დაზიანებულა წიგნის დასაწყისი. მისგან დაშთენილა რამდენიმე ფურცელი ფარნავაზ და საურმაგ მეფეების ცხოვრებიდამ. და ამას მიჰყვება ვახტანგ გორგასლის ცხოვრება.

1-ლ ნაწილში, გამოტოვებულ ადგილებს გარდა, კიდევ შეინიშნება შემდეგი: ა) თავთავის ადგილას ავტორი სტოვებს თეთრს ქალაქს ჩასაწერად თუ შესავსებად შუშანიკის ცხოვრებისა, დავით და კოსტანტინესი, ეფთიმე მთარგმნელისა, გიორგი მთაწმინდელისა და სხ., ბ) დავით აღმაშენებლის ძის დიმიტრის ცხოვრებაში სიტყვების „და ააშენა სამეფოდ მისი“ (დაბეჭდ. ქართ. ცხ., გვ. 263., 7 სტრიქ. ქვემოდგან) შემდეგ ჩამატებულია: „ხოლო მასვე ქორონიკონს ტმე მიუხდა დმანის, წარულო ციხე და ამოსწყვიტნა ყარასულულიანი.

ამაზედან მოუხდა სალდუხ ყაენი ანის ქალაქსა და მოადგა და აქად დიმიტრი მეფე მივიდა, შეიბნენ და ნებითა ღვთისათა გაემარჯვა მეფეს დიმიტრის და მოსწყვიტნა იგინი ხოლო“ (დაბეჭდ. გვ. 264 სტრიქ. 7): „და იკურთხა სქემითა, დაყო წელიწადი ერთი და აღესრულა ქორონიკონს ტო. და დაჯდა მეფედ ძე მისი დავით... ამან დავით იმეფა ქართლსა შინა წელიწადი ერთი ნებიერად და უშფოთველად. ჰყუნდა შვილი ძე ერთი, რომელსა ეწოდებოდა სახელად დიმიტრი. და შემდგომად მისსა მოკუდა მეფე დავით წლის ერთის მეფე ქმნუ-

– 14 –

ლი“. (დაბეჭ. გვ. 262): „აღესრულა დავით აღმაშენებელი ოდეს ქორონიკონი იყო ტმე, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი სამეოცდა ერთი, ხოლო მეფობდა ოცდა თექვსმეტ წელი“. გ) თამარ მეფის ცხოვრების დასაწყისი (დაბეჭდ. გვ. 274, სტ. 9): „ხოლო შემდგომად მეორესა წელსა...“*) არ არის (დაბეჭ. გვ. 216, სტრ. 22): „და გამოვიდეს მიერ კერძო ტაღმანი მეფისა რუსნი“. „ახალ ქ. ცხოვრებაში“ არ არის დაბეჭდილის 440 გვერდიდამ 443 გვერდამდე და იქვე შენიშნულია (ფურც. 371): „აქ დედნებს ფურცელი აკლდა“.

წვრიმალი განსხვავება კიდევ ბევრია. საჭირო იყო ხელნაწერი სრულად დაბეჭდილიყო, მაგრამ საფასის უქონლობის გამო ჩვენ ვბეჭდავთ მხოლოდ მეორე ნაწილს გიორგი ბრწყინვალის ისტორიის მიყოლებით.

მ. ჯანაშვილი.

*) თამარ მეფის ცხოვრების დასაწყისად ნაჩვენებია 1156 წელიწადი. აქ მერმენდელ ხელით მიწერილია: „წელს რომ ჩლოთ (=1779) წელიწადია, გავიდა ექვსას და ოცდასამი წელიწადი“. მართლაც 1779-1156=623. ამავე ხელით მოყვანილია შენიშვნები (იხ. ტექსტში), ცნობილი ქორონიკონები და ბაგრატის ცხოვრების წინ ჩამატებული სათაურად: „ცხოვრება მეფის ბაგრატ ბაგრატოვანისა“.

ახალი ქართლის ცხოვრება

ე. გი-
ორ-
გი.
445
(ტ. 1)

აქა დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგიმ. რომელი აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექას: ხოლო ესე გიორგი იგი არს რომელი ამა მეფის ვახტანგს უწინ მისცა ყაენმა მეფობამ: ძე დიმიტრი თავდადებულისა. და ძმად დავით მეფისა და ვახტანგ მეფისა: მესამეოც და შვიდი ბაგრატონი.

ხოლო ესე გიორგი წარავლინა ბექამან ჩოფანს თანა და მან მოიყუანა ყაენს წინაშე*:)ხოლო მან პატივითა შეიწყნარა და წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა: ამან ყაენმან წარმოავლინა მოციქული და სთხოვა შვილი რათა მეფე ყოს: მაშინ მცირე იყო გიორგი. იგიცა მოსცეს და წარმოგზავნეს ურდოსა და ყაენმან მოსცა მეფობაჲ და ტფილისი. და უჩინა საზღვარად და საქმის მოურავად დიდი გიორგი და მივიდეს ტფილისსა:

და ამას წელსა მიიცივალა მთავარი სამცხისა ბექაჲ. კაცი წარმატებული ყოველსა შინა სიკეთე აღმატებული საღვთო საკაცობითა შინა საქმეთა და უმეტეს სამართლის მოქმედებითა, ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებლობითა სოფლისა კეთილად მორწმუნებითა და გლახაკთა და ქურივ ობოლთ უზომოთი მიცემითა:

*) აქ აშიაზე 1779 წელს ვიდაცას მიუწერია: „ამას ქვემო ამ წიგნში ყველა სწორედ არ უწერიათ. ღმერთმან მიუტეოს ეგნატაშვილს ბერს იმდენი შურით და მტრობით სიცრუე. მაგრა წერილის დაგდება მტრობით კეთილი და უმჯობესთაგანი საქმე არ არის“.

– 16 –

ხოლო საყუარელი მეუღლე მისი იყო გამცემელ ეპისკოპოზთა მონაზონთა და ყოვლისა სამღრდელოთა და საეკლესიოსა სოფლისა: ესოდენ რომელ სადამე ესმინის კეთილი და მოღვაწე და მეცნიერი ეპისკოპოზი გინა მონაზონი წინაშე მისსა მოუწოდოს და მოიყუანის და მრავლითა ნიჭითა და პატივითა იმყოფის. და სავსე იყო სახლი მისი მონაზონითა და ხუცითა. ამას თანა აქუნდა შეწყნარებულობა ობოლქურივთა და დავრდომილთა: ხოლო სახლსა მისსა არა დააკლდებოდა სამსამი ლოცვა. და ამისთუისცა წარუმართა ღმერთმან დღენი ცხოვრებისა მისისანი: მტერთა ძლევასა მშვიდობასა და დაწყნარებასა: მიიცივალა ვითარ სამეოც და ექუსისა წლისა და დაუტევა გლოვა და მწუხარებაჲ უზომო მკვიდრთა სამცხისათა: და დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა უხუცესმან სარგის და შედეგმან ყუარყუარე და უმრწემესმან შალვამ:

ხოლო აღესრულა მესამესა წელსა მეფე დავით გარჯილი სენთა მწარეთა მიერ და დაფლეს სამარხითა მეფეთასა. და დაუტევეს ნაცვლად მისად ძეჲ მისი მცირე გიორგი ორ წელს მეფე ქმნული.

შემდგომად ამისსა ინება ყაენმან ამხედრება ქუეყანასა ზედა შამისასა ციხესა რომელსა ეწოდება რაბაშანი რომელი აქუნდა სულტანსა მისრელსა: წარვიდა ყოვლითა ძალითა თვისითა და თანა წარიტანა ლაშქარი დიდი და გარე მოადგა რაბაშანს ხუთ თუე და ვერა ავნო რა და ამისთუის აიყარა და წარვიდა: და ჰყუა ექუსი არწივი დამართული სხვათა მფრინველთა თანა და ავაზათა აქეთ ესოდენ დიდ იყო ძალი მისი: მოვიდა ყაენი შინა და მიერიდგან არლარა სადა განილაშქრა: დღეთა მისთა იყოფოდა მშვიდობით და ნებიერად ათ ცამეტ

წელ დამპყრობელი ყაენობისა:

ხოლო ამან ულჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ: და ზაალ მელიქი ვინმე სპარსი ხვარასნელი და ახრუნჩი მამის ძმად ჩოფანისა თანა წარმოატანა: რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა

– 17 –

გიორგისასა: და აჩინეს ამათ მხარგმელი შანშე და ზაქარია ავაგის ასულის ხვაშაქის ნაშობი: მივიდეს ჯავახეთს მიერ კოხტის თავსა და აწვევდეს სარგის და ყუარყუარეს გამო-სვლად და არად ინებეს გამოსვლა.

ხოლო ამათ ჟამთა შინა იქმნა განდგომილება საბერძნეთს და განუდგეს ულჯათ სულტანსა ფარმანის შვილნი და ქალაქი დიდისა კონისა: მაშინ წარავლინა ყაენმან ჩოფან სპითა მისითა საბერძნეთს და თანა წარატანა ქართველნი და წარყუა გიორ-გიცა ჩოფანს: ხოლო გოგაზლა მალუქ შანშე და ზაქარია არა წარ-ყუეს თანა და აიყარნეს და ტფილის შევიდეს: და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს და ვერ წინა აღუდგეს ფარმა-ნიანნი ლაშქართა მათ ერთ წელ. და ყოველნი მას შინა მყოფნი ქართველნი მოსცა მეფესა გიორგის. იახლნეს ჯავახ-ნი და თორელნი რაოდენ ჰყუეს და სადაცა ილაშქრონ და შეიბნიან ციხეთა ზედა. მუნ მხნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი და მისთანა ყოველნი ქართველნი: და ესრეთ მოიმორჩილნა ყოველნი განდგომილნი და ურჩნი მისნი და მოქცევასა წელიწდისასა მივიდა შინა:

და სთელისა ჟამსა ვითარ მივიდა ჩოფან წინაშე ყაენი-სა და მცირედი დაყო ვითარ თუმცა ერთ და მოკუდა ულ-ჯათ სულტანი და დაუტევა მე მცირე ვითარ შვიდისა წლი-სა სახელით მუსაით: ხოლო იგი მიასუენეს და დაფლეს ქალაქსა მას რომელსა ეწოდების ყორღოლნგი რომელმან აღაშენა და განავრცო უმეტეს თავრეზის და უწოდა სახლად სუდ.

ხოლო ესმა რად მეფესა გიორგის სიკუდილი ყაენისა და მის წილ დადგინება მუსაითისა წარვიდა ურდოსა: და მივიდა რად ურდოსა მეფე გიორგი განიხარა ჩოფან და შეიტკბო სიყვა-რულითა დიდითა ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი სა-ქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი. და შვილნი დავით მეფისანი. და მესხნი შვილნი ბექასნი; და დაიწყო მთიებმან აღმოჰვირვებად. ხოლო მე ენა ვერ მი-ძრავს საკვირველისა და საშინელისა თქმად:..

– 18 –

ამის გიორგი მეფის ცხოვრება რაც არ სწერია: ამისგან კიდევ ვე-რა ვპოეთ: ესოდენ გვეუწყა: ამის გიორგი მეფის ჟამში. ჩინგიზ ყეენთა მტერობა აღუჩნდათ: და წახდენ: და იმერეთს ნარინ დავითის შვილნიც ერთმანეთზედ აღდგენ: და რა დრო დაიცა მეფე გიორგიმ ჰერ კახთა: და სომხითის ერისთავნი რომელიც ჩინგიზთ მიუდგენ: კახეთს ცივზედ მო-აწვივა და გამოსწყუიტა. იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნები-

საებრ ყოველივე საქართველო*)

ჟამამდე *) ღვთივ გვირგვინოსნისა მეფისა გიორგისამდე: ძისა თავდადებულისა მეფისა დიმიტრისამდე, ეწერათ ცხოვრებანი ქართველთანი: ხოლო ძისა მეფისა გიორგისა, მეფისა ბაგრატისა არღარა წერებულყო, ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე: ხოლო ამის ბაგრატისა, და ძისა მისისა კოსტანტინესი დაეწერათ და ვპოეთ ძველთა წიგნთა შინა. და ქვემოთ რიგსა მისა ზედა დაგვიწერია: და ესე ამბავნი მის ზემოთნი, გუჯართა, და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან გამოვიღეთ და აღვწერეთ: ხოლო მეფისა ალექსანდრესა და ძისა მისის მეფისა კოსტანტინესი და შემდგომი ძველთა კაცთა და სპარსთა, და ცხოვრებისა. და ქორანიკონთა და გუჯართაგან აღგვიწერია, ვიდრე მეფისა როსტომისამდე: ხოლო მეფისა როსტომის აქათი, თუით თვალითა მნახველთა და მისთა ომებითა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერია: და რაოდენი საეჭველი იყო უხმარ ვყავით: ხოლო მართალი აღგვიწერია ცხოვრებისა ბაგრატ მეფისითგან:

ჟამსა მას ოდეს განაგებდა ღვთივ გვირგვინოსანი მეფეთ მეფე ბაგრატ: ეპყრა ყოველი საქართველო საბრძანებელსა თუისსა ქუეშე: მას ჟამსა იჯდა კათალიკოზი ელიოზ. კაცი საფერი საქმისა: და ჟამსა მას გამოჩნდა კაცი ერთი თურქეთის ქუეყანასა, სახელით **თემურ**: ხოლო ეწო-

*) ეს 7 სტრიქონი ტექსტის ხელით დაწერილი არ არის.

*) აქედან იწყება მეორე ნაწილის გადაწყვერის ხელი.

დაცა ლანგი და იყო ესე მკვლობელი და სპარსთა ენათაგან ლანგ მკვლობელსა ეწოდების. ამად ეწოდა ლანგ თემურ: და ესე ლანგ თემურ იყო გვართ ჩინციზი: და ამისთუის ეწოდა ჩინციზი. რომე თურქეთისა ქუეყანისა მკვიდროანთა იყოფებოდა ქალი ერთი: და იყო ქალი ესე მრავლისა ერისა და ულუსისა უფროსი: და იქმნა მის ზედა საქმე ესე ვითარი. დაორსულდა დედაკაცი იგი, და არა ესვა ქმარი: და შეუძნდა საქმე ერსა და ულუსსა მისსა, და შეკრბეს სრასა მის დედაკაცისასა; და მიუვლინეს მოციქული და ეს...*) საწუთოსა ამის სოფლისა: და იყო რჯულითა სუნი: წარმოემართა და მოიწია სომხითად. და მოაოხრა სომხითი და ტყუეყო და ჭირი დიდი მოაწია მათზედა, რამეთუ ვრცელად ცხოვრება მათ ცხოვრებასა მათსა წერილ არს: რამეთუ თუისად მიიმძლავრნა იგინი და ყო საბრძანებელსა ქუეშე თუისსა: და წარვიდეს მუნითგან და მიიწივნეს კარსა, დაიპყრნა და მოსრნა ყოველნივე. რამეთუ ვერვის ძალ ედვა წინა აღდგომა მისი სიმრავლისაგან სპათასა: და დაიბანაკა და დაიზამთრა მუნვე: და იყო ზამთარი ფიცხელი; ამას ჟამსა შინა მიერთო. ათაბაგიცა და პატივისცა დიდად ათაბაგსა: და შემდგომად

ზამთრისა წარმოემართა ქართლსა ზედა, რამეთუ ესე იყო წადილი მისი: გარდამოვლო აზოცი და მოაოხრა და იავარყო ყოველივე: ქრისტეს აქათ: **ჩტუგ**: ჩამოვლო თრიალეთი და ვერა აღუდგენ წინა, რომელსა აწ საბარათიანოდ უწოდენ მუნებურნი და იგინიც მოსრნა და მკვიდრნი მის ადგილისანი; და შემუსრნა სიმაგრენი და ციხენი მის ადგილისანი: და ვითარცა ესმა მეფესა ბიგრატს გამაგრდა ციხესა ტფილისისასა: და რა ესმა საქმე ესე ლანგ-თემურს უფროსად განძვინდა: და დაუმძიმდა წინა აღდგომა მეფისა ბაგრატისა: წარვიდა და მოადგა ციხესა ტფილისისასა, უზმანა სპა სპეტთა სპასალარ-

******) დედანში აკლია ერთი ფურცელი (დაბეჭდ. ქართ. ცხ. 452 გვერდი).

– 20 –

თა და მეზრძოლთა მისთა ყოველთავე ბრძოლა ძლიერი: და მრისხანებით მიეტყუნეს ციხესა ტფილისისასა: და გამოვიდა მეფე ბაგრატ და სრულიად ქართველნი, მიეტყუნეს ურთი ერთას და ბრძოდეს ქართველნი ფიცხად: და აქმნა იმიერ და ამიერ ფრიადი. და უფროსად მოსწყედეს სპანი თემურისანი: და ველარა აღიღეს ციხე ტფილისისა; და შემდგომად ამისა მოიპოვა ლანგ თემურ ღონე ესე ვითარი. და ქმნეს ჩელტები რკინისა და იფარეს სპათა მისთა და სიმრავლისაგან ლაშქართასა მიეტყუნეს ციხესა და მძლავრებით შემუსრეს და აღიღეს ციხე და შეიპყრა მეფე ბაგრატ და ყოველივე მყოფი ციხესა მას შინა და თუით დაიპყრა ციხე: და ტყუე ყო მეფე ბაგრატ, ხოლო დაჰპატიჟა ლანგ-თემურ რჯული მაჰმადისა: ხოლო მეფემან არა უსმინა და ჰყუა პატიმრად. მაშინ წარვიდა ლანგ თემურ ყარაიაში ნადირობად, მოინადირეს შეექცეს და დახოცეს მრავალთ და მიერიტგან წარვიდეს ყარაბაღსა და მეფე ბაგრატც თანა წაიყვანეს პატიმარი: და ვითარცა მიიწივა ბარდას დაყო მუნ ჟამი რაოდენიმე: მაშინ ლანგ თემურ ყო ვინმე სარდლათა ერთი მოყმეთა თუისთაგანი რჩეული: და მისცა მას ლაშქარი მრავალი და წარგზავნა შიდა ქართლსა ზედა: რამეთუ თუით ლანგ თემურ არა მისრულიყო შიდა ქართლსა: და უზრძანა შემუსრვა ციხეთა და ქალაქთა: მოსრვა პირითა მახვილისათა ყოველთავე მუნ მკვიდრთა, მამაკაცისა და დედაკაცისა: და ჟამსა მას იყო ქორანიკონი ქრისტეს აქათ: **ჩტუგ**: და მოიწივნეს ლაშქარნი მისნი და იავარყუნეს და მოაოხრეს ყოველივე საქართველო, შემუსრეს და დაარღვიეს წმინდა კათოლიკე ეკლესია მცხეთისა. და მიიწივნეს მუნით ქვაბთახეუსა: და შეიპყრეს მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღვდელნი, დიაკონნი, და მონაზონნი: და შეამწყუდიეს ტაძარსა წმიდისა ქვაბთა ხევისა ღვთისმშობლისასა: და შეუზახნეს ცეცხლი შინაგან ეკლესიისა და დაწვეს რომელიცა იყოფებოდეს ეკლესიასა მას შინა: და ვიდრე

– 21 –

დღეინდელად დღედმდე იხილვების შინაგან იატაკსა ზედან წმიდისა ეკლესიისასა: და დამწვარნი სახენი მათნი დღესაც-ვე ზედან სხენან: და აღიყარნეს მუნითგან და წარვიდენ ზე-და და სადაცა ვინ იხილეს კაცნი და შენობა მოსრეს და ალაოხრეს ყოველივე: და მიიწივნეს რუისა და მოიცვეს იგი-ცა და იავარ ყუეს: და ეკლესია წმიდისა ღვთაებისა ძირითურთ აღმოფხურეს და მოაოხრეს ყოველივე ქუეყანა: და წარმოვიდეს მუნითგან და ჩამოვლეს კახეთი: და იგიცა ალაოხრეს: და დაწვეს და წარვიდეს და იყო მუნ ჟამ რაოდენმე: ხოლო ვე მკვიდრნი მის ადგილისანი, დიდებულნი და მცირენი: კავ-კასიანი და ლეკნი: შირვანელნი და გილან მაზანდარელნი: და თანა ჰყუა მეფე ბაგრატ ტყუედ პყრობილი და კვალად ღონე ჰყოფდა ლანგ თემურ მიქცევად მეფისა ბაგრატისა რჯულსა ზედა მაჰმადისასა ლიქნითა და მრავალთა ნიჭთა ქადებითა: მაშინ გულისხმა ჰყო წინა აღრჩევით მეფემან ბაგრატ და მოიხელოვნა განძრახვა ესე ვითარი და მიჰყუა ნებასა მათსა: არა გულითა ჰქმმარიტითა არამედ საქმისა ამის-თუის რომელი წინა მდებარემან სიტყუამან- გაუწყოს: და მორ-ჩილ ექმნა ლანგ თემურს და მიიქცა რჯულსა ზედა მაჰმადი-სასა: მაშინ ლანგ თემურ განიხარა სახარულითა დიდითა და შეიტკბო მეფე ბაგრატ: და პატევსცა დიდად და უძლუნა საბოძვარი და შესამოსელი სახელმწიფონი საგებელი სახურა-ვი მსგავსი სიდიდისა მათისა: დიდად ითვისა და მრავალსა კე-თილს უყოფდა: მაშინ მრავალთა ქართველთა დაუტევეს რჯული თუისი და მივიდეს რჯულსა ზედა მაჰმადისასა: ხო-ლო მაშინ დიდად მწუხარე იყო მეფე ბაგრატ და იტყოდა გულსა შინა თუისსა, არა ვსცე ძილი თვალთა არცა განსვენე-ბა ხორცთა ჩემთა, ვიდრემდის არა ვიძიო მათ ზედა შური და საქმე ღმერთს მიანდო და უმეტესადლა ზრუნვიდა დატე-ვებისა რჯულისა თუისისათუის: და მიდრეკისა ქართველთა-თუის: მაშინ მოიპოვა ღონე ესე ვითარი ვინადგან დიდად

– 22 –

სარწმუნო უჩნდა ლანგ თემურს და მორჩილობდა სიტყუასა მეფის ბაგრატისასა: და ჰრქუა ლანგ თემურს ვინათგან ვსცან კეთილად სიმტკიცე რჯულისა იმდენისა, აწ მეცა მოქენე ვარ რათამცა სრულიად მორჩილ ვყუნე რჯულისა თქუენისა მკვი-დრნი საქართველოსანი სრულიად, უკეთუ გნებავს მოქცევა მათი სჯულსა თქუენსა ზედა: აწ მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი, და წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა: და მოვ-ხადო კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიულთა, ოსთა, დვალთა, სვანთა, აფხაზთა: და ყოველთავე მუნ მყოფთა: და მე დავარწმუნებ სჯულსა თქუენსა და ვითარცა ესმა ლანგ თემურს განზრახვა ესე მეფისა ბაგრატისა, განიხარა სიხარუ-ლითა დიდითა, და მოსცა საბოძვარი ურიცხვი და სპანი ვითარ თორმეტი ათასი: და სარდალი უჩინა და წარმოავ-ლინა მეფე ბაგრატ საქართველოსა ზედა: ვითარცა მოიწივ-

ნეს კერძოთა და არეთა სიქართველოსათა: მაშინ საიდუმლოდ მიუწერა მეფემან ბაგრატ, ძესა თუისსა გიორგის, ესრეთ: ვითარ-მედ მე მოვალ სპითა ლანგ თემურისათა და თქუნენცა შეი-ყარეთ სპანი საქართველოსანი, და მზირად წინა შეგვემთხვიე-ნით ერთსა სიმაგრესა, და ვიწროთა გზათა ზედა, და მეცა მოვალ თქუნეთანა: და უქმნათ წინა უკანა და მოვსრათ პი-რითა მახვილისათა და ვიძიოთ შური პირველი, რომელ ჰყუეს მათ ჩვენ ზედა: და ყო ეგრე ვითარცა მიუწერა მამამან მის-მან: და შემოიყარა სპანი საქართველოსანი, რჩეულნი, და დაუმზირდა გიორგი ერთსა ვიწროთა გზათა და სიმაგრეთა ზედა: რა მიიწივნეს მეფე ბაგრატ და სპანი ლანგ თემურისანი: მაშინ მიივლტოდა მეფე ბაგრატ ძისა თუისისა თანა და განეწყუნეს წინა უკმო და მიეტევნეს ქართველნი ვითარცა ლომნი: და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მოსრეს და ამოსწყვიტეს სრულიად თათარნი: და მოკუდა კაცი თორმეტი ათასი თათართაგანი და არა რა ევნო სპასთა საქართველოსათა: და იძიეს შური პირველი, და წარვიდა თუისად მეფე ბაგრატ და ძე მისი გი-ორგი გამარჯვებული: და ვითარცა მიიწია ამბავი ესე ლანგთე-

- 23 -

მურისა, დიდად შეუძნდა და მწუხარე იყო საქმისა ამისათვის: და დაიბანაკა მუნვე ზამთარსა მას: და ვითარცა მოიწივა თვე მარ-ტისა, შემოიკრიბა სიმრავლე ლანგ თემურ და წარმოემართა კულ-ლად ქართლად, განძვინებული ფრიად: და დაუტევა შა-შაქიში, და მოიწივა ბარდას: და მუნ დაუტეუა ბარგი სამმი-მარი რომელი არა ეხმარებოდა: და დაარჩივა მეომარი სპა და თვით წარმოემართა სიმრავლითა ურიცხუთა სპათათა, და მოიწია მდინარესა ზედა მტკუარსა: და მტკუარსა ზედა გასდუა ხიდი ნავებითა, და განვლეს მას ზედა: მოვიდა შირ-ვანშა და შემოეყარა ჯარითა ლანგ თემურს: და წარმოე-მართა საქართველოსა ზედა: მას ჟამსა იყო გაზაფხულის პირი და ციოდა დიდათ და მოსწვიმდა სთოვდა: და ვითარცა მოი-წია ლანგ თემურ საქართველოსა შიგან: დახუდენ მეფე ბა-გრატ და ქართველნიცა შეყრილნი და მიეტევნენ ერთ-მანერთსა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოისრა იმიერ და ამიერ კაცი ურიცხვი და უფროსად თათარნი ორიზომა მოისრა ომსა მას შინა: და სპათა სიმრავლისაგან თათართასა: და მძლე ექმნეს თათარნი: მიიქცეს და ივლტეს ქართველნი სიმაგრეთა და ხიზანთა თვისთა თანა და რომელიმე შეიპყრეს დახოცეს და ამოსწყვიტეს. და ყოველივე მოსრეს პირითა მახვილისათა: ხოლო ქართველთა წინათვე უწყოდენ მოსვლა ლანგ თემურისა, და ყოველივე შელტოლვილ იყუნეს მთასა კავკასიისასა და მოჰყუნენ თათარნი თანა, შემო-ვიდეს საქართველოში: მოითარემეს, მოაოხრეს და დაწვეს წმინდანი ეკლესიანი: და ალაოხრეს ქუეყნები: და ხიზანი ვერა დაახელეს: და შემდგომად ამისა შეიქცა ლანგ თემურ თავისადვე: და ამისად შემდგომად წარვიდა ვითარმედ ყარა-ბაღსავე: დაყო მუნ ხანი რაოდენიმე: და ჟამსა ამასავე მი-

იცვალა მეფე ბაგრატ, და დაჯდა მისწილად ძე მისი მეფედ გიორგი: და იყო კათალიკოზი ელიოზ: და მიიცვალა კზი ელიოზ: და დაჯდა მისწილ კზი გიორგი: და დაიპყრა მეფემ გიორგიმ ყოველი საქართველო, და იმერნი, და ამერნი:

– 24 –

და რა ესმა ლანგ თემურს დაპყრობა საქართველოსი, მეფისა გიორგისაგან: იწყინა დიდად; ამისთუის რომე მეფემ ბაგრატ იძია მასზედა შური მომსრველმან სპათა მისთამან: ამისთუის დიდად მტერ ექმნა, და წარმოგზავნა სარდალი თვისი ყარალათი: სპითა მრავლითა მეწინავედ: და თვითცა უკანა გამოუდგა, და წარმოემართნეს საქართველოსა ზედა სპითა ურიცხვითა: და გასცა საბოძვარი მრავალი სპათა თუისთა ზედა, და დაიერთგულა: მოვიდა და დადგა ყარაბაღსა და აღივსო ყარაბაღი სპითა: და მოიწია სამძღვარსა ქართლისასა: და მიუწერა მეფესა გიორგისა წიგნი, და მიუმცნო ესრეთ ვითარმედ მე ვარ მეფე შენი, და მოვედ ჩემდა და შემომრიგდი: და მოგცემ საბოძვარსა მრავალსა და დიდად პატივგცემ: და უკეთუ არა მორჩილ მექმნები, უმრძანებ ლაშქართა ჩემთა და მოვაოხრებ სრულიად ქვეყანასა შენსა: და ვითარცა მოიწია მოციქული მეფისა გიორგისა წინაშე; და ესრეთ უპასუხა მეფემან გიორგიმ მოციქულსა მას, ვითარმედ მე მეფისა შენისა უმცირესი არავარ: და არცა ძალუც მოოხრება ქვეყანისა ჩემისა: და ვინადგან უთქვამს უკეთუ არა აღასრულოს საქმე ეგრეთვე იყოსმცა დიაცი, და არა კაცი: წარვიდა მოციქული იგი ლანგ თემურისა, და მიართვა ამბავი ესე, და მოახსენა ქება დიდი მეფისა გიორგისა, სიმხნე და სიკეთე მისი, და სპისა მისისა: და რა ესმა სიტყუა ესე ლანგ თემურსა, განძვინდა დიად: და აღიყარა და წამოვიდა ლაშქრითა ურიცხვითა და რა ესმა მეფესა გიორგის, მაშინ თანა ახლდენ იმერნი და ამერნი და მესხნი და ყოველივე საქართველო: აღიყარა იგიცა წარმოვიდა და ეწყუნენ ურთიერთას; და იქმნა ბრძოლა ძლიერი და იყო ქარი ძლიერი და აყრიდა მტვერსა პირსა ლაშქარსა ლანგ თემურისასა: და განმხნდეს ძლიერად ქართველნი, და მიეტეუნეს ვითარცა ცეცხლი თივასა: და მოსრნეს და ამოსწყვიტეს სპანი მრავალნი ლანგ თემურისანი, ესრეთ რომე ამისთანა მარცხი და ზიანი არაოდეს შემთხუევია სპათა ლანგ თემურისათა: და შეაძრწუ-

– 25 –

ნეს დიდად, ლანგ თემურ და ლაშქარნი მისნი: არამედ სიმრავლისაგან ლაშქართასა ვერღარა დაიძრნეს, და იდგნენ მუნვე: შეწუხდა ლანგ თემურ და გამოიმეტა თავი, აღუძახა ლაშქართა თვისთა: მაშინ განმხდენ სპანი ლანგ თემურისანი და განიწირნეს თავნი: და არღარა ძალედვათ ქართველთა დიდის ომისა და სიმაშვრალისაგან განდრკეს ქართველნი და ილტვოდენ. და წარვიდენ მათათა და სიმაგრეთა: ხოლო

ლანგ თემურ მიადგა ციხესა ტფილისისა და განამაგრეს ციხე რამეთუ იდგნენ რაოდენიმე ქართველნი შინაგან ციხესა: და მოადგნენ გარე აღილო ციხე და გალავნები ციხისა: და გარემო სიმაგრენი ყოველივე ქართლისანი და შეაყენა შიგან სპანი თვისნი, და თვისად იპყრა: შეაყენა შიგან კაცნი ხორასნელნი, და თვით აღიყარა და წარვიდა და დადგა მუხრანს: და რაოდენნიცა ნახეს სპათა მისთა ეკლესიანი ანუ შენობანი ყოველნივე მოაოხრნეს: მაშინ რომელნიმე ქართველთაგანიცა მოუხდეს: აღიყარა და მიადგა ადგილსა ჯანიბეგისა: რომელი იყო მთავარი ქართლისა: ჩადგა და დაუწყო მოოხრება: და ვედარა დაუდგა ჯანიბეგ, და მოუვიდა იგიცა: და დადგა ხანსა რაოდენსამე ლანგ თემურ და მოაოხრა სრულიად საქართველო და ენება ხელგდება მეფისა გიორგისა და ვერ შეუძლო შეპყრობა მისი და რაჟამს მოუვიდა ჯანიბეგ, აღიყარა მუნითგან წარვიდა და მივიდა სადა ჰქონდა ბარგი და სამძიმარი თვისი: მაშინცა არავე დასცხრა მოოხრებისაგან საქართველოსა; წარგზავნა ხოჯა შიხ ალი *), და წარატანა თანა სპანი მრავალნი და ერთს მხარეს ჯანიბეგის მამულის კერძო გაგზავნა, ამირჯან შა: და გაატანა სპა ურიცხვი: და თითო თითოს მხარესა გააყენა სარდლები, და სპანი ურიცხვი: და უბრძანა რაოდენიცა ნახონ ურჩი და განდგომილნი თვისნი ყოველნივე მოსრან: და მოაოხრონ ადგილიცა მისი: და უბრძანა ესრეთ რომელნიცა შეიპყრობთ მეფესა გიორგისა, და მოიყვანს

*) დაბეჭდილში მისალი.

– 26 –

ჩემთანა, მივანიჭებ წყალობასა და საბოძვარსა ურიცხვსა: და წარვიდენ სპასალარნი და სპანი მისნი, და მოაოხრეს ყოველი ქუეყანა, და ვერ შეიპყრეს მეფე გიორგი და რომელნიმე შეიპყრეს ყმანი მეფის გიორგისანი, და ჰკითხვიდენ თუ სადა არს გიორგი მეფე: ხოლო მათ არარა იცოდენ, და ვერა გაიგეს რა მეფის გიორგისა: შემოიქცენ და მოვიდნენ ლანგ თემურისა თანა: და მოახსენეს ვერ შეპყრობა მეფისა. დაჰქმუნდა ლანგ თემურ დაჰქმუნვებითა დიდითა: და აღიყარნეს და წარმოვიდეს მუნითგან და მოვიდეს ყარაბაღად: მაშინ იყო თირ სულთანი ქვეყანისა ჯალაისა, სჯულითა მაჰმადიანი: ოდეს მოვიდა ლანგ თემურ ქუეყანასა მისსა, აღუდგა წინა ესე თირსულთანი: და მრავალი ზიანი უყო სპათა ლანგ თემურისათა, და შერმე ვერღარა დაუდგა. წამოვიდა და მოვიდა მეფესა გიორგისთანა: ხოლო მეფემან გიორგიმ მიუპყრო პატივი დიდი და ჰკითხევდა: და უსმენდა თქმულთა მისთა: და რაჟამს იხილა მეფემან გიორგიმ მძლავრება ესე ვითარი ლანგ თემურისა: განიგულა შერიგება და მორჩილება ლანგ თემურისა: წარავლინა კაცი, და მოუწოდა კაცსა მას რომელი მოსრულიყო რჯულითა მაჰმადიანი: სახელით ისმაილ: ესე განაგო მოციქულად,

ლანგ თემურისა თანა: ხოლო რაჟამს შეიგნა საქმე ესე სულ-
თან თაირ, ფრიად დაუშალა, მისვლა და შერიგება ლანგ
თემურისა თანა: ხოლო მეფემან არა უსმინა, და წარგზავნა
კაცი იგი: და შესთვალა სიტყვა მორჩილობისა ესრეთ, ვი-
თარმედ მოვალ შენდა და დაგემონები და მორჩილ ვიქმნები
შენი. ვყოთ მშვიდობა და მოგცემ ხარაჯასა: და რა მივიდა
მოციქული ლანგ თემურისა თანა, და ესმა სიტყუანი ესე,
ფრიად განიხარა და სათნო უჩნდა: გააბრუნა მოციქული იგი
და შეუთვალა ესრეთ უკეთუ მოხვიდე წინაშე ჩემსა და შე-
მომრიგდე მეცა მიპატივებია დანაშაუვები შენი: მაშინ განიზ-
რახა თვისგან და თქუა ესრეთ ვითარმედ მატყუებს მეფე
გიორგი და არა მოვალს ჩემთანაო; და მაშინ წარმოემართა

– 27 –

ივანე ათაბაგსა ზედა, ამისთუის რომ მორჩილობდა მეფესა
გიორგის მორჩილებითა დიდითა: და რაჟამს ეწყო ლანგ თე-
მურს მეფე გიორგი, მაშინ ივანე ათაბაგი თან ახლდა: და
ამისთვის დიდად მტერ იყო მისთვის და წარემართა ზემო
ქართლსა ზედა: ჩადგა და ალაოხრა ქუეყანა, და ამოსწყვიტა
მრავალი სული: დაარღვივნა წმიდანი ეკლესიანი, ხატნი და
ჯვარნი: და რაოდენნიცა შეიპყრნა კაცნი ქრისტიანენი, დაჰ-
პატიჟნა სჯულნი მაჰმადისა: და რომელიცა მორჩილ ექმნა თანა
წარეყუნა: და რომელიცა არა მორჩილ იქმნეს მოსრა პირითა
მახვილისათა: გარდმოვლო მუნით და ჩამოდგა მანგლის
და დადგა თვესა ორსა მუნ: და მოვიდნენ კაცნი სჯულ-
ლითა მაჰმადიანი. რომელნი ესახლნეს სამძღვართა ქარ-
თლისათა: რამეთუ რაჟამს მოიცლიდიან ქართველნი ლანგ
თემურისაგან, ჩაუდგიან თათართა რომელნი ესახლნეს სამ-
ძღვარსა ქართლისასა მაჰმადიანი: და მოაოხრებდიან მათ: შე-
მოსჩივლეს ქართველთაგან მრავალი ჭირი გამოგვივლიან რო-
მელნი არიან მახლობელად ჩვენსა ქართველნი: მათგან შეგვემ-
თხვივა ჭირი დიდი და აოხრება: და აწ ამაზედ მოგვეხმარე-
ნით: და შეეწყალა ლანგ თემურს და მოიყუნა სარდალი
ერთი, რომელსა ეწოდა სახელად ამირშიხნურადინ: და უბრ-
ძანა სპითა თუისითა, წარსვლად: და რაჟამს წარვიდა იგი,
შემდგომად ორისა დღისა უბრძანა კვალად სხვასა სპა სპეტსა
წარსვლად და მიშველებად მისა: და რა მივიდა იგიცა ად-
გილთა ქართველთასა, რომელნი უხმობდეს თათართა და
თემთა მათთა, და იბრძოდენ დღესა ხუთსა: და სძლეს სიმ-
რავლისაგან ჯართასა სპათა ლანგ თემურისათა. და აღიღეს
ადგილნი და ციხენი და სიმაგრენი: და ტყუე ვერა მოიხელეს
და სხვანი შენობანი მის ადგილისანი მოაოხრნეს ყოველივე
და დაწვეს: და წარმოვიდეს ლანგ თემურისათანა: და ამას
ჟამსა შინა მოვიდა ელჩი ფრანგისა რამეთუ შეეპყრათ შვილი
კეისრისა და მოართვეს იგიცა ლანგ თემურს: ეტრფიალა და
შეეწყალა შვენიერება და სიჭაბუკე მისი. და მისცა საბოძვა-

– 28 –

რი და სამეფო სამოსელი. და განუტევა თვისსა სამყოფსა:
და შემდგომად ორისა თვისა აღიყარა მანგლისითგან, და
წარვიდა და მივიდა ხეუსა არაგვისასა, შევიდა მას შინა დაამ-
სხვრია და მოაოხრა და აღილო სიმაგრენი ყოველივე არაგვისა,
და კაცი ვერა მოახელა, დაწვა და წარმოვიდა: და დაიპყრა
ქუეყანა სიასი: და სხვანი ქუეყანანი მრავალნი: მაშინ არა
ვე დააცხრო გულისწყრომა ქრისტიანეთა ზედა: ხოლო მე-
ფემან გიორგიმ კვალად დაიპყრა ქართლი: და რა ესმა კვა-
ლად ლანგ თემურს, განიგულა წარმოვლინება ლაშქრისა
თუისისა: წარმოავლინა ძე თუისი სულთან უსეინ, ფირ მაჰ-
მად ამირ შიხი, აბუბექირ: და თავადთა მისთაგანი ჯანშა და
თემურ ხაჯა: აღბულა, სეიდ ხაჯა: შიხ ალიშვილი, და სხვანი
მრავალნი თავადნი და სპანი ურიცხვი და წარმოვიდნენ
მოვიდნენ და მოადგენ ერინჯაგსა, რომელ არს ციხე: რამეთუ
მას ჟამსა ეპყრა იგი მეფესა ქართლისასა: და ადგნენ ხანსა
მრავალსა: და ხანსა რაოდენსამე შეწუხდენ ციხესა შინა მყო-
ფნი, გამოვიდეს და დაანებეს ციხე: მოვიდნენ მცველნი იგი
ციხისანი და შემოეხვეწნენ და წარმოიყუანეს ციხის თავი და
უფროსი მეციხოვანე და მოჰგვარეს ლანგ თემურს; ხოლო
ძენი ლანგ თემურისანი წარმოემართნეს ქართლად. და მივიდ-
ნენ მანგლის: და რა სცნა ესე მეფემან გიორგიმ, წარმოუგ-
ზავნა მოციქული. შემოუთვალა ხვეწნა და მშვიდობის ყოფ-
ნა და ითხოვა შერიგება და შუამავლობა მამისა მათისაგან:
ხოლო ძეთა ლანგ თემურისათა უსმინეს, და შემოუთვალეს
ლანგ თემურს ხვეწნა ესე მეფისა გიორგისა ხოლო ლანგ თე-
მურ უსმინა და ყო მშვიდობა: და შემოუთვალა ძეთა მისთა
და იხმნო ძენი მისნი: წარმოვიდნენ და მოვიდნენ ლანგ თე-
მურისა თანა: და ჩამოეხსნენ ქართლსა: და კვალად წარვიდ-
ნენ ძენი ლანგ თემურისანი ბაღდადსა ზედა: მივიდეს და
აღიღეს ბაღდადი, და დაიპყრეს არაბისტანი მრავალი თემი,
და აღივსნეს საშოვრითა: და ინება ლანგ თემურ თავრიზის მოდ-
გომა და წარმოვიდა სანახავად ციხისა მის: რომელი პირველ

– 29 –

აღიღეს ალინჯა: და წარმოემართა სპითა ურიცხვითა და
კარვებითა მრავალ ფერთა: მოვიდა და ნახა ციხე ალინჯა:
და წარვიდა და მივიდა ტბასა გელაქუნისა: და სცნა
რა მეფემან გიორგიმ წარმოუგზავნა ძმა თვისი და ძღვე-
ნი მრავალი: და მოუძმცნო ესრეთ ვითარმედ სადაცა გვიბრძა-
ნებთ გილაშქრებთ და ვიქმნებთ მორჩილი თქუენი: და ამიე-
რითგან დააცხრვე გულის წყრომა შენი ჩვენზედა: და შეეწ-
ყალა ლანგ თემურს, აღილო ძღვენი მისი და მიუძმცნო ესრეთ,
ვითარმედ მიჰპატივებია დანაშაულები შენი: და ამიერიტგან რო-
მელიცა არიან მაჰმადიანი სამძღვარსა საქართველოსასა, ნუ-
ღარა იკადრებთ რბეუად და წყინებად მათდა: და იყოს მშვი-
დობა ჩვენსა და თქვენს შუა: და მუნითგან აღიყარნენ და
მივიდნენ ბარდასა, და დადგა მუნ: და რა გამოჰხდა წელი-

წადი ერთი. მოივარგა ყოველივე საქმე თვისი ლანგ თემურ, და გინიზრახა გულსა შინა თვისსა და თქუა: შარშან რომ მეფე გიორგი დამპირდა ვნახოთ აღმოსრულებს იმ პირობას თუ არაო: და თუ აღმოსრულებს ვსცნა ახლა: წარმოვიდა და დადგა მანგლისს: და იყო თავადი ადგილსა მას რომელსა ეწოდება მარტიანი: და თავადსა მას ეწოდებოდა სახელად ესაია: და მას პირობა დაედვა ლანგ თემურისათვის მისვლად მისთანა და არღარა მისულიყო: და რა მივიდა ლანგ თემურ შეწუხდა თავადი იგი: და არღარა ჰქონდა ღონე მისვლის მეტი: და მოიპოვა ღონე ესე და შეეხვეწა ძესა ლანგ თემურისსა ფარუხს და ჩამოუშვა შუამავლად: წარვიდა და წარულო ძღვნად ლარნი მრავალნი: და მივიდა ძესა თანა ლანგ თემურისასა: ხოლო მან მოიყუანა თავადი იგი ლანგ თემურისა თანა: და რა ნახა ლანგ თემურ უთხრა სიტყუანი წყრომისანი. თუ ვითარ იკადრე შენ ჩემი ურჩობაო: მაშინ მოეხმარა ძე მისი და იპატივა და შეაწყალა მამსა თუისსა, და უშოვნა ხალათი: და ჰყუანდა თავადსა მას ასული ერთი: და გამოართვა ძემან ლანგ თემურისგმან აბუბექირ და შეერთო ცოლად: და იყუნენ მიერთგან მოყუარენი: და მიენდო

– 30 –

ლანგ თემურიცა: მაშინ ათაბაგმან აღბუღას შვილმან ივანემ აღიღო მანცა ძღვენი ტურფანი და მივიდა ლანგ თემურისათანა: მაშინ შეიწყალა ლანგ თემურ, და მისცა ხალათი და უყო წყალობა: და მოუვიდენ გარემონი თავადნი სომხითისა, სამცხისა და კარისა: და რა სცნა ესე მეფემან გიორგიმ, წარმოუვლინა ძმა თუისი კოსტანტინე. ძღვნითა მრავლითა. და მიუმცნო სიტყუა მდაბალი მორჩილებისა: და იამა ლანგ თემურს და შეიწყალა: და წარვიდა მუნითგან მხარესა მას ქურთისტანისასა *): და დაიპყრა ქურთისტანი: და მაშინცა არავე დააცხრო ბოროტმან ამან გულის წყრომა თვისი ქართლსა ზედა და სწადოდა ქუეყანა გასათათრებლად, და იგონებდა ძვირსა და ბოროტსა ქართლისა თუის: და უფროსად მეფის გიორგისათვის: ჯავრისა მისთვის რომელი უყო მეფემა ბაგრატ: ხოლო წანმოგზავნა პირველად პატრონი შირვანისა. სახელად შიხ ბარაიმ: ესე წარმოგზავნა რათა შეიტყოს გამოსავალი საქართველოსა გლეხისა, და ბეგარა და სარგო მეფის გიორგისა: და თვითცა წარმოვიდა და მოვიდა კარს: და რა სცნა ესე გიორგი მეფემან, წარმოუგზავნა კაცი იგი სახელად ესაია, რომელი იყო თავადი სომხითისა. და მოუმცნო ესრეთ, ვითარმედ რომელიცა პირობა მოგვიცემია ყველა აღგვისრულებია: და ურჩობა არა გვიქნია რა და რომელსაცა ამიერთგან გვიბრძანებთ არა ურჩ ეიქმნებით: და აწ ისმინეთ აჯა ჩვენი, და შეიწყალეთ ქუეყანა ესე ჩვენი: ნუ მოხვალთ და ნუცა წახდენთ ქუეყანასა ამას: რამეთუ მოსავლისა პირი არის და თუ ახლა თქვენ მოხვალთ წახდება სულად ქუეყანა ესე: რამეთუ თავადი ესე ესაია იყო ყმა მეფისა გიორგისა: წარგზავნა ესე და ფეშქაშიცა გაატანა მეფემან: და რა მიაღ-

თვა ფეშქაში არა აღილო ლანგ თემურ: რამეთუ სწყრებოდა ფრიად და შეუთვალა ესრეთ. ვითარმედ უკეთუ გინდა წაუხდენლობა ქუეყანისა ამის მოდი ჩემთანა და გათათრდი: და

*) დაბეჟდ. ქრისტეანისასა. (გვ. 469).

– 31 –

თუ გასთათრდები, არცა გთხოვ ხარკსა და მოგცემ ხელ შუალად ქუეყანასა მაგას, და სხვასაცა მრავალსა საბოძვარსა და უკეთუ არა გათათრდები, დაიდუუ ხარკი ჩემი და მოდი ჩემთანა და მოგცემ ქუეყანასა მაგას: და როგორც განუტეუე შვილი კეისრისა ეგრეთვე შენცა არას გავნებ და განგიტევებ მშვიდობით: რამეთუ იგიცა შენის სჯულისა იყო: და უკეთუ არა მოხვალ დავასრულებ ჯარსა ჩემსა შენზედა, და ქუეყანასა შენსა ზედა: ანუ დავასრულო ცხოვრება შენი და ქუეყანაცა: და უკეთუ მოხვიდე მიფიცავს თავსა მაჰმადისასა, რამეთუ უკეთესი პატივი მოგცე შენ კეისრისაგან და მშვიდობით განგიტეუო: და უკეთუ არა მიეცნენ ძენი და ასულნი შენნი ტყუეობად: და რა წავიდა მოციქული, ლანგ თემურ განიზრახა თვისაგან. ესე უწყი ადიდებენ მოსავალსა და განიგულვენ სიმაგრეთა და არღარა მოვლენ ჩემთანა: და ამისთვის არა უსმინა ხვეწნა მეფისა გიორგისა. და წარემართა სპითა მრავლითა: რამეთუ სწადოდა მიზეზით შეპყრობა მეფისა გიორგისა: და რა სცნა საქმე ესე მეფემან გიორგიმ, და იხიზნნა ყოველივე ქართველი. და მოიმკეს მოსავალი დაწარიღეს თუისთა თანა: წავიდა ლანგ თემურ და ჩადგა შიდა ქართლსა, და იდგა ხანსა რაოდენსამე: და ვედარა მოახელეს რა: მისჭირდა და წარმოვიდა და მოადგა ციხესა ბირთუისისასა: და იყო მაშინ ციხისთავად, სახელით ნაზალ: და ოცდაათნი თავადნი, ჩინებულნი. და სხვანი მრავალნი, აზნაურნი და მსახურნი ქართლისანი და მაშინ სპანი ლანგ თემურისანი ზარობდენ ციხისა მისგან, რამეთუ მრავალგზის მრავალი პირი ენახათ ქართველთაგან: და ვითარცა კანჯარი ლომთაგან ეგრეთ თრთოდენ ქართველთაგან: რამეთუ ერთი ქართველი ათსა მათგანსა წარიქცეუდა: და იცოდნენ ციხისა მის სიმაგრე და საზრდელთა სიმრავლე: მაშინ განმზრახთა თვისთა თანა არჩივა ლანგ თემურ. და ცდილობდენ თურამ ეყო ციხისა ამისთვის: ესრეთ ურჩივეს მათ რამეთუ იციან სულად ყოველმა კაცმან უკეთუ შემოადგება ლანგ

– 32 –

თემურ ციხესა რომელსამე, არა მოეშვების რომე არა აღილოს: და დაასკუნეს შემოდგომა ციხისა მის და აღება. მაშინ მიუდგნენ სპანი ლანგ თემურისანი ციხესა მას: და გამოვიდნენ სპანიცა ციხოსანნი, და შემოუტივეს სპათა ლანგ თემურისათა: ჰყუნდა ლანგ თემურს უკან ჯარი დამალული, და უკმოცალნენ თათარნი: მაშინ მიეტეუნეს ციხოსანი

და მოსწყუიტეს და უყუეს მრავალი ზიანი: მაშინ დიდად გან-
ძვინდა ლანგ თემურ, და ბრძანა ორისავ კუთხის ციხის აგება:
და თუით მიადგა კარსა ციხისასა და მუნცა ბძანა აგება ცი-
ხისა: და რა გამოვიდა კვირა ერთი და შეიგნეს დიდათ სი-
მაგრე ციხისა და ვერა აღება შინაგან ციხისა მის: და უში-
შრობა ციხოვანთა: და იყო მუნ კლდე ერთი და მუნითგან
პოვეს მცირე რამე აღსავალი: მაშინ იყო სპათა ლანგთემუ-
რისათა კაცი ერთი, სახელად ბეგიჯაგ მისრელი: და მან
მოიხელოვნა და აღვიდა ღამე მალვით შინაგან ციხისად:
აღიყუნა თხა ერთი და დაკლა მუნ ამისთუის რომე ესე შე-
ტყო ქართველთა, ციხოვანთა რომე შემოპარულან ციხესა
იმისი ლაშქარი ლანგთემურისანი: და მაშინ იყუნენ ქარ-
თველნი უშიშრად: მაშინ უჩვენა კაცმან მან აღსავალი ცი-
ხისა: მაშინ განიხარა ლანგ თემურ და ბრძანა ხელოვანებით
დაწნა კიბისა ბანბისა და აბრეშუმისა: და აგზავნეს კაცი იგი
პირველ აღსრული, და მან კაცმან მოაბა წვერი ერთი კიბისა
ადგილსა მაგარსა მის კლდისასა: და ღამე შეუიდა ჯარი
ლანგთემურისა, და აღივსო ციხე იგი ჯარითა: და მაშინ წა-
რვიდა ზოგირამე ჯარი, და განულო ციხის კარი ლანგთე-
მურს და სპათა მისთა: და რა სცნეს ქართველთა საქმე ესე
მაშინ შეებნენ გულ მესისხლედ, და ბრძოდეს თავ გამომე-
ტებით: და იყო ბრძოლა ძლიერი და ამოსწყუიტეს ჯარი
ლანგ თემურისანი მრავალნი: და ბოლოს დარჩა გამარჯვება
ლანგთემურს სიმრავლისაგან ლაშქართასა, და აღილო
ციხე იგი: და მოართვეს მრავალნი დიდებულნი, აზნაურნი
დარჩენილნი ლანგ თემურს: და წარკვეთნეს ყოველთავე

– 33 –

თავნი: და ციხის თავსა მას რომელსა ეწოდა ნაზალ, მასცა
წარკვეთა თავი, და ცოლი მისი მისცა მპყრობელსა შირვა-
ნისასა: და ციხისა ამის ამღებსა მისცა წყალობა მრავალი:
და შეაყენა ჯარი თუისი ციხესა მას შინა: და დაუყენა, ცი-
ხისა მის თავად სახელად მაჰმად: დაუყენა მცველნი მრავალ-
ნი, და უბრძანა გარემემოთა წმიდათა ეკლესიათა დარღვევა
და მოხრება: და რაოდენიცა პოვონ მოსვრა და სრულიად
ამოწყუეტა: და წარვიდა მიერთგან და არღარა შესძინა ლანგ
თემურ მოსულად საქართველოსა შინა: და მოვიდა კვა-
ლად მეფე გიორგი, და დაიპყრა სამკვიდრო თუისი ქარ-
თლი: და იყო უშიშრად: და დაასრულა ლანგთემურ მო-
ხრება ქართლისა: და წარვიდა სხვათ ქუეყანისა დაპყრობად,
და ქმნნა მრავალნი საქმენი დიდძალნი ლანგთემურ, რომ-
ლისა ცხოვრება მისი ვრცელად წერილარს ცხოვრებასა შინა
სპარსთასა: ხოლო ჩვენ აღვსწერეთ ყოველივე მოსვლა მისი
ქართლად: და აოხრება ქართლისა: რომელი არა სადა მო-
წეუნილარს ქართლსა ზედა პირი ესე ვითარი, რაოდენი ამან
მოაწივა: ხოლო შემდგომად წარსვლისა ლანგ თემურისა,
კვალად დაიპყრა ქართლი მიფემან გიორგიმ: და ამა ლანგ-
თემურ დაიპყრა ქურთისტანი: ინდოეთი სპარსეთი, შირაზი:

ადრაბაგანი: და დაიჭირა ბურსას მჯდომი ხონთქარი: რომელსა სახელად ეწოდებოდა ბაიაზით: ესე იყო თესლი ოსმანისა და შემდგომად მაჰმადის გამოჩენისა, გამოჩნდა კაცი ერთი ოსმან სახელითა და სჯულითა სუნი: ამან იწყო მეკობრობა, განიმრავლა მრავალი საქონელი მეკობრობითა. და მით შემოიყარა მრავალი კაცი: და დაიპყრა არაბისტანი, და ტახტად ჰქონდა ბურსა და დაჯდა მუნ და ვიდრე ბაიაზით ხონთქრადმდე ძეთა მისთა ეპყრათ ბრუსა. და ესე ბაიაზით ხონთქარი დაიჭირა ლანგ თემურ და ჩასვა რკინის ყაფაზაში და რკინის ყაფაზით ატარებდა: და თემი მისი ლანგთემურ დაიპყრა: და კეისარმანც მოართო ძღვენი, და მისცა ხარჯა ლანგ თემურს: და დაიპყრა რუსეთი: წარმოვიდა და მოვიდა

– 34 –

თურქისტანში და მუნ მოკუდა, და ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა: და მაშინ განუყო ძეთა თუისთა თემნი და ქვეყანანი: რომელსამე მისცა ინდოეთი, რომელსამე ხორასანი, და რომელსამე ადრაბაგანი: და მიერთგან ველარა შესძინეს ძეთა მისთა ქართლად მოსვლა: რამეთუ იყო ურთიერთას შინა შური და ხდომა: და დაიწყო ქართლმა შენობა და ხანსა რაოდენსამე უკან მოკუდა მეფე გიორგი და დაჯდა მისწილ ძე მისი დავით: ქრისტეს აქათ: **ჩტნე**: მასჟამსა იჯდა კათალიკოზი ბასილი: და იმეფა კეთილად ამან დავით მეფემა ხანს რაოდენსამე შინა მშვიდობით, და მოკუდა *): და დაჯდა მისწილად ძე მისი ალექსანდრე **): ქრისტეს აქათ ჩტნიბ; და ამავე ჟამსა შინა იჯდა კათალიკოზი ბასილივე: და მოკვდა კათალიკოზი ბასილი და დაჯდა დორათეოზ: და იმეფა კეთილად ამან ალექსანდრემ მშვიდობით: და ხანსა რაოდენსამე უკან მოკუდა; და დაჯდა მისწილიდ ძე მისი გიორგი: ქრისტეს აქათ: ჩტჟგ: ამა ჟამსა შინა იჯდა კათალიკოზი გიორგი: და მოკუდა კოზი გიორგი: და დაჯდა კოზი ელიოზ: და მოკუდა კოზი ელიოზ: და დაჯდა მიქელ: და მოკუდა კოზი მიქელ: და დაჯდა დავით: და იმეფა ამან გიორგი მეფემ კეთილად და მშვიდობით: და ხანსა რაოდენსამე შინა მოკუდა: და დაჯდა მისწილად ძე მისი ალექსანდრე:***) ქრისტეს აქათ ჩუიბ: და იყო მას ჟამსა

*) იმავე ხელით: „ტყუილია. ეს დავით მეფე არც ყოფილა, არც შობილა“.

**) იმავე ხელით აშიაზე „ეს ალექსანდრე ძე იყო გიორგისა ძისა ბაგრატიისა. ამან აღაშენა მცხეთა“.

***) იმავე ხელით აშიაზე „ტყუილია ეს მეფე არ ყოფილა, არც შობილა“

****) იქვე: „ეს კიდევ უფრო მეტად ტყუილი და ცილი: არაოდეს ამ ქნსა ქვეშე ეს კაცი არა ყოფილა. ზემო მეფე ალექსანდრე სწერია, იმან აღაშენა მცხეთა კათალიკოზები და წელიწადთ რიცხვიც აშლით არის. ვახუშტი ბატონი შვილის წერილი უფრო შეიწყნარება, თუმცა თავისი სახლის სირცხვილები არა დაუფარავს-რა და მეტიც უწერია“.

– 35 –

შინა კოზი დავით: და მოკუდა კოზი დავით და დაჯდა ელიოზ: მოკუდა ელიოზ კოზი: და დაჯდა თეუოდორე: მოკუდა კოზი თეუოდორე და დაჯდა შიო: და ამა ალექსანდრე მეფემან მატა სხვათა მეფეთა ქართლისათა, სიკეთითა რამეთუ იყო კაცი მეცნიერი და მოშიში ღვთისა და ელმოდა გული მოოხრებისათუის წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა: და არა ჰქონდა ღონე აღშენებისა: ამისთუის რომე ქუეყანა ლანგ თემურისაგან მოოხრებული იყო: საუნჯე არღარა ჰქონდა: მოიპოვა ღონე ესე ვითარი, და დაზდვა იმერთა და ამერთა, წელიწადს ამა მალს გამოართვემდა: და ამით იწყო შენებად მცხეთისა: და რუის ღვთაებისა საყდრისა: და დაშვრებოდა დიდად: და ხანსა რაოდენსამე შინა აღასრულა და შეამკო ყოვლითა სამკაულითა: და შესწირნა სოფელნი და აგარაკნი, იმერთა და ამერთა, ზემო ქართლსა და კახთა: და იმეფა კეთილად და მშვიდობით: და ხანსა რაოდენსამე შინა გარდაიცვალა ამიერ სოფლით, და დაჯდა მისწილად ძე მისი ვახტანგ *) ქრისტეს აქათ: ჩუით მას ჟამსა იჯდა კათალიკოზი შიო: და მოკუდა ვახტანგ მშვიდობასა შინა, და არა ესვა ძე: და დაჯდა მისწილად ძმა მისი გაორგი**) ქრისტეს აქათ ჩუმე: და იჯდა ამას ჟამსა შინა კათალიკოზი დავით: და ამას ჟამსა შინა განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა, და დაიპყრა კოსტანტი პოლი ოსმალთა: ქრისტეს აქათ: ჩუმე: შემდგომად სიკუდილისა ლანგ თემურისა: კვალად დაიპყრეს ხვანთქრის ბაიაზითის ძეთა სამკვიდრო მამული თუისი და მიერთგან განძლიერდენ: და იწყეს ბრძოლა კოსტანტინო პოლისა: და დაიპყრეს კოსტანტინო პოლი: და ცხოვრება მათი ვრცელად წერილარს ცხოვრებასა მათს: და ჟამსა ამას ოსმალნი ებრძოდეს კო-

*) „ეს ძე იყო ალექსანდრესი, რომელმანც მცხეთა აღაშენა“.

**) ესეც ალექსანდრეს ძე იყო.

სტანტინო პოლის: და სპარსთა შინა იყო ურთიერთას შური და ხდომა: და იყო საქართველო მშვიდობით და მოსვენებით და მოკუდა მეფე გიორგი: და დაჯდა მისწილად ძე მისი ბაგრატ: *) და ამა მეფისა ბაგრატისა ჟამსა შინა წარმოავლინა ყვენმან უზუნ ასან სპა თუისი: რამეთუ უზუნ ასან ყენი იყო თესლი თურქმანისა: და შემდგომად გარდავლენისა ლანგთემურისა ძეთასა, ამან დაიპყრა თავრიზი: და მრავალნი სხვანი თემნი და მრავალი ოხრება და ჭირი შეამთხვია თემთა სომხითისათა: და ქართლსა ზედაცა მოაწიეს სპათა მისთა: და თუ რაცა იქმნა ჟამსა მას ანუ რა ქმნა მეფემ ბაგრატ: ანუ რაცა იქმნა ყოველივე ძველის ქართლის ცხოვრებიდამე აღგვიწერია, ცხოვრება მეფის ალექსანდრესი და მის ჟამისა ყოველივე ძველთა გუჯართა და სპარსთა ცხოვრებიდამე გარდმოგვიწერია : . .

სახელითა ღვთისათა ვიწყოთ ცხოვრება ბაგრატის მეფობისა: ოვ:

იყო მეფობასა შინა მეფეთ მეფისა ბაგრატისასა კათალიკოზი დავით: ქრისტეს აქათ: ჩუნე: და იყო ჟამსა ამას შინა დიდი მოსვენება ქრისტიანეთა ზედა: და ამისა ჟამსა ჟამსა შინა იყო ყაენი ასანბეგ მორჭმული, ორისავე საყეენოსა მპყრობელი არაოდეს დარბეულიყო ქართლი დიდისა თეიმურაზის უკანის, შენობა გამოსვენება, ამას ჟამსა შინა არა იყო ხარაჯა არცა მალი ქართლსა შინა: არამედ განთავისუფლდეს ყოველნი სამყოფნი და არენი ქართლისანი, მონებისაგან თურქთასა: ესე მეფე ბაგრატ იყო მორჭმული სახელოვანი: ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი, და ჰმონებდენ ლორის პიტიახნი: კახეთისა, შირვანისა, და სამცხისა: და ჰყუეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიულნი, აფხაზნი, ჯიქნი, სვანნი, მმთიულნი,

*) ესეც ტყუილია. ჭეშმარიტად არ ყოფილა ეს მეფე გიორგის ძე".

– 37 –

კავკასიანნი ამას შინა უკუდგნეს, დადიანი, გურიელი, და უკუიტანნეს ოდიშარნი, და აფხაზნი; შეიყარნეს ერთად და არღარა მსახურებდეს ბაგრატ მეფესა; იწყინა მეფემან და შეიყარა და მივიდა და დადგა ცხენის წყალზედა: იქით ისინი მოდგეს რაზმითა და შეიბნეს; იპრიანა ღმერთმან და გაიქცნენ, დადიანი, ოდიშარნი: დახოცეს და დაატყუევეს და ამოსწყუიტეს ქართველთა: მიჰყუნეს თანა, ჩაუდგნენ შიგა დაწვეს და დააქცივეს ციხენი სიმაგრენი: მობრუნდეს გამარჯვებულნი: და წარმოიყუანეს თანა ტყვე მძეული: ამაზედ არღარა ჰქონდა თავი ხელთა მეფესა: შეიყარა ყენი უზუნ ასან: მოვიდა სომხითს, და მეფე ლიხთ იქით იყო, ქართველნი თან იახლნენ: მოადგეს ბარათიანთა და ორბეთისა ძირსა დიდათ კარგად დახუდეს ბარათიანნი: დამაგრდენ და ვერა უყუეს რა: მოვიდეს ტვილის და აღიდეს: და თუით ყენი მუხრანს დადგა: აღივსო ქართლი ლაშქრითა; მოაოხრეს სრულიად ქართლისა ადგილი: იხმნო ყენმან ბარათიანნი, მიინდგნა ნახნა და შეიწყალნა: მოსცნა მრავალნი და აღავსნა პირთამდინ: ამას ზედან ღმერთმან იპრიანა იწყინა ამოწყუეტა საქრისტიანოსა, შეედვა ყენსა სენი სასიკუდინე. აიყარა და წარვიდა და გამოუშუნა ბარათიანნი შეწყალებულნი: და უბოძნა მრავალნი მოსაცემელნი: ამაზედა კოსტანტინე წარვიდა თათრებ შიგან: და სხვამან ვერვინ გაბედნა ქართველმან დარბაისელმან, წარსულა თათრებ შიგან, და ბატონის ხლება დიდად ერთგულად და კარგად იყუნენ ბარათას შვილნი: იგინივე წარყუნეს თანა და მსახურეს: იპრიანა ღმერთმან და მოკუდა ყენი: დააგდეს თათართა ტვილისი და სომხითი: და დაიჭირა მეფემან ბაგრატ: ჩაუხდეს ბარათიანნი დაიფორაქეს ელი, და დახოცეს მრავალი თათარი ყენისგან შეწყალებულნი: მასუკანის დაჯდა ყენად ასანბეგის შვილი. იალუბეგ: ამას

შინა გამოჰხდა ხანი და სოფელმან თუისი ბეგარა არ დაიკლო:
და მიიკვალა მეფე. ბაგრატ რაჭას: იყო დიდი გლოვა და
მწუხარება სამეფოსა ზედა: აღიღეს და დამარხეს გელათს,

– 38 –

მათსა სამარხოსა შიგან: ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა
ბაგრატიისა, დაჯდა მისწილად ძე მისი კოსტანტილე *):
ქრისტეს აქათ: ჩუდა: ამას ჟამში იყო კათალიკოზი დავით:
და მეფობდა მეფობითა კეთილითა: და არღარა იყო წყენა
თათართაგან; მოიმორჩილნა იმერელნი ოდიშარნი, აფხაზნი,
მსახურებდა ათაბაგი: და მორჩილებდეს კახნიცა: არა სადა
იყო წყენა ქრისტიანეთა: იყო მოსვენება და დაწყნარება:
მერმე ვითარცა წესიარს და ჩვეულება ეშმაკისა, აღძრნა ეშ-
მაკმან მოძულემან კეთილსამან, თათარნი ქრისტიანეთა
ზედან: და შეკრბა სიმრავლე ურიცხვი თურქმანთა: და მომარ-
თეს სამცხეს: მოვიდეს და მოდგეს ტაშირზედა: მოუმცნეს
მეფესა ქართლისასა: რათა ქუემოთ ქართველნი შეუხდენ სამ-
ცხესა: და აახლო ყენმანცა ერთი თავადი და მისი ლაშქარი:
ჩაუდგეს სამცხესა, და იავარ ყუეს ქვეყანა მათი: მოდგეს ციხე-
სა ახალციხესა ზრძოდეს დიდხანს: და ვერღარა დაუდგნა სი-
მაგრემან, გატეხეს და დაწვეს ქალაქი და და იპყრეს ხელითა
მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი: მერმე აიყარნეს და მოა-
დგნენ ციხესა და ქალაქსა აწყურისასა: ეზრახნეს ციხო-
ვანთა და უქადეს მშვიდობა და არა დაქცევა საყდრისა და
ციხისა: მას ზედა გამოვიდნენ და მიენდვნენ: ამასშინა ბრძა-
ნა ყენმან, რათა სომხითი მოარბიონ: ბარათაშვილი გაუძახა
და მისი უკეთესი ლაშქარი მალვით მივიდეს და დაესხნეს
შეუგებრად დმანისს, და ქვეშის ხეუსა და წარმოიღეს ტყუე
ალაფი უამრავი: დაუარდა ხმა ბარათიანთა გარდაუდგეს წინა
ცოტის ლაშქრითა. იპრიანა ღმერთმან. და ასრე გაემარ-
ჯვათ რომე ერთისა ქართველისაგან ასი და ორასი მოიკლა:
დახოცეს და ამოსწყვიტეს და დაატყუევეს, და ცოტა რამე
გარდმოეხვეწნეს ცხენ კეთილნი: და თავად კარგი კარგად
იყო სულხან ბარათას შვილი: ერთი ასეთი დარბაისელი მო-

*) აშიაზე იმავე ხელით „ეს გიორგი მეფის ძე იყო და არა
ბაგრატიისი“.

– 39 –

კლა ყენის კარზედ მისთანა არა იყო: და სხვის დანახოცის
ანგარიში არა იქნებოდა: და რანიცა გარდაიხუეწნეს მივიდეს
ყენთან: ერთობ ეწყინა და დაუმძიმდა ლაშქართა ამოწყუე-
ტა: ამაზედ აიყარა ყენი, წარვიდა და დაატყუეუა აწყურისა
ღვთის მშობელი, მოქალაქენი და რანიცა ციხესა შიგან იყო
დიადი სული წასხეს და წავიდა ყენი თუისსა საყენოსა: ამას
შიგან გამოჰხდა ცოტა ხანი, და გამოგზავნა ყენმან ხალიბეგ და
დაუწყო შენობა ქაოზიანსა და არჯა ყალის ციხესა: იწ-

ყინეს ბარათიანთა და არა დაანებეს: დაუწყეს, მისარჩელი წყენა და მტერობა: გაგულისდა ყენი, აშველა ლაშქარი ხალიბეგს: შეიყარნენ და მოადგნენ ტფილისს: ებრძოლეს მრავალ დღე და ვერარა ავნეს: რამეთუ სიმტკიცესა ზედა ეგნეს და იყუის ყოველთა დღეთა ომი: და არა იყო ღონე ციხისა წაღებისა: მერმე შეიყვრნეს ბარათიანი. და შემოუთვალეს მეფესა კოსტანტინეს და ითხოვეს მისგან შეწყუნა: მეფემან გაგზავნა ციციშვილი ქაიხოსრო და ჯავახის შვილი, ცოტათა აზნაურშვილითა და ლაშქრითა: წაუძღვეს წინა ბარათიანნი, მივიდეს და დაესხნეს ჭანდართა მდგომთა მონაპირეთა თათართა: გააქცივნეს და დიხოცნეს ასრე რომე თუარ მაცნე წავიდა სადამე, ვერც ერთი წაუვიდათ: აივსნეს აბჯრითა, ალაფითა და ბარგითა პირთამდის: ხოლო ვითარცა ესმა ესე ქალაქსა მდგომთა თურქმანთა უკუყვარნეს ციხესა ტფილისისასა და წავიდეს ჩადმა: გარდაუდგენ კუმისისა ბოლოსა შეეხნეს წინა მავალსა ლაშქარსა, გაექცნეს და დახოცნეს: ასე რომე თათრებსა თავსა სჭრიდენ და ვენახისა ღობესა და მარგილზედა აცვემდეს: მერმე გარისხდა ღმერთი და მოუხდა ზემოთ ბუსუნდი და შუა შეეყარნეს. და რაც ბარათიანთ ქაიხოსრომ ქნა და ჯავახმა არც წინა გმირთა უქნიათ: ასრე რომე ულუსსა ლაშქარსა ომითა და ხრმლითა წამოვიდეს: და ცოტა ლაშქარი დაზიანდა, და თუით მორჩნენ ნებიითა და შეწყვენითა ღვთისათა: ამას ზედან თურქმანი ლაშქარი შერცხვენილი ორბეთისა ძირსა დადგნენ და ეცადნეს თათარნი: და მუდამ ბარა-

– 40 –

თიანთა და ორბეთის ძირელთა გაემარჯვის: ამაზედა ადგა ხალიბეგ და სხვანი ყენის თავადები, მივიდეს და შეეხვეწნეს ყენსა: რამეთუ გამოჰხდა წელიწადი ერთი: აშველა ლაშქარი მოირთო ძალი და წარმოემართა სომხითსა და ორბეთის ძირზედა: მომართა ციხესა კოჟორისასა: მოადგა გარე დაუწყეს ომი და თოფს სროლა:*) აწყენდნენ შიგან სოლალაშვილნი დიდხან: და იყო ომი დიდხან და შეაწუხნა მეტმან თოფის სროლამან, და ცოტა ციხეცა დააქცივეს და ვეღარ დაუდგნეს: ამისთვის რამეთუ მეშველი არღარა ჰყუათ: ერთსა ღამესა თოვლმან უკუყვარნა და გამოვიდნენ ციხით, და ციხე დაუგდეს ცარიელი და თუით მიმართეს მთათა და სიმაგრეთა: ხოლო ვითარცა გათენდა ნახეს თათართა ციხე უკაცური, შეუიდეს შიგან და კაცი არა პოვეს: მიჰყუეს ხელი და დააქცივეს: ვითარცა ესმა მეფესა აღება ციხისა დაუმძიმდა რამეთუ შეყრილი ნიჭბისის წყალზედ იდგა: ამას ზედა ადგეს თათარნი და მოადგეს ტფილისის ციხეს: და იყო ყოველთა დღეთა ომი. და ესროდეს თოფსა: და არა იყო ღონე წაღებისა ციხისა: რამეთუ მხარი ბარათიანთაგან ჰქონდა: ეუბნებოდა მეფე კახთა, და არა უშველეს: იმერელნი უკუდგომილნი იყუნეს: და არცარა მესხთ უშველეს: ამისთვის ომი ვერ გაბედა მეფემან: ადგეს დიდხანსა ქალაქსა: და შეეწყინა ომი თათართა, ციხეს ვერა უყვესრა: მერმე ჰკაზ-

მნეს ლაშქარნი და გამოარჩივეს დარბევა ორბეთისა: და ძირ-
სა აარჩივეს ათას ხუთასი კაცი, და სხვა წურილი კაცი ლა-
შქრისა მრავალი: და ცისკრისა ჟამსა შეუგრადა (?) ორბეთის
ძირსა დაესხნეს და იფორიაქეს, და ამოსწყუიტეს მთის სოფ-
ლები: განძი ტყუე ალაფი ურიცხვი: ამას ზედა ესმა ბარათი-
ანთა: და იგინი იყუნეს ენაგეთს: და მათთანა იყუნეს ქაი-
ხოსრო თურმანის ძე და სხვანი მეფის ყმები ცოტაოდენი:
დავარდა ხმა და მომართეს ასე ვითა ვეფხთა: და წამოვიდა

*) ვახუშტს ეს ამბავი შეუმოკლებია (ქ. ცხ., გვ. 14).

– 41 –

აქეთ სულხან ბარათაშვილი და მისნი ძმანი: და აქეთ სხვანი
ბარათიანნი: მოეწიუნეს უკანა, შეიბნეს და გააქცივნეს, და
მისჯარნეს ხევსა ხირხალასა: ასე ხოცა დაუწყეს ვითა ქათა-
მთა მართვეთა: ხოლო მოსცა ღმერთმან ძლევა ქრისტიანეთა
დახოცეს ურიცხვი რამეთუ არა იყო განცდა მკუდრისა, სი-
სხლისა რუ დიოდა: რაცა სიკუდილსა მორჩეს ხელთა დაი-
პყრეს: ერთი ასეთი თავადი დარჩა ბარათაშვილს მერაბს რომ
ყენის კარზედ მას ვერავინ სჯობდა: და მეყუისიც იყო ყენი-
სა: ასეთი ძლეუა მოსცა ღმერთმან ბარათიანთა: რომე ერთი
ტყუისა დედაკაცისაგან სამი და ოთხი მუსულმანი მოიყუანებო-
და ყელ დოღბანდიანი: რამეთუ პირველსა ომსა ველარ
მოესწრნეს, ქაიხოსრო, ჯავახი, ქავთარ სოლადაშვილი, და
სხვანი დარბაისელნი: მოუხდეს უკანა მდევარნი დარჩეულ-
ნი ჩაღდაულად დიდნი ლაშქარნი: აქათ არცა ამათ დაუგდეს
გზა: შეიბნეს ოცი კაცი, სამასამდი სპასა თათარსა ხმლითა
წინა დაუდგა: იპრიანა ღმერთმან, და მორჩეს: და ორჯელ
და სამჯერ ცხენები დაუჭრეს ჩამოყრილნი ზედვე შესხდეს:
ჩვენი ქართველთაგანი ერთისა თურმანიძის მეტი არა დაგვა-
კლდა: იგიცა ჯარმან ვეხითა გაიტანა, დიდისა ულუსისა
ჯარისაგან ცოტანი ჩაღთაულნი მაცნედ წარვიდეს, და სხვა
ყუელა ხელთა დარჩა: რა ესმა ესე ქალაქს მდგომთა შეშინ-
დეს და ადგეს, და უკუეყარნეს ციხესა; და თუმცა ბარათი-
ანთა არ გამარჯვებოდა, ძალად ქალაქსაც წართმევდენ და
ქართლსაც შემოეჭიდებოდენ: ამას ზედან იპრიანა ღმერთმან
წყალობით მოხედნა ბარათიანთა მოჭირვებასა: და მასუკანით
თათართა ძალი ველარა უკადრებია, და არცა რბეუა: გატყდეს
და შეშინდეს შეწეუნითა ღვთისათა: ესე მეფე კოსტანტინე
იყო ძე ბაგრატისი, და იმეფა ამანცა კეთილად, ვითარცა
ცხოვრება მისი მოგვითხრობს: და მოკუდა კოსტანტინე მეფე,
ქრისტეს აქათ: ჩუდ: და დაჯდა ძმა მისი ალექსანდრე *):

*) აშიაზე: „ესეც ტყუილია. არა მჯდარა მეფედ, არც ძმა იყო
კოსტანტინესი. ძე იყო, მაგრამ მეფე არ იყო“.

– 42 –

ქრისტეს აქათ ჩუღჭ და მას ჟამს იყო კათალიკოზი დავით, და მოკუდა: და დაჯდა ნიკოლოზი: და იმეფა კეთილად, რამეთუ მას ჟამსა თათართა ძალა არა აქუნდათ: და იმეფა მშვიდობით: და შემდგომად ხანსა რაოდენსამე მოკუდა, და დაჯდა მისწილ დ ძე მისი კოსტანტილე *): ქრისტეს აქათ: ათას ოთხას ოთხმოცდა თორმეტსა: ამას ჟამსა შინა იჯდა კათალიკოზი აბრამ: ამანცა იმეფა კეთილად: რამეთუ მაშინ ათაბაგი ყუარყუარე იჯდა და არა მორჩილებდა მეფესა კოსტანტინეს: ხოლო ამა ყუარყუარე ათაბაგისა ვაჭარი მივიდა ქუეყანასა არემისასა სყიდვად აბრეშუმისა **) და რომელიმე მუნებური ვაჭარი და ესე ყუარაყუარეს ვაჭარი წაიკიდნენ: და წაართვა; და ესრეთ კადნიერებით ეტყოდა, წარვედ პატრონისა შენისა და აუწყე ჭირი შენიო, და ესე არ მიყოს ბატონმა შენმაო, დუქანი არ დამიქციოსო: და ჩემს დუქანზედ ყურით არ მიმაკრასო: და რა ესე უყუეს ვაჭარსა მას წარმოვიდა მსწრაფლ, და მოვიდა ათაბაგისად: და აუწყა ყუარყუარეს ყოველივე საქმე მისი ვაჭარმან მან: და რა ესმა ესე ყუარყუარეს. წარმოვიდა განრისხებული: ხუთასითა რჩეულითა სპითა: გარდმოვლო ფარავანი და ჩამოვლო დმანისი: უმასპინძლეს ორბელიანთა, და წარვიდა: ჩამოვლო ხუნანი, განვიდა მტკუარსა და მივიდა არემს: მიიმღვანა ვაჭარი სახლსა მის არემელისა ვაჭრისსა: შეუხდუნნა კაცნი. გამოიყუანეს კაცი იგი, და მიიყუანეს თავის დუქანზედა და ყურითა მიაქედეს, და წიხლიც უკრა დუქანსა: და ეგრეთვე უყო ყოველივე როგორც მას ეთქუა: და აბრეშუმშიც გამოატანინა ვაჭარსა მას და წამოვიდა უშიშრად: და შემოვლო კახეთი, და შემოიარა ყარაიაზედა, შეულო მცხეთაზედა და მივიდა

*) იქვე: „ეს ურ ყოფილჭა, არც შობილა“.

**) ეს ამბავი ვახუშტს თითქმის სიტყვა-სიტყვით გადუღია თავის შრომაში (ქ. ცხ., 157).

შიდა ქართლსა: ხოლო შიდა ქართველთა არა ინებეს გზისა დანებება, და მეფემან კოსტანტინემ არა უწყოდა საქმე ესე და არცა გამოვლა მისი: და ამისთუის არა ინებეს შიდა ქართველთა უდასტუროდ განტევება მისი: შეიყარნეს გაღმართელნი და გამოღმართელნი: ციციშვილები და უფროსად ზაზა ციციშვილი თაობდა, მაშინ დახუდნენ ათაბაგსა და აუწყეს ქართველთა გაუმზებლობა: მაშინ რა ესმა ესე ათაბაგსა, მოუგზავნა მოციქული და შემოუთვალა ესრეთ: მე თქუენს მამულში არა წარმიხდენია რაო: და თქუენი არა მიმაქუს რაო. ჩვენსა და თქუენსა მტრობა ხომ არა არის რაო ძმობისა და მეზობლობის მეტი თქუენთან საქმე არა მოაქუს რაო: ჩემს მტერს პასუხი უყავ და ჩემს გზაზედ მივალო, თქუენ რას სამართლით მიდგებით წინაო: ხოლო ქართველთა არა უსმინეს და ეწყუნენ ურთიერთას: იქმნა ბრძოლა ძლიერი: ქრისტეს აქათ: ჩუპდ: თვესა აგვისტოსა იბ: არა-

დეთს რომელსა გორასა მას მიერ დღითგან ეწოდების სის-
ხლის ჯვარი: და ვიდრე დღეინდელად დღედმდე სისხლის ჯვა-
რად სახელსდებენ: და იქმნა ეგრეთი ომი რომე ყოველივე
საჭურველები და საომარი იარაღები დაამტვრივეს და და-
შვრენ იმიერ და ამიერ ომითა, და დაიხოცნენ ორგნითვე
მრავალნი კაცნი: და სძლო ათაბაგმან, ამისთუის რომ არას
ემართლებოდენ: და სამართალი იმისი სჯობდა: მაშინ შალი-
კაშვილი რომელიმე იჯდა ურასა კვიცხსა ზედა: იგი შალი-
კაშვილი და მაჩაბელი მიხვდენ ერთმანერთსა: შემოსცა შუბი
შალიკაშვილმა და გაუხეთქა კუბო ფარისა და განავლო მხა-
რსა შიგან, და გარდმოაგდო ცხენიდანა, შეუძახა ესრეთ, აწყუ-
რისა ღვთის მშობლის მადლმა, თუ ურას კვიცს არა ვჯდა-
რიყავ შიგ გაგაგდებინებდიო: მაშინ წარმოიჩოქა მაჩაბელმა
გაიკრა ხრმალს ხელი, შემოუკრა ცხენსა, ცხენს თავი გაუ-
გდებინა და ტახტაზედ დაასო, და შესძახა მაჩაბელმა, სპარ-
სმა წმიდა გიორგიმა თუ გარდმოგდებული არ ვყოფილიყავ
შუა გაგკუთდიო: მაშინ სძლია ათაბაგმა, და შეიქცნენ ქართვე-

– 44 –

ლნი და მრავალნი იქითაც ამოსწყდნენ: მაშინ წარვიდნენ
მესხნი. და ჩამოხდა ათაბაგი ერთსა ადგილსა სიახლოვესა
ნაომრისსა მოსასვენად: მაშინ მესხი ამილახორი მოწყენით
იჯდა ათაბაგთანა: ჰკითხა ათაბაგმან რასათუის მოგწყენიაო,
ნუთუ ომში კაცი ვერ იშოვნეო: მოახსენა ამილახორმა მე
ერთსა კაცსა ხრმალი შემოვკარ და სამკლავიანი ხელი გავა-
გდებინეო: და თუ გინდა წამოდით და გიჩვენებო: წარმო-
ვიდნენ და ნახეს სამკლავიანი ხელი ძეძვში ეგდო: მაშინ
დასჯერდა ათაბაგი: და წარვიდა თუისა ადგილსა: და ვითარ-
ცა ესმა მეფესა კოსტანტინესა საქმე ესე დაუძმძმდა დიდათ
მაგრამ ველარა გააწყორა: ხანსა რაოდენსამე შინა იმეფა კე-
თილად და მოკუდა: და დაჯდა მისწილად ძე მისი დავით...

აქა არღარა იცვლებოდა ერისთავნი და არცა თავადანი *),
ყოველნივე ხევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკუიდრ
ქმნილიყუნენ: და ვისცა მამულს მისცემდა მკვიდრად მიეცე-
მოდა, და ყოველნივე ძლიერ იყუნეს მთავარნი: ერისთავნი
და თავადნი: ხოლო ამა ალექსანდრესა და კოსტანტინესა
ჟამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი, და გურიულნი, და
არღარა მორჩილებდა ათაბაგი; და განდგა კახეთი: რამეთუ
თუით ძველად ნაწერი რომელიმე ვპოეთ კოსტანტინეს ცხოვ-
რება მაშიგან დაგვიწერია:, აღარა შეეწივნენ მოსულასა
სპარსეთისა ლაშქართა: ხოლო ესე ვერა ვსცანიოთ: თუ ბა-
ტონი იმერეთისა და კახეთისა რომლისა თესლისაგან არიან:
და ანუ ვითარ უპყრიესთ ქუეყანანი იგი: ხოლო იმერეთისა
რომელთამე თქუეს ოდეს მამა ალექსანდრესი ბაგრატ მეფე
ჩავიდა იმერეთს, მაშინ თვისნი მისნი დაუტეუა და მიერ-
ითგან ძენი მისნი არიან **): ამა ბაგრატისა შემდგომად რაო-
დენნი მამანი გარდაიცვალნენ, არა უწყი: ხოლო იმერეთისა

*) აშიაზე იმავე ხელით: „ეს ჭეშმარიტია“;

**) სხვა ძველისავე ხელით ვიდასაც ჩაუმატებია: „რომელიმე იტყვი-
ან: ძეთაგანი: ნარინ: დავითისანი: იყვნენ“.

– 45 –

მპყრობელისა ბაგრატის ამბავი ქუემორე დავსწერეთ: ხოლო
კახეთისა მებატონეთა მამა იყო დავით: და ამა დავითის მამა
არა უწყით თუ ვინ იყო *): ესე დავით დიდოეთიდაძე ჩამო-
იყუანეს და კახთა გაიბატონეს: მოკუდა დავით და დაჯდა ძე
მისი ლეუან: და შემდგომად ლეუანისა ძე მისი ალექსანდრე:
ამა კახთა ბატონთა, მას ჟამსა ეპყრა, გარდმოღმართი ლეკის
მთისა: ეპყრა თუშეთი: ხოლო დიდონი არა მორჩილობდენ
ნებისაებრ მისისა: ზემოთ ფშავი, და თიანეთი, სადა შერ-
თუის ფშავის წყალი არაგვსა: მიერთიგან ვიდრე არაგვს გა-
ღმართი, ხეუ ძმორამდის: ხეუ ძმორიდაძე გაყოლილი ლილოს
სერამდის: რადენის სერსა წყალი გასდის: და გაერთუის მარ-
ტყოფის წყალსა, გაყოლით ამართულამდე: გაყოლით ვიდრე
აჯი სუმდე. აჯისუს ვიდრე მტკურის შესართავადმდე: მას ქუე-
მოთი მტკუარს გაღმართი: ვიდრე შაქისის სამძღურამდე:
ხოლო ძესა კოსტანტინესასა, მეფესა დავითს ეპყრა, აჯი-
სუს ზეით უდაბნონი და სამგორს ქუემოთი, ლილო და ლი-
ლოს ქვემოთი და ხეუძმარას ქუემოთი: და არაგუს აქათი: და
ფშავის წყალს აქათი: გუდა მაყარი: და ხეუ ხილაკას აქათი
და კასრის ხევს აქათი: და წედისის მთის გარდმოღმართი:
და კუდარო, და ჭალის მთას გარდმოღმართი: ერწო და მშვილ-
დაურსა და პერანგას გარდმოღმართი: გორას ძირს აქათი:
ლიჩი ღოდორა ქეფინისხევი: და ჩხერის ციხე: და მას ზე-
მოთი ისრე გაყოლით მთის აქათი ხეობა, ვიდრე დვირამდის:
კოდიანს გარდმოღმართი: ნინოს ხევი რომ ჩამოივლის: გა-
ღმით სიმგორისაკენ, ცივწყაროს ხევხევ გაჰყუება გახშული
ბარშიამის მთა ჩამოივლის: ჯანჯლის ციხე სადამოსთავსა:
ბორცვს ზემოთი წაივლის სერსერ, სათხე ქუნცელის თავსა
გარდავლითა: ხენჭურის თავსა, პალაკაციოს მთამდე: რომე-
ლსა თურქნი იელდოღდის ემახიან: პალაკაციოდაძე, სერ-

*) იმავე ხელით: „რომელთამეთაგან: თქმულ: არს: ძენი: აღსარ-
თანისნი: არიანო“:

– 46 –

სერი ჩამოივლის, კარის სოფლის აქათი ერეუნის სამძღვრამდის
ჩამოყოლით ბანზაკი და ლორე ვიდრე ყაზახის სამძღვრამდე:
ეპყრა მეფესა ქართლისსა: ხოლო მპყრობელსა იმერეთისასა:
წედისის მთის აქათი, დიგორის მთის აქათი, ლენტეხი, და
თაკვერი, რომელსა აწ ჰქუიან ლეჩხუმი: ცხენის წყალსა ჩა-
ყოლით, გამოღმართი, და საჯავახოს აქათი, გაყოლით ფერ-
სათის მთას აქათი, ვიდრე ქართლის სამძღვრამდის: ხოლო
დადიანს ეპყრა ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქვემოთი:
სვანეთის მთის გარდმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი:.. და აფხა-

ზეთი ჯიქეთამდის: შარვაშიძეს ეპყრა: და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა: კვალად ეპყრა დადიანს ზღვას შემოდმართი: და რიონს გაღმართი: ხოლო გურიელსა ეპყრა რიონს გაღმართი საჯავახო: იმას აქათი გამოსწურვი ღომის ციხეს გარდმოდმართი: ერგე: აჭარა: და ჭანეთი: რკინის პალოს აქათი: ხოლო ათაბაგს ეპყრა, გურიელის სამძღვარს ზეითი: ფერსათის მთისგარდაღმართი: დვირს ზეითი: აქათ ქართლის სამძღვრამდის: იქით კარის სამძღვრამდის: აზრუმისაკენ გურჯი ბოღაზს აქეთი:.

ხოლო ამას გარდა საქართველონი, რომელინიმე თავის უფალ შექმნილიყუნენ: რომელიმე სპარსთ მიეტაცნეს: რომელიმე ხონთქარსა, და რომელიმე ხაზართა: ხოლო ამან ძემან ალექსანდრესმა კოსტანტილემ შვა ხუთნი ძენი: სახელები მათ ხუთთა ესე არს: უხუცესსა დავით: გიორგი: ბაგრატ: ალექსანდრე: და მეხუთე მონოზანი მელქისედეკ: რომელი იყო კათალიკოზი კათოლიკე მცხეთისა: და მოკუდა კოსტანტინე: ქრისტეს აქათ: ჩფდ: და დაჯდა ძე მისი დავით მეფედ: და ამ ჟამში წარმოგზავნა ხონთქარმა სპასპეტი თვისი ლაშქრითა თუისითა უამრავითა, საქართველოს ზედა: ქრისტეს აქათ: ჩფიდ: და ააოხრეს სამცხე, ჩამოვიდეს, იმერეთს და დაწვეს ქუთაისი: და მივიდეს გელათსა და დაწვეს გელათი: და აღიღეს ალაფი მრავალი: და ვერღარა დაუდგა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა: და წარვიდენ და შეიქცენ

– 47 –

თუისთავე ადგილსა: და შემდგომად მათისა ჩამოვიდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა, და დაიპყრა: კვალად იმერეთი: ხოლო ეპყრა კახეთი ალექსანდრეს: და იყო კაცი კეთილი, და ესვა ორი ძე: და ძემან მისმან უხუცესმან გიორგიმ უღალატა მამასა თუისსა ალექსანდრეს. ჭალასა შინა საფურცლისასა: და მოკლა მამა თვისი, და ძმასა თვალები დასწვა: და ამიერითგან უწოდეს ავ გიორგი: და იქმნა პატრონი კახეთისა, რამეთუ იყო მეფე ქართლისა დავით. და ამის ჟამში იყო კათალიკოზი ბასილი: და მოკუდა ბასილი და დაჯდა კათალიკოზი დორათეოს: და იყო ესე დავით კაცი ლმობიერი მშვიდი და მოშიში ღვთისა: და აღდგა ავ გიორგი დავითზედა და ვერღარა აღუდგა დავით სამძღვრამდის იმერეთისამდე: მოარბეუდის ქართლსა მრავალგზის და თუით მეფე დავით შეამწყვდია ციხესა ატენისასა: მრავალ დღე ბრძოდა და ვერ წაუღო ციხე, და მიიქცა თუისადვე ადგილსა: მაშინ რქუეს ძმათა დავით მეფესა ესრეთ ვითარმედ, მამათა ჩვენთა კახეთი მიუღეს, და აწ ქართლისაცა ჰნებავს. მიღება: აწ ჩვენცა. აღვდგეთ მისზედა და ვბრძოდეთ მათ: ხოლო მეფემან დავით არა ინება: მაშინ თქუა ძმამან მისმან უმრწემესმან ბაგრატ: მომეც მე მუხრანი საუფლისწულოდ ჩემდა: და დროშა დარაჯად ჩემდა იყოს, ერისთავი ქსნისა, და ხეობა არაგვისა და შეუიწიო ძალი ქრისტესი და თემიცა მისი იავარ ვყო: უსმინა ძმამან მისმან დავით მეფემან: და

მისცა ყოველი თხოვილი მისი: მოვიდა ბაგრატ, და აღაშენა ციხე მტვერისა, რომელ არს ციხის ძირის თავსა: და დადგა მუნ: ხოლო რაჟამს სცნა პატრონმა კახეთისამა ავ გიორგიმ: იხმო სპა თვისი რაოდენ ძალებდა ძალითა თუისთა წარმოემართა და მოადგა მტვერის ციხესა ადგა ვიდრე სამთვემდე: მერმე მოუვლინა კაცი ერთი ავ გიორგიმა და გაუგზავნა ღვინო ერთითა საღვინითა და შეუთვალა: ვითარმედ ძე ხარ მეფისა. ნუ უკუე უღვინობითა მიგჭირდეს, და სვი ესე: და ვითარცა მითარვეს ბაგრატს სიტყუა ესე: მას ჰქონდა ორაგული ახალი და ღვინისაწილ თევზი გამო-

– 48 –

უგზავნა და შემოუთვალა: ხანია რომე დგახარ პირსა ქსნისასა, და ვერ გიშოვნია ორაგული და აწ ესე იხმიე. და წარვედ ქუეყანასა შენსა: და რაჟამს მოართვეს ავ გიორგის. მაშინ სცნა სიმრავლე საზრდელისა მათისა და შესწუხებოდა ჯარი მრავალ დღე დგომისაგან: მაშინ წარვიდა თემთა თვისთა და ხანსა რაოდენსამე უკანა შეიყარა სპა თუისი ავ გიორგიმ და წარმოვიდა დარბევად ზემო ქართლისა: მივიდა და დაარბია ზემო ქართლი. და დაბრუნდა გამარჯვებული და წარმოემართა და რაჟამს ესმა ბაგრატს მპყრობელსა მუხრანისასა: შეიყარა სპა თუისი და დაუმზირდა ხევსა მას შინა რომელარს ძალისა და ჭაპურს შუა: და ლაშქარნი ავ გიორგისანი წინა წარმოვიდენ ნაშოვრისა მისთუის. რომელი წარმოელთ: ხოლო ავ გიორგი მცირითა კაცითა უკანა მოვიდოდა და მონადირობდა და არავისი ფიქრი ჰქონდა: და რაჟამს დაუახლოვდა სადა მდგომარე იყო ბაგრატ: მაშინ, შეუტივა გულითა სრულითა, და შეიპყრა ავ გიორგი: და სპანიცა რომელნი მისთანა იყუნენ: პატიმარყო ავ გიორგი მტვერის ციხესა, რომელ არს მუხრანს: ქრისტეს აქათ: ჩვიდ: მაშინ მიუმცნო ძმასა თუისსა მეფესა დავითს საქმე ესე: და რა ესმა საქმე ესე განიხარა ფრიად: და ხანსა მცირედსა, მოკუდა ავ გიორგი: და რომელნი იტყუიან დაარჩვესო: და რომელნიმე იტყუიან თავისსა დღით მოჰკვდაო: აღაშენა მცხეთას მცირე ეკლესია მთავარ ანგელოზისა ჩრდილოთ კერძო: და მუნ დამარხეს: და მიერთგან იტყუიან კახი ბატონნი რომე მცხეთა სამარხო არისო ჩვენიო: ხოლო შემდგომად ავგიორგის დაჭერისა: დაიპყრო კახეთი მეფემან დავით: და დარჩა ძე გიორგისა რომელსა ეწოდა ლეუან: მცირედ: და წარმოიყუანეს ყრმა იგი დედითურთ: და დააყენეს პატივითა სახლსა ჩოლყაშვილისა გარსევანისასა: რომელი იყო სახლთ უხუცესი: რამეთუ ეყოდა დედასა მისსა: და რა სცნა მეფემან დავით წარავლინა ძმა თუისი ბაგრატ და ერისთავი ქსნისა, და ამილახორი: რათა დასჩხრიკონ კახეთს მსახლო-

– 49 –

ბელნი დიდით ვიდრე მცირემდი: რათა იპოვონ ყრმა იგი:

მაშინ წარვიდენ საძებნელად, დასდევს შიში და ზარი ყოველთავე კაცთა ზედა: და დააფიცეს რათა არა უწყოდენ ყრმა იგი, თუ სადა არს: და ყოველთავე შეჰფიცეს რომე არა ვიცით რაო: შემდგომად მოვიდნენ სახლსა ჩოლაყაშვილის სახლთხუცესისასა გარსეუანისასა: და მოეპოვა გარსევანს საქმე ესე: რამეთუ მოიყუანა ყრმა იგი ლევან მონისა თუისისა მისა მსგავსად: და მას დღესა მეღვინეთ იმსახურებდა ყრმასა მას: ვითარცა მონასა: და დღესა მეორესა შეფიცა ფიცითა საშინელითა ბაგრატს: ვათარმედ რაოდენიცა თქუენ ჩემსა სახლში არ იხილენით: და რაც თქუენმა თვალმა არ ნახა იმის მეტი არა მყუანდეს: არც დიდი კაციშვილი და არც ცოტასი: შეიჯერა ფიცითა ამით: და ესენი რა წამოვიდნენ, ბაგრატ და ერისთავი და ამილახორი: მაშინ ჩოლაყაშვილმა გარსევან ველარა თავისდვა სახლსა თუისსა დაფარვა ლეუანისა და წარმოიყუანა, და შეიყუანა ციხესა მას ოჩონისასა: რომელ არს თავსა ივრისასა: შემოეხვივნენ ზემოურნი, და გარემონი კახნი: და მიერთვნენ ლევანს წარმოემართა და ჩამოვიდა კახეთად: და ესმა ესე დავითს მეფესა: შიყარა სპა თუისი და წარემართა კახეთად: გარდავლო გომბორი, და ჩავიდა კახეთად: და შემოეყარნენ კახნი ისრეუე მეფესა დავითს: და ველარა აღუდგა ლეუან წინა: ივლტო... ვისთა: *) ხოლო ლეუან დაიპყრა კახეთი: და მოიყუანა ცოლად ასული გურიელისა თინათინ: ამა თინათინისას იტუიან, სიყრმესა შინა ნახა ჩვენება ესე: შეგირთავს მთავარი ვინმე: და მისვლასა შენსა ადგილისა ერთსა უჩვენა ნიშანი და რქუა ესრეთ და მუნ იქმნება შინდი თეთრი ერთი: და უშენე მონასტერი ერთი დედასა ღვთისასა: ხოლო რაჟამს მოიყუანეს შუა მთასა და ჩამოახდინეს განსასვენებელად: და რაჟამს იხილა თინათინ ადგილი იგი, იყო ყოველივე ნიშნეული ჩვენე-

*) აქ დედანს აკლია.

ბისა: და შინდი თეთრიცა: რაჟამს იქორწინეს, შემდგომად აღაშენა ეკლესია შუა მთისა: და დაადგინა მოძღვართ მოძღვართ და შვა ორ ძე ალექსანდრე, და ვახტანგ: და მიიცვალა თინათინ: და დაემარხა ეკლესიასა თუისსა შენებულსა: ამისთუის არა დაეფლა ქმრისა მისისა თანა რამეთუ იყო ლევან კაცი მეძავი: და შემდგომად ისვა ლევან სხვა ცოლი: ყარა მუსალის შამხლის ასული: მანცა უშვა ძე სამი: გიორგი: ელიმირზონ: და ქაიხოსრო: ხოლო მეფე ქართლისა დავით იყო თუისთა: ხანსა რაოდენსამე უკანა იქმნა მონოზან. და ჰყვანდა სამნი ძენი, ლუარსაბ: დემეტრე: და რამაზ: მისცა მეფობა თუისი ძმასა თუისსა უმრწემესა **გიორგის**: მეფე დავით ხანსა რაოდენსამე უკანა მიიცვალა ქალაქსა ტფილისისასა: ქრისტეს აქათ: ჩგვზ: ხანსა რაოდენსამე მეფობდა გიორგი: და მას ჟამსა შინა იყო კათალიკოზი მელქისედეკ, ძმა მისი: ხოლო ამას ჟამში წარმოუგზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს

გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს: და მპყრობელსა კახეთისასა ლეუანს, ვითარმედ საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი, სჯულისა თქუენისანი, დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს: მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მომიცემიაო: ხოლო რა ესმა მეფესა გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა და კახეთისასა, და ყოველთავე მორჩილთა ბრძანებისა მათისსა. განიხარეს: და შეიყარეს სპა და გაემართნენ: და რა მივიდნენ იერუსალიმსა და ესმა მუნამყოფთა მისვლა ამათი: წარმოუგზავნა კაცი და ესრეთ შემოუთვალა: უკეთუ სტუმარხართ მაშ მტრობა რა არისო, და სტუმრათ ბეურნი ხართო: და უკეთუ ბრძოლად მოსულხართ მცირედნი ხართო: ხოლო ამათ მიუმცნეს ბრძოლად მისვლა: რა ესმა მათ საქმე ესე გამოვიდნენ და ეწყუნენ ურთიერთას, და იქმნა ბრძოლა ძლიერად და მოსცა ღმერთმან ძლიევა ქართველთა და საფლავმა ქრისტესმა დაგამარჯვათ: და მეოტნი შევიდნენ ქალაქსა შინა და გაამაგრეს: ხოლო მიჰყუნენ ქართველნი და აართვეს ციხე და ქალაქი და მოსრნეს მუნა მყოფნი მრავალნი ყოველნივე: და

განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი, და ყოველნი წმიდანი ადგილნი: და მიუმცნეს ხვანთქარსა საქმე ესე და წარმოუგზავნა ხალათი და წყალობა მრავალი: და მოსცა ქრისტეს საფლავი: გოლგოთა: ბეთლემი: ჯვარის მონასტერი: და სხვანი მონასტერნი: ყოველნივე ხონთქარმა მათ სიგლითა მტკიცითა: ხოლო განიხარა მეფემან გიორგიმ და ბატონმა ბაგრატ და ლევან: და წარმოვიდნენ თვისსა ადგილსა, და მოვიდნენ მშვიდობით გამარჯვებულნი და განიხარეს: და შემდგომად ამისა, ათაბაგი ყუარყუარე მიუდგა ხონთქარსა: და რა სცნა ესე მპყრობელმან იმერეთისამან ბაგრატ, შეიყარა სპა თვისი იმერელნი და მიუვლინა კაცი კახაბერსა, გურიელსა, და მოჰყუა იგიცა ბაგრატს: გარდავლეს მთა და მიუხდენ ყუარყუარე ათაბაგსა მუჯახეთს: და დახვდა ათაბაგიცა და შეიბნეს, და ეწყუნეს ურთიერთას: და იოტნეს ბანაკნი ათაბაგისნი: და მერიქიფემა კახაბერის გურიელისამა ისავ: ართუმელაძემა ჩამოაგდო ათაბაგი ყუარყუარე: დაიჭირა და მოართვა გურიელსა: და გურიელმა მოართვა ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისასა: დაიპყრა ბაგრატ საათაბაგო: ქრისტეს აქათ: ჩფლდ: და გარდებვეწა ოთარი შალიკაშვილი: და წარყვნა შვილი ათაბაგის ყუარყუა*)... მაზ სარდალი **) და

*) ამის შემდეგი ფურცლები დაკავრულია და დარჩენილა მცირე ნაგლეჯი, რომელზედაც სწერია:

ით ვედარ გ.
ყუეს შენება: დაიწყეს სიმაგ
წყუიტეს: წართვეს გურიელსა და თვი
მაშინ ჰპატრონობდა ბაგრატ იმერეთს და ეპყ
.
.
.	სცნეს

თა არღარა წამოვიდნენ რი
მოვიდა ვახტანგ გურიელთანა ბათომსა:
გურიელი და გურიულნი იქ დახუდენ: ვინაითგან
**) აქედგან სხვა ხელით და მეღნით.

– 52 –

სხვანიცა მივიდეს და დაეგნეს ნაზარ ალიხანს: ხოლო
ჟამსა ამას დიდად მძღავრობდეს ლეკნი კახეთს და მტერობდეს
ურიცხვითა ავაზაკობითა და პარვითა: ამისთუისცა განი-
ლაშქრეს მათზედა კახთა: და მისცა ქალბალიხანცა ნება: და
შეკრბა სრულიად მკუიღრნი კახეთისანი და შეუხდეს ჭარსა:
ხოლო ლეკნიცა: განეწყუნეს სიმაგრეთა შინა: და დიდად:
იზღვივნეს კახნი: ლეკთა მიერ: მოისრნეს მრავალნი თავადნი
აზნაურნი: და უფროსად გლეხნი: მოსწყუიდნეს პირითა მახვილი-
სათა: და იოტნეს იგინი და იავარ ყუეს ხვასტანგი და:
ქონებანი მათნი: და ესრეთ ოტებულნი წარმოვიდეს: მაშინ
ნაზარალიხან განაზრახა ქალბალიხანს: და წარგზავნეს: წინაშე
ყეენისა: მუხრანის ბატონი პაპუა: ქსნის ერის თავი დავით:
და სარდალი თამაზ: მისა თვისისა მამუკათურთ: ხოლო ოდეს
შთავიდეს ისპაანს: პაპუა მუხრანის ბატონი: და თამაზ სა-
რდალი: და ქსნის ერისთავი პყრობილნი წარგზავნეს ქირ-
მანს: ხოლო ქაიხოსროს ძმის წულსა მეფისასა არა
კეთილად შემწყნარებელმან ნაზარალიხან: მიუღო და-
ბანი და მამულნი რომელნიც ეპყრა მას: და ამისთვის
ადარ დაიმდაბლა თავი: და წარვიდა წინაშე ყეენისა: რამეთუ
თანაშემწე აქვნდა: ქალბალიხან: და მემანდრითა: და პატი-
ვითა წარგზავნა იგი: და ვითარცა შთავიდა ისპაანს
ქაიხოსრო: განიხარა ყეენმან: და: პატივსცა მამასაცა მისსა
და თვით მასცა: ხოლო ერეუნის ხანი: და ქალბალიხან მო-
შურნე იყვნეს ურთიერთას: და ამისთვის განიზრახა ერეუნის
ხანმა და მისწერა წიგნი მეფესა გიორგის: რათა პირობითა
და თავდებობითა მისითა დაეგოს იგი ყეენსა: რამეთუ ეტ-
ყოდა ვითარმედ არარა ბოროტი გიქმნიესო სპათა მისთა
ყაზილბაშთაზედა: ამისთვისცა მე ვიყო თავს მდები შენი:
რათა არა გეყოს შენ ზღვევა: არამედ უფროსად სარ-
გებელი და წყალობა და მრავალწილად კეთილის ყოფა ყე-
ენის მიერ: კვალად ამასვე პირობასა აღუთქმიდა და დი-
დად წადიერებით ეზრახებოდა მეფესა ქალბალიხან და

– 53 –

იღუწიდა პირითა მისითა დაგებასა ყეენისასა: არამედ
არა ინება მეფემან მისმიერ: არამედ მიერცა: ერეუნის
ხანსა და იქმნა მეგობარ მისსა: ხოლო ერეუნის ხანმა
აუწყა ესე ყეენსა და განიხარა სიხარულითა დიდითა
შაჰასულთან უსეინ ყეენმა და გებად მეფისა გიორგისა: და
მისცა ერეუნის ხანსა წყალობად თოფანგჩიადასობა: რომელარს
ყოვლის მეთოფისა ბატონობა და უფროსობა: და წაიყუანეს
ზურაბ ზურაბიშვილი ყეენთანა და მივიდა თოფანგჩიადასთანა:

და ვითარცა შთავიდა ისპანს: განიხარეს თვით მან ყეენმა და ყოველთავე დიდებულთა მისთა: შთასლვა მეფის გიორგისა: და მსწრაფლ აღუსრულეს ყოველივე სათხოველი მეფესა: და მოსწერეს რაყმები და წყალობა: და წარმოგზავნეს მალე მსრბოლი: და მოვიდა იმერეთს: სახლსა შინა წერეთლისასა საჩხერეს: და ერეუნის ნაიბი და სხვანიცა დიდებულნი ყეენის ბძანებითა წარმოგზავნეს: რათა მრავლითა დიდებითა და პატივითა ხელმწიფურად ხელისა წარმართებითა მსახურ ექმნენ მეფესა: და: მიათმიდენ შემსგავსებულსა ულუფითა და სანოვაგეთა განწესებითა: და განემზადა წარსვლად: მაშინ იყო ვინმე: იმერელთ ბატონის ბაგრატის ნაბიჭვარი: და მას ხვანთქრის ვეზირ აზამსა: და ქრთამითა მოიმაძღვრეს იგი და: მისცეს ბატონობა და შთამოიყუანეს იგი და გააბატონეს: რამეთუ იყო ესე კაცი შეუგვარი და უღირსი ბატონობისა: ხოლო არჩი *) მეფე გარდაადღეს: და მისცა აბაშიძემ გიორგიმ ცოლად ასული თვისი ცოლყოფილი ალექსანდრესი: და წარვიდა არჩილ მეფე ზრამაგას: ამასზედა მოუიდა მეფესა გიორგის: მემანდარი ყეენისა: და გარდავლო მთა: და მივიდა აღს: მაშინ დაუტეუა ქართლს სულაიმან ძმა თვისი: ცოლშვილითა: და კათალიკოზი ნიკოლოზ რამეთუ ჟამსა ამას შინა გარდაცვალებულ-

*) უნდა იყოს არჩილ.

ლიყო ამილახორი გივი: კაცი: პატიოსანი ყოველითურთ იმერეთს: და ძე მისი ანდუყაფარ და ესენი ყეენის ბრძანებითა დააყენეს ქართლს: და წარიყუანა თანა: ისპანს არაგუის ერისთავი: გიორგი და წარვიდა მეფე და: მოართვეს ყიზილბაშათა არმაღანი მრავალი: და დიდისა დიდებითა შთავიდა ისპანს...

ტექსტის გადაწერის შემდეგ ხან აშიაზედ და ხან სტრიქონებ შუა მეფეების ცხოვრების დასაწყისად წითელის მეღნით მიწერილია:

გიორგი ძე		
ბაგრატ ძე		
ცხოვრება მეფე გიორგისა	დთ	
მეფე დავით	ო	ჩტნე
მეფე ალექსანდრე	ოა	ჩტნიბ
მეფე გიორგი	ობ	ჩტჟგ
მეფე ალექსანდრე	ოგ	ჩუიბ
მეფე ვახტანგ	ოდ	ჩუით
გიორგი	ოე	ჩუმე
ბაგრატ	ოვ	ჩუნე
კოსტანტინე	ოზ	ჩუდა
ალექსანდრე	ოძ	ჩუძე

კოსტანტინე
მეფე დავით
მეფე გიორგი

ოთ ჩუქბ
ჰ
ჰა ჩფვზ

სტამბაში ზოგიერთ გადაშენებულ ასოების უქონლობისა
გამო ტექსტში ვერ ვიხმარეთ იგინი.

– 55 –

თვითონვე გვიწვევენ!

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა
შეიქმს ხმელსა ნედლადა“ (შოთა).

მართლის სამართლით ჩვენის გამოცემის გაჩხრე კისა და
თუნდ ქარცეცხლში გატარების უფლება ყველას აქვს, – აქ ჩვენ
არათუ საწინააღმდეგო, მაღლობის მეტი არა გვეთქმის-რა,
ხოლო როდესაც ჩვენ მიერ დიდის რუდუნებით შესრულებულ
საქმეს ეპყრობიან უსამართლოდ, პირად ჟინის მოსაკლავად თუ,
ვინ იცის, რა მიზეზითა და მოსაზრებით ვერ ხედვენ იმას,
რაც ჩვენს შრომაში არის, ხედვენ მას, რაც მასში არ არის
და არც უნდა იყოს, აქ კი იძულებული ვხდებით სათანადო
პასუხი მივაგებოთ არამკითხე მოამბეთ, მით უმეტეს რომ მა-
თი გამოსვლა, მერე ისიც გავრცელებულს გაზეთში, დახმარე-
ბის მაგიერ აუარებელ ზარალს აყენებს ჩვენს უანგარო გა-
მოცემასა...

ა. ჩვენი „ქართ. გრამატიკა“ და ბ-ნ აბულადის
სწორმეტყველება. ი. აბულადის ბიბლიოგრაფიული წერი-
ლი „ქართული გრამატიკა მ. ჯანაშვილისა“ რომ დაიბეჭდა
„ისარში“ (№-ები 5, 6, 8, 110, 11), ერთმა სახელოვანმა
ქართველმა მკითხა: „ვინ არის ეგ აბულადე, რომელიც შენს
წიგნზე სწავლობს დალაქობას“. სწორეთ ზედგამოჭრილი და-
ხასიათებაა. მართლაც-და მკითხველმა არ იცის, სად იწყება
და თავდება ბიბლიოგრაფია და სად თვით ავტორის მეცნიე-
რება. ჩამოაგდებს რა ლაპარაკს ვითომდა ჩვენ მიერ „შე-

– 56 –

ქმნილ“ თერმინებზე, გააბამს ჭრიაშვილისებურ წილადობი-
ლას ქართულ ბრუნვების შესახებ და „დაამტკიცებს“, რომ
ბრუნვათა რიცხვი შვიდი კი არა, რვაა („ისარი“, № 6, გვ.
4, სვეტი 2), მაგრამ არც რვა, არამედ სრული ცხრა და
მათგან მეექვსე ორის განყოფილებით („ისარი“, № 8, გვ. 4,
სვ. 1), აღძრავს რა კითხვას შესახებ ვითომდა ჩვენ მიერ
არც ერთი სიტყვით არ მოხსენებულ მიმართულების მაჩვენე-
ბელ ნაწილაკებისა, კვლავ გააბამს დაუსრულებელ და მო-
უნელებელ მოთქმას იმის შესახებ, რომ პროფ. მარს არ
სცოდნია, რა არის მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკი
და რა „პრედლოგი“ (№ 10, გვ. 4, სვ. 2), ხოლო ამ მი-
მართულების მაჩვენებელ ნაწილაკების მნიშვნელობა ისეთი
ძრიელი ყოფილა თურმე, რომ ცალკედაც იხმარება (აბა

ამას კოლუმბიც ხომ ვერ აღმოაჩენდა!) და, თურმე, მხოლოდ აბულადის მიერ „მოყვანილ მაგალითებს დაურწმუნებია იგივე მარრი (დახეთ ერთი და!) თავის შეცდომაში“, რაიც აღუნიშნავს თავის შრომაში „Тексты и разыск. по Армяно-груз. Филологии, вып. IV, გვ. 64-65-ზე („ისარი“ № 10, გვ. 4, სვ. 1 | 1) და არათუ აღუნიშნავს (თუმცა ჩვენ ხსენებულ კაბადონებზე ვერსად ვნახეთ აბულადის ხსენება!), არამედ თურმე იმავე მარრს თავისი შრომის იგივე კაბადონები „დაუსუქებია ჩვენი (=ი. აბულადის) კომენტარიებით. კარგი საქციელია!..“ („მოგზ., 1902, № VI *), გვ. 397).

როგორ მოგწონთ? სად ჩვენი გრამტიკა, სად პროფ. მარრის მიერ აბულადის ნასიბრძნის თითქმის მითვისება და მით თავის საკუთარ ტექსტების დასუქება! განა ესეთი ბიბლიოგრაფიის წერაც გაგონილა, განა ეს „კარგი საქციელია“!.. მაგრამ ესამც წაუღია ჩაილულის წყალს! ჩვენ თვით ავტორის ნასიბრძნი განვიხილოთ.

*) „მოგზაურის“ ამ №-ზე გვითითებს თვით ი. აბულადე.

– 57 –

ბრუნვები. „ჯანაშვილს შეაქვს შესწორება იმ თერმინოლოგიაში, რომელიც ბ-ნ ხუნდადის მიღებული ან შექმნილია (?)... განვიხილოთ, თუ რამდენად მოხერხებულია ჯანაშვილის შექმნილი (?) თერმინები... სახელობითი მეორე, შემოქმედებითი, ზმნისზედითი („ისარი“, № 6).

წარმოიდგინეთ, მკითხველო, არც ერთი ამ თერმინთაგანი ჩვენ მიერ „შექმნილი“ თუ შეთხზული არ არის.

სახელობითი მეორე = წინანდელი მოთხრობითი ბრუნვა. ბ-ნი აბულადე გვამცნევს რა, რომ „ახალის თერმინის შემდგენელმა უნდა შეუფარდოს იგი ხმარებულ ფორმას“, განაგრძობს: „ბრუნვა მან-ის დაბოლოებით ყოველთვის (???) დამოკიდებულია მოქმედების (?) გვარის ზმნისაგან წარმოებულ ნამყო *) სრულსა და მეფემდის *) პირობისა და ბრძანების კილოებში“ („ისარი“, № 6, გვ. 3, სვ. 5).

ნუ თუ ამას აბულადეს გარდა კიდევ იტყვის ქართულ ენის რომელიმე მასწავლებელი?

აი, მაგალ., ჩვენ ვამბობთ „ალლაჰმან უწყის“, „ღმერთმან იცის“; ნუ თუ ეს უწყის, იცის ნამყო სრულია, ან მყოფადი და არა აწმყო?

რწყილმა ისკუპა. მეცნიერმა მოისვენა. მონადირემ ბევრი იარა. ნუთუ ისკუპა, მოისვენა, იარა, მოქმედების გვარის ზმნებია, რომ ითხოვენ მან-ით დაბოლოებულ ბრუნვას?

მამა დადის, მამამ იარა, მამა იარების
ყმაწვილი რბის, რბოდა, ირბენს, ყმაწვილმა ირბინა
ძმა იცინის, იცინოდა, ძმამ იცინა, ძმას ეცინა
კალია ხტის, კალიამ იხტუნა, კალიას ეხტუნა
მამამან იცის, იცოდა, იცოდეს

მამამან ჭამის, ჭამოს, კაფის, სჭამა, ჰკაფა
მამა სჭამს, სჭამდა, ამბობდა, გვითხრობდა
მამას უჭამია, ეჭამა, ეკაფა, ეთქვა, ეამბნა, ეთქვამს.

*) ქვეგახაზულობა ჩვენია.

– 58 –

განა ყველა ეს იოტის ოდენად მაინც უახლოვდება
აბულამის ნათქვამს „მოთხრობით“ ბრუნვის შესახებ? განა
აქ მართო „მოქმედების გვარის ზმნის ნამყო და მყოფადი
მოითხოვს ბრუნვას მან-ით? და ან რომელია აქ „მოთხრო-
ბითი“ ბრუნვა – მამამ, მამას თუ მამა?

გრძლად ვერ გავაბამთ ლაპარაკს შესახებ იმისა, თუ
„მოთხრობით“ ბრუნვას რისთვის ვუწოდეთ სახელობითი მე-
ორე, შევნიშნავთ კი, რომ კაკ-ელისენსა და ზოგიერთგან
სხვაგან სიტყვები, რომლებიც ქართულში იწინით ბოლოვ-
დებიან, უინოდ იხმარებიან *): კაც, ღმერთ, თავ, თოლ
და სხ. ძველს მწერლობასა და საზოგადო ხალ ხურ ენაშიაც
შეხვდებით ამას, მაგალ., სახელებში თამარ, ტარიელ,
არჩილ, აგრეთვე გამოთქმაშიაც, მაგალ., „ესხნეს ძეებ და
ასულეზ მრავლად“. მაშასადამე გვაქვს:

სახ. 1: და (ი), ხე (ი), რკო (ი), ყრუ (ი), კაც (ი)

სახ. 2: და-მან ხე-მან რკო-მან ყრუ-მან კაც-მან

იკანკლედება მხოლოდ ნაცვალსახელი ი=დ

ზმნისზედითი (წინანდელი განვითარებითი) ბრუნვა.

პეტრე ინიშნება მოხელედ

ღმერთნი ისხდნენ ღმერთად

სოფელი ჩალად უჩნს, ცა ქუდად არ ყოფნის.

რაა აქ განვითარებითი, გინდ ვნებითი? არაფერი. ზმნის-
ზედითი კი ჩვენ ვარჩიეთ მისთვის, რომ მისი დაბოლოება და
აგრეთვე ქართულ-მეგრულ ზმნისზედებისა და სუპინუმისაც
ერთნაირია – ად=ოთ, ა=ო, და, ამას გარდა, ეს თერმინი
(ზმნისზედითი) შეიგუებს ყოველგვარ მოქმედებას – ვნებითს,
განვითარებითს, გარდაქცევითს და სხვა. ამ ბრუნვას ასრევე

*) თითოთოროლა თუ იწინითაც, მაგრამ ისინიც უპირობად ვერ თავ-
სდებიან, მაგალ., ბურანი (ბორანი. საჭმ.), ტრი (გრძელ კუდიანი
ცხვარი).

– 59 –

უწოდებს თ. ჟორდანიაც, ორ დაწუნებულ ბრუნვის სახე-
ლებიც, როგორც ზევითაც ვთქვით, ჩვენი მოგონილი
არ არის, და ამიტომ ვკვირობთ, რაღად არწმუნებს საზო-
გადოებას ბ-ნი აბულამე, რომ, ვითომ, ჩვენ შეგვექმნას რა-
ღაცა ახალი თერმინოლოგია ქართულ ბრუნვებისთვის!

ზ ე დ შ ე ს რ უ ლ ე ბ ი (=ზედსართავები). „ჯანაშვილს არ

მოსწონს ბ-ნ ხუნდაძის ამგვარი კანკლედობა და ამიტომ მოჰყავს თვისების სახელის მძლავრი (!) ბრუნვები უ-ინოდ, რაც, ჩვენის აზრით, შეცდომაა“. შემდეგ ამისა ჩვენ შესასწავლებლად ბ-ნ აბულაძეს მოჰყავს თავით თვისით მოგონილი ესრეთი კანკლედობა:

- | | |
|-----------------|---------------------------------------|
| 1) სახელ. | წითელი პერანგი |
| 2) თვითმოქ. | წითელმა პერანგმა |
| 3) საკუთ. | წითელი პერანგის |
| 4) მიცემ. | წითელ პერანგს |
| 5) სურვ. შემავ. | წითელ პერანგს |
| 6) დამატ. | 1) წითელ პერანგს
2) წითელი პერანგი |
| 7) მიმართ. | წითელ პერანგად |
| 8) მოქმ. | წითელ პერანგით |
| 9) წოდებ. | წითელო პერანგო |

არ ვიცი, რისთვის და ვისთვის გამოსადეგია ეს abracadabra, რომელი მასწავლებელი იკისრებს და თავის მოწაფეებს შეასწავლის ამისთანა კანკლედობას! ყველამ, გარდა აბულაძისა, იცის, რომ ზედსართი (ზედშესრული) იკანკლედება ან სავსებით, ან შემოკლებით, ხოლო ქართულ ენის კილოებში კი – მართო შემოკლებით. შეადარე:

(შ ე მ ო კ ლ.)	(ვ რ ც ლ ა დ)
ს. წითელი პერანგი	წითელი პერანგი
ს. 2 წითელ პერანგმა	წითელმა (ნ) პერანგმა (ნ)
ნათ. წითელ პერანგის	წით (ე) ლის პერანგის (ა)

– 60 –

მიც. წითელ პერანგს	წითელს (ა) პერანგს (ა)
შემ. წითელ პერანგით	წით (ე) ლით (ა) პერანგით (ა)
ზმნზ. წითელ პერანგად	წით (ე) ლად პერანგად
წოდ. წითელო პერანგო	წითელო პერანგო.

ასრეა ქართულის ენის კანონით და ასრეც აღვნიშნეთ მაგალითები ჩვენს გრამატიკაში (გვ. 30), საცა, როგორც ფიცულობს აბულაძე, ვითომ არ იყოს მოყვანილი რაღაც „მძლავრი ბრუნვები“. იქ (ჩვენის გრამატიკის გვ. 30), სხვა-თა შორის, სწერია:

სახ. 1 კეთილი კაცი	კეთილი კაცი
სახ. 2 კეთილ კაცმა	კეთილმან კაცმან
ნათეს. „ კაცის	კეთილისა კაცის
მიც. „ კაცს	კეთილსა კაცსა
შემოქ. „ კაცით	კეთილითა კაცითა
ზმნზ. „ კაცად	კეთილად კაცად
წოდ. „ კაცო	კეთილო კაცო.

მხოლოდ ეს ორი ფორმა (შემოკლებული და ვრცელი) მი-

გვაჩნია სწორ ქართულად, ხოლო აბულაძისებური კი უსწოროდ, ვინაიტგან ქართულის კანონები მოითხოვს ან შევამოკლოთ ზედსართი და ან სრულად დავაბრუნოთ სახელარსებითთან ერთად. ვამბობთ, მაგალ., „წითელმა პერანგიანმა კაცმა“ „წითელ პერანგიან კაცმა“; „ბერო კაციო“-სთან ერთად გაიგონებთ აგრეთვე ფორმას „ბერ კაცო“, „ბერ კაც“, ვინაიტგან მეგრულსა, სვანურსა და ზოგიერთგან სხვაგან წოდებით ბრუნვის ფუნქციას ასრულებს სახელობითი 1-ლი. ვურთავ აქვე ინგილოურ კანკლედობას:

ს. 1:	ლამაზ ცხენ	ლამაზ ცხენ-ებ
ს. 2:	„ ცხენ-მა	„ ცხენ-ებ-მა
ნათ.	„ ცხენ-ი (ს)	„ ცხენ-ებ-ი(ს)
მიც.	„ ცხენ-ს	„ ცხენ-ებ-ს
შემ.	„ ცხენ-ით	„ ცხენ-ებ-ით

– 61 –

ზმნზ.	„ ცხენ-ად	„ ცხენ-ებ-ად
წ.	„ ცხენ-ო	„ ცხენ-ებ-ო

ამ გვარადვეა მეგრულშიაც, აგრეთვე ქართულში, როდესაც იკანკლედება მიჩემებითი ზედსართი სახელარსებითთან ერთად:

(მეგრ.)

ს. 1	ჭითა ცხენი	მამის შვილი
ს. 2	„ ცხენქ	„ შვილმა
ნ.	„ ცხენიში	„ შვილს
მ.	„ ცხენს	„ შვილის
შემ.	„ ცხენით	„ შვილით
ზმნზ.	„ ცხენო	„ შვილად
წ.	„ ცხენი	„ შვილო

ჭითა ცხენიშოთ=წითელ ცხენისთვის (=წ. ცხენისად).

თვით ძველს მწერლობაშიაც, როგორც საინგილოში, ა ხშირად ისპობა, მაგალ., „წარმოვედ დასასრულსა მის კლდისასა, სადა ძუელ ქალაქი ყოფილიყო“ (შატბ. კრებ., გვ. 25).

ზმნები. თუმცა „ჯანაშვილს შვენიერად აულია ზმნების ალლო, მაგრამ მასაც ბევრი რამ არსებითი აკლია; მაგალ., ჯანაშვილს არა აქვს არც ერთი (?) სიტყვა მიმართულების მაჩვენებელი (მაჩვენებელ!) ნაწილაკების შესახებ (ბ-ნ ხუნდაძის, ჯერჯერობით ერთად-ერთ ქართველი (ქართველ!) გრამატიკოსის თავსართები *), რომლებზედაც დამოკიდებულია ყოველი ზმნის (?) აზრი და მნიშვნელობა. ამგვარია, მაგალ., მიმართულების მაჩვენებელი ნაწილაკები ა, შე, მო, მი, გა, გამო და სხ.“ („ისარი“, № 10, გვ. 4, სვ. 1).

ეს მტკნარი სიცრუეა. პირიქით, ჩვენს გრამატიკაში ამ საგნის შესახებ იმდენი ლაპარაკია, რომ მის ბეჭდვის დროს

*) ქვეგახაზულობა ჩვენია.

– 62 –

კიდევ ვფიქრობდით, გაგვიწყრებიან, რომ ამ თავსართებს ამდენს ადგილს ვუთმობთ ჩვენს წიგნშიო. გადაშალეთ, მაგალ., ჩვენის გრამატიკის მე 68 გვ. და იქ წაიკითხავთ: № 44. ზმნის თავსართები. ა) მარტივნი: ა (ღ), გა, წა (რ), შე (=შა), მო (=მა), მი, და, ჩა (=შთა), წა (=წე) და სხ. ბ) რთულნი: ა (ღ) მო, გამო, ჩამო, შემო, მიმო... (ჩამოთვლილია ბევრი კიდევ სხვა და მერე შენიშვნა. თავსართები გვიჩვენებენ მიმართულებას. ურთიერთის საწინააღმდეგო მიმართულების მაჩვენებელია: ალ – ჩალ, მი – მო, გა – შე, გადა – გადმო, აღმო – ჩამო...“ (ჩამოთვლილია მრ. სხვაც და მერე მოყვანილია ქართულ-მეგრულ-სვანურიდამ მაგალითები მიმართულების მაჩვენებელ ყველა თავსართებზე (იხ. ქართ. გრამატიკ. გვ. 68-70 და სხ.).

აბულაძე კი იფიცება არც ერთი სიტყვა არ არისო!

ახლა ვიკითხოთ, ეს სიცრუე რად დასჭირდა ბ-ნ აბულაძეს, რად იტყუილა, რომ, ვითომ, ჩვენ „არც ერთი“ სიტყვა არა გვექონოდას მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკების ა, შე, მო, მი, გა, გამო და სხ. შესახებ? იმად, რომ ჩამოვედო ლაპარაკი შესახებ ნ. მარრისა, რომელმაც თურმე აბულაძისაგან ისწავლა მნიშვნელობა თავსართისა და „პრედლოლისა“ და არა თუ ისწავლა, არამედ პატამორჩ მისი ნასიბრძნი არ მიითვისა, რადგან მით „დაასუქა“ თვისი ტექსტები!!!

აშკარაა, მარრის ამისთანა „უკადრის საქციელის“ აღსანიშნავად აბულაძე აღარ შედრკა სიმართლის გადაგრეხის წინაშე, დასწერა საზიზღარი ტყუილი და მით სწორეთ თვითონ ჩაიდინა უკადრისზედ უკადრისი საქციელი!

სა=ო=ლა=ლე. ჩვენის გრამატიკის მე № 12-ში ვლაპარაკობთ უმთავრეს საწარმოვო ნიშნების შესახებ. სხვათა შორის, აქ აღვნიშნავთ, რომ ქართული სა უდრის მეგრულს ო, სვანურს ლა, ლე, და, მოგვყავს-რა მრავალი მაგალითი, იქვე დართულ შენიშვნაში ვამბობთ, რომ ქართულშიაც შეი-

– 63 –

ნიშნებაო ლა, ლე, მაგალ., სახელებში ლა-წულაანთ-კარი (დუშეთ. მაზრაში) და სხ. ამის გამო აბულაძე ოხუნჯობს: „ჯანაშვილის თეორიით გამოდის, რომ იმერეთში ხმარებული „ლემენცი“ თამამად შეგვიძლია მივიღოთ, „სემენცად“, ნიკორწმინდა სიკორწმინდად და სხ.“

არ ვიცით, რისთვის დასჭირდა აბულაძეს ეს ოხუნჯობა? ნუთუ გულუბრყვილო მკითხველის წინაშე ქარ-

ბუქის დასაყენებლად? ხსენებულს გ-ში მე, როგორც ვთქვი, ვლაპარაკობ „უმთავრეს საწარმოვო ნიშნების“ შესახებ და ამგვარებს მხოლოდ ვადარებ და ვატოლებ. ქართულში რომ არის გეოგრაფიული სახელები საციციანო, სამაჩაბლო, საქართველო და სხ., სამეგრელოსა და სვანეთში ამ სა-ს მნიშვნელობით, სა-ს გარდა, გვხდება აგრეთვე ო, ლა, ლე (ლე-გერსამე=საგერსამიო, ლე-ხაინდრაგო=სახაინდრაო და მრ. სხ.). სენაკის მაზრაში არის სოფელი საწულესკირო (=სა-წულესკირო), ხოლო დუშეთის მაზრაში – ლაწულაანთკარი (=ლა-წულაანთ-კარი; აქ ეს ლა მე მიმაჩნია იმავე სა=ო=ლე=ლა *)-დ. მხოლოდ მეტიჩარას, და არა ფილოლოგიაში გაწაფულს, შეუძლიან აქედგან გამოიყვანოს ისეთი ახირებული შედარება, ვით ლემენცი-სემენცი-ნემენცი, ნიკორწმინდა-ლიკორწმინდა-სიკორწმინდა! აქ, ბატონო, ხმათა ცვალეზაზეა ლაპარაკი, იქ – საწარმოვო ნიშნებზე. ხმათა ცვალეზაზე ხომ ჩვენ ცალკე ვლაპარაკობთ და, როგორც გრამატიკის წინასიტყვაობაშიაც შევნიშნავთ, მორფოლოგიური მასალა ცალკედაც გვაქვს ვრცლად შემუშავებული და შედგენილი და იქიდგან უფრო ცხადად სჩანს, რომ ს=რ=ლ სძალი-რძალი; სიძე-რძე=სვან ლჯე.

ული, ელი. იმავე უმთავრეს საწარმოვო ნიშნებში, სხვათა შორის, ჩვენ მოვაქციეთ (გვ. 13 და 25-28) სადაურობის

*) სხვა დროს ჩვენ გვექნება ლაპარაკი ამ საწარმოვო ნაწილაკების ბარ ნაწილაკებზე ა, ნე, ლე. აბანო=სა-ბან-ელი=ო-ბონ-ალი (ბანვა – მეგრ. ბონუა); ნესტო, ნესტვნი – სვან. სტურ არ).

მაჩვენებელი ნიშნები ული, ელი – გურული, გორელი, სამთავნელი, ბოლნელი, ხრამული, თბილელი და მრ. სხ., და თვისების მაჩვენებელი ული, ური – ყმა-ყმური, თუშური; გველური, ჩემებური, მამეული, მონური და მრ. სხ. მიუხედავად ყველა ამისა, აქაც ოხუნჯობის გუნებაზე მოდის ბ-ნი აბულაძე და განაგრძობს: ავტორის აზრით, ული, ელი გვიჩვენებს სადაურობას, მაშინ როდესაც აქ არის სუფიქსი ურ=ულ, ელ=ერ, რომელიც ეხმარება ქართულ ენას უთვალავ არსისა (?) და თვისების სახელთა წარმოებაში“. მოჰყავს მაგალითებიც: მხარი-მხარული (სადაურია „მხარული“?), ბაყაყი-ბაყაყური. მაშასადამეო, დასძენს აბულაძე, „სუფიქსი ურ სრულეებითაც არ აღნიშნავს სადაურობას.“

როგორც ხედავთ, აქაც ქარის წისქვილებს ებრძვის ჩვენი მოკამათე, ვინაითგან ჩვენს წიგნში ული-ური-ელის შემწეობით სადაურობაც არის აღნიშნული და თვისებაც და მის „მხარულ“ – ბაყაყურ“-ზე კეთილხმოვანი მაგალითებიც მოყვანილია, ასეთი: გველური, მელური, ღორული, კაცური, გორგასლური, დავითური, ჩემებური, მისებური და მრ. სხ. (გვ. 26). არა აბულაძეს შეჰფერის გვასწავლოს ჩვენ მნიშვნელობა ური, ელი, არი, რი, ლი, არე, რე, რ, ლ-სი, ვინა-

ითგან მათ შესახებ ბევრჯელ გვიწერია, და ჩვენი ბრალი არ არის, რომ ბ-ნი აბულაძე ასე წინდაუხედავად და საქმის ვითარების გაუგებრად ლაპარაკობს ამისთანა საგნებზე.

მომტანებელი. მთელს თავისს დაუსრულებელს წილადობილაში ჩვენმა კრიტიკოსმა გამონახა მხოლოდ ორიოდ შეცტომა და, მათ შორის, მომტანებელი მომტანელისა და მომტანის მაგიერ, და რომ მეტი რიხი მისცეს თავის გამარჯვებას, ამ უკანასკნელს ორს №-ში იმეორებს (№ 10, გვ. 3, სვ. 5 და № 11, გვ. 4).

ჩვენს წიგნში ბევრია კიდევ სხვა შეცდომებიც. სინტაქსი, პერიოდი და ლექსთაწყობა ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც საჭირო იყო. ვინც იცის დღევანდელი სტამბის საქმე, იმას სრულ-

– 65 –

ლოდაც არ გაუკვირდება, ხშირად რა შეუნდობელ შეცდომებით იბეჭდება გაზეთები და წიგნები. ჩვენის გრამატიკის 146 გვერდზე ორ სტრიქონ შუა ჩაჩხირულია სხვა, რომლის ბოლო ნახევარი ეკუთვნის პირველს სტრიქონს, თავი კი – მეორეს. ვიმეორებთ, აქა-იქ კიდევ არის სხვა შეცდომებიც, რაიც შეეხება მომტანებელს, იგი ჩვენ გვეწერა მომტანელად და ასრევ უნდა გასწორდეს, მაგრამ არც მომტანებელი მოგვეჩვენება შეუნდობელ შეცდომად, თუ ვიცით, რომ არის ზმნა მოტანება, რომლისაგან ძველს მწერლობაში და ხალხურ ენაშიაც აქაიქ, მეტადრე იმერეთში *) გვხდება მოიტანენ-ის მაგიერ მოიტანებენ, მოიყვანენ-ის მაგიერ მოიყვანებენ. მე დამარწმუნეს, რომ იმერეთში ხანდახან იხმარებოა ფორმები მომყვანებელი, მომტანებელი (=მომტანი).

ბ. მრუდემტყველება სალიტერატუროდ ვერ გამოდგება. ჩვენს მოკამათეს აბულაძეს წამსა და უწყუმს პირზე აკვრია „სალიტ. ქართული“ და ჩვენ გასამტყუნებლად მას იმოწმებს. მართალია, ამ წიგნში ბევრი ძვირფასი რამ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდილი მასალაც ცოტა არ არის, ვინაითგან იგი დამყარებულია რაღაც მოუნელებელ და უცნაურ კეთილხმოვანებაზე, ვიდრე თვით ენაში არსებულ კანონებზე; ორიოდ მაგალითი:

ასო ჰ. „ჰ-ს ხმარება, განსაკუთრებით ზმნებში სრულიად უსაფუძვლოა: არც აზრისთვის არის საჭირო და არც კეთილხმოვანებისთვის“.

პირიქით, ქართული ჰ და მისგვარი ასოები სხვა ენებში უკეთილხმოვანეს ასოებად ითვლებიან. ეს ერთი, მეორეც, ქართ. ენის ბუნება მოითხოვს მას ზმნებში, როგორც მესამე პირის მაჩვენებელ ნაცვალსახელს. შეადარე;

მ-ყავ	=სვან	მა-ყა
გ-ყავ		ჯა-ყა

*) ს. ხუნდაძის სალიტერატურო ქართული“. გვ. 83.

ჰ-ყავ*)
ჰ-ყავ-თ

ხა-ყა
ხა-ყა-ხ

მართალია, ხანდახან ხალხური ენა გამოსტიოვებს ხოლმე ჰ-ს. მაგრამ – არა კეთილხმოვანებისთვის. მო-მ-ყავს, მოგ-ყავს, მო-ჰ-ყავს, ხოლო მოყავს არც კეთილხმოვანია და არც კანონიერი.

ასო ს-ც საჭიროა არა მარტო კეთილხმოვანებისთვის (გვ. 51), არამედ როგორც აუცილებელი მოთხოვნილება ქართ. ენის კანონიერებისა. ს მესამე პირის ნაცვალსახელია. უდა-მატებო ფორმებში ს-ს ადგილი არა აქვს, მაგრამ ურთიე-რთობრივსა და დამატებიანში კი – უსათუოდ. უდამატებოდ – ვტირი, ვჰამ, ვჰრი, ვძოვ, ვთხოვ, დამატებით – ვსტირი, ვსჰამ, ვსჰრი, ვსძოვ, ვსთხოვ, ვსწოვ.

ის: მ-წერს, გ-წერს, სწერს (=ჰ-წერს **),
გვ-წერს, გ-წერს-თ, ჰ-წერს-თ (=ს-წერს-თ).
ისინი: მ-წერენ, გ-წერენ, ს-წერენ ***), გვ-წე-
რენ...
მას: ვ-ს-წერ ს-წერ, ს-წერ-ს, ვ-ს-წერ...

ერთის მხრით ის	მეორეს მხრით მას
მ-ჰამს	ვ-ს-ჰამ
გ-ჰამს	ს-ჰამ
ჰ-ჰამს (მას იგი)	ს-ჰამს
გვ-ჰამს	ვ-ს-ჰამთ

ვიმეორებთ, ასრე „კეთილება“ ეს აუცილებელის კანონის ძალით და კეთილხმოვანება ამ კანონს, მერწმუნეთ, არ „უხთება“.

*) ჰ არის დასაწყისი ხმა მესამე პირის მაჩვენებელ ნაცვალსახე-ლისა ებ – სვან. ეჟ – ინგ. ჰებ-ჰე-ჰ – სვან. ხ. – ჰ, ს (ს-წერს), ა (ა წერს), ე (ეწერების), უ (უწერს), ი (ი-წერს, ი-წერების) – აქ ეს ჰ, ს, ა, ე, უ, ი მესამე პირის გამომხატველ ნაცვალსახელების (ის, ი, იგი, ეგ, აგი და სხ.) თავდაპირვანდელი მარცვლებია.

**) მას (-ამას) იგი; ინგ ჰემგას=ემგას, ამას=იმას (შორეულს),.

***) მას იგინი.

ე ბ უ რ ი თ უ უ რ ი . „უკეთილხმოვანოა ფორმა ყმებური, კაცებური..., უმჯობესია უ რ : კაცური, ყმური. ებურ მხო-ლოდ (?) ნაცვალსახელითგან ნაწარმოებში უნდა: ჩვენებუ-რი, თქვენებური, მათებური და სხ.“ (გვ. 26).

გამოდის, რომ არ შეგვიძლიან ვთქვათ ძველებური, არამედ ძველური!

და ნ თუ და მ . „ფორმა სოფლიდამ არც კეთილხმოვანია და არც საფუძვლიანი, რადგან ბოლოში მ-ს (თანდებული-

დან გან) სიმართლე არ მიუძღვის“ (გვ. 34).

მაგრამ აქ მ განა თანდებულის გან-ის ნაშთია? განა იგი არ არის მიმართულებისავე მაჩვენებელ მო, მის- ნატამალი? განა სოფლიდამ (ა) არ უდრის ძველებურს სოფლითა-მო-ს, ტყიდამ – ტყითა-მო-ს? პირიქით, განა მოწონებული დან (სოფლიდან) არ არის თათრულის დან-ის (ჰერ-დან, ალაჰ-დან, სუ-დან, ადამ-დან) მიზამვით დამკვიდრებული და-ბოლოება?!

კავშირი რა. „ახალ მწერლობაში ძალიან გაახშირეს კავშირის რა-ს უადგილო ალაგას დასმა, ე. ი. ზმნას შემდეგ. კავშირი რა ზმნის წინ (?) დაისმის“.

ახლა ჩავიხედოთ ძველს მწერლობაში და ავტორის მტკიცების წინააღმდეგ წავიკითხოთ: „მ ი ვ ი ხ ე დ ე-რ ა მუნით.. „, შევძრწუნდი მე“ (შატბერდ. კრებ. მეათე საუკ., გვ. 15). „რა“ უკანაა თუ წინ?!

ტყლიპი თუ ელენთა. „ამერეთში იხმარება ელენთა, ხან ტყირპი, იმერეთში კი ტყლიპი; ეს უკანასკნელი უფრო კეთილხმოვანია (!) და უფროც გავრცელებული – და ეს უნდა დარჩეს სამწერლო ენაში“ (გვ. 185).

ვეჭობთ ტყლიპი უფრო კეთილხმოვანი იყოს, ვიდრე ელენთა, მაგრამ კაცია და გუნება, თუ გემოვნება: ნათქვამია de gustibus non disputandum-ო. ელენთა (სვ. ნინირა), ტყირპი (მეგრ. ტყილი, ტყიპი) და ტყლიპი – აქ თუ არ-

– 68 –

ჩევანზე მიდგა საქმე, კეთილხმოვანების მხრივ ჩემთან ერთად ყველანი უპირატესობას მისცემენ ელენთას, მერე ტყილის =ტყიპს. ამას გარდა, ტყლიპი-ს გამოთქმას თანხმოვანება აქვს სხვა თავისებურ მოუხეშავ სიტყვასთანაც...

თევზაობა თუ თევზობა. „ყურდღლაობა, თევზაობა და სხ. ამგვარი დაბოლოება არც კანონიერია დბ არც კეთილხმოვანი. არის მხოლოდ სუფიქსი ობ (ნადირი – ნადირობა, წყერი – წყერობა, და წინ ა-ნის ჩართვა რაღა მოხელეა.. ყურდღლაობა და თევზობა (?) და მზგ. სხ. ვითომ რით მოგვაგონებს ვისიმე ყურდღლათა და თევზად გადაქცევას?! (გვ. 64).

მერე ვისთვის რა საჭიროა, რომ თევზაობა დავამხინჯოთ თევზობა-დ, ხელობა (თევზის ჭერა) ხელობად? შოთას „ბურთაობითა“ როგორ გავასწოროთ ბურთობად?

ჩვენ აღარ გამოვეკიდებით ბ-ნ აბულამის მიერ მოწონებულ „სალიტერატურო ქართულს“, მხოლოდ კი ვიტყვით, რომ არათუ უკანონო, უკეთილხმოვანო, არამედ, ჩვენის აზრით, მავნებელიც არის ხელოვნურად შექმნათ რაღაც ცალკე სალიტერატურო ენა და მით მწერლობა დავაშოროთ მის მასაზრდოებელს ხალხს. ანდა რა კანონიერია თუ კეთილხმოვანი, მაგალ., სიტყვები კეთება, რომელმე, მომხთარი, წევან (წვანანი!), ვიჯდომები (ვიჯდები!), ვიწოლები (ვიწვები!), ვიდგომები (ვიდგები!), დაწვენ (დაწვენენ!), ძინვა, ღვიძვა, და-ცხვა, ცივნვა, ქვივნვა, შოვნა, შინვა, რცხვინვა, რამდენმე,

გავან (გვანან!) და მრ. სხ.

ქართული ენა, ღვთით, ერთად ერთია და ეს არის ენა მეათე საუკუნეშივე უმაღლესად განვითარებული, ეს არის ენა იმ აუარებელ სამწერლო ნაშთებისა, რომელიც დღეს ხელთ გვაქვს, ეს არის ენა ღვთიურ რუსთაველისა და მის მიმყოფ გურამიშვილისა, ბარათაშვილისა, აკაკისა. ზოგი რამ საკილოო განსხვავებაც მოიპოება, მაგრამ ეს განსხვავება საყოველთაო ქართულ ენობას ვერ გაგვიწევს, ყველა ვალდებულია იცოდეს ეს განსხვავება, მაგრამ რომ თევზაობა შეიცვალოს თევზობით, გვანან გვანანით, კეთდება კეთებით, ვიჯ-

– 69 –

დები ვიჯდომებით, წვანან წევანით, ეს, მერწმუნეთ, არა თუ გააკეთილხმოვანებს ჩვენს ენას, არამედ უფრო დააბნელებს, გაურთულებს მართლწერას, შეჰქმნის ცალკე სამწერლო ენას და მით ამ მწერლობას, ვიმეორებ, დააშორებს მის მასაზრდოებელ უმთავრესს წყაროს – ხალხს. ამიტომაც, კვლავ ვიმეორებთ, ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ საფუძველს რომ უკვე მიღებული მართლმეტყველება და მართლწერა შეიცვალოს რაღაცა საიჭო კეთილხმოვანების კარნახით. გრამატიკა და საგრამატიკო სახელმძღვანელოები იწერება თვით ენაში არსებულ მტკიცე კანონების მიხედვით. ყ, კ და მისთანა ხმები უცხოელთა სმენით ფრიად უკეთილხმოვნა, მაგრამ ქართველი მათშიაც ხედავს რაღაც მშობლიურ ჰარმონიას, კეთილხმოვანებას. კველი, კური, კიკლიკო, დაწოლიყო და მაგვარი ფორმები და სიტყვები არ „უხთება“ და ეხამუხება ქართველის ყურს და არც კანონიერია. ქართულს არა აქვს აგრედ-წოდებული ორთოგრაფიული თავტება და ნურც ჩვენ შევქმნით მას.

გ. აბულადის ფილოლოგიური შედარებანი და ვინცდა კ-ძის ქაქანი ჩვენი მოკამათე გვიკვინებს, მცირეოდენი სპარსულის ცოდნა საკმაოა ქართ. „ამხანაგში“ გამოიცნოთ სპარსულიო. არა გვგონია, რომ ავტორს სურდეს შეგვაშინოს თავის „მცირეოდენ სპარსულის ცოდნით“, ეწადოს თავბრუ დაგვახვიოს, ვით ვიღაცა „ფართოდ განათლებულ“ კ-ადემ, თავის დიპლომით *). ჩვენს თვალში ფასი აქვს ცოდნას და არა „დიპლომს“. დიპლომი ცოდნის სინონიმი არ არის. უდიპლომო მცოდნელი ქვეყანაზე ბევრია, უცოდნელი დი-

*) რაც ამ სასწავლო წლის დამდეგს მთავრობამ გააუშოხბეს ადგილობრივ ენების მასწავლებელთა მდგომარეობა, ზოგიერთ „კუჭის მრწამსით“ დაავადებულეზმაც წამოიყელყელავეს, აიქავლეს ენა და მორთეს ტირილი შესახებ სამშობლო ენის დაქვეითებისა და თანაც გამოჰფიხეს თვისი „ჩინებთანობა“, „ცენზიანობა“, „ფართო განათლება“, „სპეციალისტობა“ და სხვა ამგვარი საფრთხობელა-სამიშროებანი „უჩი-

– 70 –

პლომოსანიც არა ლამპრით სამეზნარია. გორკები, ბარათა-

შვილები, გურამიშვილები უდიპლომოდაც გააკედემიკოსებულან, ხოლო რაოდენ არიან სხვა და-სხვა დიპლომოსნები, რომ ვერ შემძლებელ არიან ამათთა ხამლთა ტვირთვად!“ რალა თქმა უნდა, იმაზე უკეთესი რა იქნება, რომ მეცნიერებაზე ილაპარაკოს მეცნიერებაში გაწაფულმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვისაც დიპლომი არ აქვს, ხმა არ უნდა ამოიღოსო სხვა-და-სხვა კითხვებზე. სწავლის შეძენა

ნებიან-უცენზინო“ მასწავლებელთა გასათანგავად. აი, ერთ აქაურ რუსულ გაზეთში № 13) რასა სწერს ვინცდა პ-აძე: ა) „უმალეს სასწავლებელში წასწავლო, საზოგადო ფართო განეთლების მიღებულთ და სამშობლო ენის საფუძვლიანად მცოდნეთ დახმვით ადგილობრივ სასწავლებელთა კარები“; ბ) მათ მაგიერ ამ სასწავლებლებში ჩამდგარა მ. ჯანაშვილი, „რომლის მიერ ქართულ ენის საფუძვლიანად ცოდნა საიქოა... მით უმეტეს ცოდნა სამშობლო ლიტერატურისა მისს წარსულსა და აწმყოში“ და გ) ამ ჯანაშვილს იმავე სასწავლებლებში ჩაუყენებია თავისებრ „ცოტცოტათი წერა-კითხვის მცოდნენი, ჩინებიანნი და უჩინებონი. ვაინაჩრობით მცოდნენი ბრუნვისა და უღლვილებისა, ინვალიდნი, შრომის ნიჭ-გამოლეულნი, მოწადინენი ყოველის თთვის 20-ს იღონ დადგენილი ჯამაგირი“, უვიცნი, „რომელნიც ცხადად და ცნობიერად ვერ გადუშლიან თავიანთ მოწაფეთ სამშობლო ენის მთელს შევნიერებასა და სინარარეს“... სატყვით პ-აძე ყველაფერს ამბობს, რაც შეიძლება ითქვას კარგს საგმობო (სახულიგანო) თუ საბეზღო წერილში და იმდენს იხარჯება, რომ სათანადო მთავრობა მიხვდეს, თუ რა ბედაურებისთვის დაუხმვია სკოლის კარები და რა ჯაგლაგებისთვის განუხვია, შეისმინოს მისი, ეს უზადრუკნი ჯანაშვილითურთ დაითხოვოს და მათი ადგილები დაურიგოს პ-აძესა და მისებრ მეცნიერებს!

პ-ადისთანა კაცებისთვის კუჭის მრწამსს, მხოლოდ ამას, ისე დაუზნევი დავთარი, რომ ზედმეტ ლუკმის საშოვრად იგინი ივიწყებენ ყოველგვარ მართებულობას, ამაყად, ვით სახარების ფარისეველი, წინ იჭიმებიან და თავმომწონედ გაიძახიან: ბიჭებიც ჩვენ ვართ და ქულებიც ჩვენ გვხურავსო, საცა ჩვენ ვართ, თქვენ აღარ უნდა იყოთო!

ჩვენ კი ვიცით, რომ, სამწუხაროდ, არც იქ, ბრწყინავს ყბადაღებული „სამშობლო ენა“, საცა ჩვენ არა ვართ, საცა მასწავლებლობენ თვით პ-აძე და ქართულის ენის მისებრ „საფუძვლიანად მცოდნენი“.

– 71 –

ყველგან- შეიძლება, ოღონდ იყოს სურვილი, მოწადინეობა. მეცნიერთა კრებაზე სორბონას 1889 წელს ერნესტ რენანმა, – კითხვაზე „შეიძლება მეცნიერული მუშაობა პროვინციაში?“, – განაცხადა: „სამეცნიერო მუშაობის ნახევარი შეიძლება გაკეთდეს პროვინციაში, კაბინეთის მყუდროებაში. ავიღოთ თუნდ შედარებითი ფილოლოგია: ვინც წინდაწინ დახარჯავს ათასიოდე მანათს, გამოიწერს 3-4 სპეციალურ გამოცემას, მას საკმარისად ექნება ყველა უსაჭიროესი სახელმძღვანელო სამუშაოდ. იგივე ითქმის საზოგადო ფილოსოფიურ იდეათა შესახებაც. ძრეილ ბევრი დარგი ცოდნისა შეიძლება შესწავლილ იქმნეს განმარტოებით, თვით შორეულს ადგილებშიაც“... ამ გზით სიარული მიზნის მისაღწევად მძიმეა, მაგრამ ეს სიმძიმე, თუ სრულიად არა, რაოდენათმე მაინც დაუძლეველი არ არის; თქმულა, მხნემან განხეთქოს მთა და გორია. რალა ჩიჩინი და მტკიცება უნდა, ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის თავი დავდოთ ფილოლოგობაზე, მაგრამ ის

აღლო კი მოგვეპოვება, რომ გადაჭრით ვთქვათ: არათუ „მცირეოდენ სპარსულის“, არამედ სრულ სპარსულის ცოდნაც არა კმარა ქართ. სიტყვასა თუ სიტყვებში სპარსულის

„ფართედ განათლებულნი“, „ჩინებიანი“, არა „ინვალიდნი“, „ბოლოსლოვნი“, „სტაცკისოვეტნიკები“, ისეთი ღრმად მცოდნენი „სამშობლონის მთელის შვენიერებისა და სინარნარისა“, რომელთაც რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლის წერაშიაც კი ელანდებათ მამაკაცის მამაკაცზე დაქორწინების კანონი!

აი, ამათ მოაქვთ თავი თავიანთ ცოდნის სიგელით, თავიანთ ფართო განათლებით და ჩვენ გვიკვირებენ უვიცობას, უმეცრებას. ფილოსოფოსი სოკრატი მუდამ ამას იძახოდა, რომ „ის ვიცი, რომ არა ვიცი-რაო“.

ჩვენი სოკრატები კი ყვირიან, მარტოს ჩვენ ვართ ანი და ჭოე, დანაშთენნი ყველანი ხიდ ქვეშო! ვწუხვართ, რომ პ-ადისთანა ბრძენთ უბრძნესებზე ვაცდენთ საზოგადოებას, ვკარგავთ დროს, ქაღალდს, მეღანს რაიც შეეხება დაწუნებულ მასწავლებლებს, მათში ერთიც არ არის (ჩემს გარდა, რაღა თქმა უნდა), რომელსაც თვით „ფრიად განათლებული“ პ-აძე შეედრებოდეს ჭკუით, ცოდნით, კაი მასწავლებლობით.

– 72 –

გამოსაცნობად; ქართ. სიტყვების არსება-დასაბამის გასაგებად საჭიროა ბევრი რამ და უპირველეს ყოვლისა კი დედაენის ცოდნა ზედმიწევნით, სამშობლოს წარსულის სისწორით გამსტრობა. ამ მხრივ ჩვენი შენაძენი დიდი არ არის, სულ მცირეა, მაგრამ ეს მცირეც საკმაოდ მიგვაჩნია ბ-ნ აბულაძის ფილოლოგიურ პაექრობასაც არ დავემალოთ, მით უმეტეს, რომ ეს მისი ფილოლოგიური შედარებანი არ ახალია, ძველია, შაბლონური, სხვებისაგანაც მრავალჯერ გახოვნილ-გაღეჭილი.

ფ ა ნ დ უ რ ი . „ნამეტურ საინტერესოა სუფიქსი ურ, რომელიც ხელს გვიწყობს უცხოელ (უცხო, უცხოურ!) სიტყვათა მთელი (მთელის!) გუნდის (სიტყვათა გუნდი!?) გადმოქართულებაში... სპარსული ფანდ-სიმებიანი საკრავი, ურ-ის საშვალეებით სახავს სიტყვას ფანდური“.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო!

„ფანდური“ მსოფლიოს ყველა ენაზე, თითქმის, ფანდურ-პანდურ-ფანდორ-ფანდირ-ბანდურ-ბანდორაა და ნუ თუ ეს რაღაც „ფანდ“ სპარსეთიდგან ყურჭერით მოაბრძანეს ქართველებმა, თავისი ურ მიაკრეს და ეგრე გაისტუმრეს ჩრდილოეთ-დასავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და თვით სპარსეთისკენაც, საცა ამავე საკრავს თურმე ფანდური ქვიანდა არა ფანდ! იტალიელთ ბანდოლა ათსიმინია; მცირერუსთა ბანდურას ეწოდება აგრეთვე კობზა; ამგვარივეა „ბანდურა – პოლონური“, „ფანდირ“ ოსური; 12-სიმინი ბ ა ნ დ ო რ ა მოიგონა ლონდონელ ჯონ-როსმა 1561 წელს.

რას იტყვით? განა ტყუილს მოკლე ფეხები არ აქვს!

დ ა ნ დ უ რ ი . „დანდ-კბილი და ურ-ის საშვალეებით – დანდური“; ასე იშვა, აბულაძის მტკიცებით, სახელი იმ მხალი-სა, რომელსაც ძველად ჩვენში ერქვა დინდრანუკი=დანდური. ვერ ვიბაასებ. იქნება ჩანჩური, პანჩური, ბაყაყური და

მათებრ ყურიანი თუ ურიანი სიტყვებიც წარმოებულიყოს სპარსულ ჩანჩ-პანჩ-ბაყაყ-ი დამ, მხოლოდ ამას კი ვიტყვი,

– 73 –

რომ ჩვენი მოკამათის მიერ აღნიშნული დანდ-კბილი ნამდვილ სპარსულ ენის ერთ ძველ ლექსიკონში დანდონ-ად იკითხება და თვით დღევანდელს სახალხო ენაშიაც კბილს ჰქვია დანდონ=დანდან და არა დანდ!

ფ ა რ ე ხ ი . ჩვენ გვაქვს ერთ და იმავე ფესვიდგან წარმოებული ორი სიტყვა – ფ ა რ ა და ფ ა რ ე ხ ი . „ფარ“, ჩვენის აზრით, წარმოდგარა ზმნიდამ ფარვა, ეხი ანუ ხი მიგვაჩნია ადგილსამყოფელოს მანიშნებელ ნაწილაკად *): ფარა – ფარეხი ღვინო – ვენახი (ღ რყევადი ასოა: ვაჭარი=სვან. ღვაჭარ, ვაჭი=ღვაჭ, ლევა=ხევს. ღლევა, ტაო-ტაოხი, ჯავა (სოფ.) – ჯავახი). ბ-ნი აბულადე კი გვეუბნება „ფარაც და ფარეხიც უცხოეთიდან არის ნასესხებიო“. სამწუხაროდ იგი აღარ იუწყება, თუ რომელ ენიდამ ისესხეს **) ან რომელი ისესხეს პირველად, ფარა თუ ფარეხი, თუ ფარა, რაში აფარებდენ, თუ ფარეხი, რათ უნდოდათ! სიტყვით, კვერცხი ადრე გაჩნდა თუ ქათამი!

ა მ ხ ა ნ ა გ ი . აბულადე ამბობს „ამხანაგი“ სპარსული ჰამ-ხონეაო. გამოდის, რომ ქართველებს თავიანთ სამშობლოში ვერ მოუნახავთ „ამხანაგი“, წასულან მის სამებნელად სპარსეთს, იქ უპოვნიათ რაღაც საიჭო ჰამხონე (ასეთი სიტყვა მე ვერ მოვხელე სპარსულ ლექსიკონებში და არც რომელსამე აქაურს ერანისტს გაუგონია!) ყურზე ხელწავლებით მოუბრძანებიათ საქართველოში და გაუშალაშინებიათ ამხანაგ-აფხანიკ-აფხნეგად. იქნება ეგრეც იყო, ვერ დავიჟინებთ, თუმცა ძალი ნ კი ვეჭობთ „ამხანაგის“ „ჰამხო-ნეობა“ არ დაემსგავსოს იმ საარაკო უცხოურ „გორაკასტოლა“ კიტრს, რომელიც დიდის გაჭირებით იქცა მშობლიურ ქვეყნის ჩვეულებრივ კიტრად! ყოველიფერი შესაძლებელია!

*) ხ მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელია და უდრის ქართ. თ=ნებ=ეფ, სვან. ხ (ჯაყა-ხ=გ-ყავ-თ), ინგ. ყ (გ-ყავა-ყ), უდურს დ=ხ, სომხურს ძ, აფხაზ. ქუა.

**) არ უწყების მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ სხვა „ნასესხებ სიტყვათა სიებშიც არა არის-რა ნათქვამი ამის შესახებ.

– 74 –

ჩვენს თვალში, ბატონო, ფასი აქვს მხოლოდ დასაბუთებულ შედარება-განმარტებას და არა თქვენებრ ცარიელ-სიტყვაობას. „ჰგავს, მაშასადამე, სპარსულია!“ – საკმაო არ არის ჩვენთვის. ჩვენ სხვა თვალსაზრისით ვუყურებთ საგანს.

დ. საქართველოს წარსული ჩვენის თვალთხედვით. ჩვენი თვალთხედვა, ჩვენი პერსპექტივა საქართველოს წარსულისა და კულტურის შესახებ ყველასთვის ცხადია. დიდი ხანი არ არის, რომ საბერძნეთ-რომის მსოფლიოს გარეთი საბარბარო-

სოდ იწოდებოდა, რომ განათლების, ცივილიზაციის გამავრცელებელ გზად და ხიდად მიაჩნდათ, ერთის მხრით, საბერძნეთ-რომი, მეორეს მხრით, სპარსეთი ანუ, უკეთ ვთქვათ, მხოლოდ არიელთ ჯგუფის ხალიბები. ამათ მიაკუთვნებდნენ რაღაც ზეგარდამო ნიჭს, ჰაეროვნებას, წარჩინებას დანაშთენ მოდგმათა წინაშე: ქამის შთამომავლობაზე ასრულდაო მამის წყევ-კრულვა და მონად დაურჩაო მისის ძმის იაფეთის ნათესაობას, სემის მოდგმამ ვერ შეიგუაო თავისივე ნაშობი ღმერთი და დაუთმოო იგი იმავე იაფეთის ნათესაობას, თურანობამ მიიძინაო აზიაში *), ბატონობა, ნავარდობა და ყველა ამგვარი სათნოება (!) წილად ხვდაო მარტო იაფეთის შთამომავლობას – არიელ,ობას რომლის სახელიც-კი – არია – ნიშნავსო წარჩინებას, აღმატებით აზნაურობას, და რომელიც, როგორც მსოფლიოს ფაქტიური მფლობელი, ავრცელებდაო და ავრცელებსო მასში ცივილიზაციას... არიელობას რომ დიდი ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე, ამაზე ლაპარაკიც არ უნდა, ეს ყველამ იცის. მაგრამ ეგვიპტის პირამიდებ-ძეგლებზე დაშთენილ მწერლობამ, შუამდინარესა და

*) ჯერ ისევ 1898 წელს დარწმუნებით სწერდნენ (ჟურ. „ობრა-ზოვანიე“, № 11, გვ. 791: „იპოვნელები მონგოლები არიან. მონგოლები კი ძაან გაირჩვიან ჩვენგან მონგოლის სული უნიჭობისა გამო ისე ღრმად და ძლიერად ვერ გრძნობს, როგორც არიელის სული. მისი ჭკუა შეზღუდუღულია და, უმთავრესად, ზერეული, თხელი. მასში არ არის ის შემოქმედებითი დასაბამი, რომელიც ჰქმნის რელიგიურ და ფილოსოფიურ დიდ აღნაქესებს“.

ვან-არარატის არემარეზე აღმოჩენილ ხეთებისა და ვანის მეფეების ნაშთებმა ახალი ნათელი შეიტანეს კაცობრიობის ისტორიაში, ახალი ელფერი დასდეს არათუ კაცობრიობის ისტორიის დასაბამ ხანას, არამედ საკმაოდ ცხადად აღნიშნეს ის თავდაპირვანდელი გზა-ბილიკებიც, რომლებიდან წარმოდენილი მამა-პაპათა მიერ შეძენილი კულტურა მრავალ ნაკადულებად წარიღვნა ყოველ მხრივ, მსოფლიოს ოთხივ კუთხისკენ; და რადგან იმ დროის შუამდინარის ხალხად ჩვენ მიგვაჩნია ქართველებიც, ის ქართველები, რომელნიც მე XIV საუკ. ქრ. წინად ცნობილ იქმნენ კოლხებად, ამიტომ მათაც ვაკუთვნებთ ადგილს იმ ერთა შორის, რომელნიც ჯერ ისევ ისტორიის განთიადს დაადგნენ საწაღმართო გზას, ჩადგნენ განათლების სათავეში. და ქართველებს, როგორც ამგვარებს, ჩვენის მოსაზრებით, თვისი წვლილი უნდა შეეტანათ საკაცობრიო ცივილიზაციის სალაროში, თვისი გავლენა უეჭველად უნდა დაეჩინათ მეზობელ ხალხების ენასა და ყოფაცხოვრებაზე. ჯერ ისევ ძველმა მწერლებმა გვაუწყეს, ვითარი ზეგავლენა ჰქონდათ კოლხებს არათუ კავკასიის ერთა შორის, არამედ შორეულს საბერძნეთ-იტალიაშიაც, საცა ჰქონდათ თვისი ახალშენები,სამხრეთ სკვითიაშიაც, საცა ერთხანს მეფობდნენ კოლხეთის მეფის აიეთის სიძე და ასული, მიდია-

შიაც (აწინდელ სპარსეთში), საცა, დასახლდა-რა იმავე აიეთის ქალი მედეა, დააარსა სამეფო და უწოდა ამ სამეფოს თავისივე სახელი მედეა და მერე მიდია, რადგან მის შემდეგ აქ გამეფდა მისივე შვილი მიდი. სწორეთ ამ მიდიაში ცხოვრობდნენ საგართნი (ჩვენით – საქართნი-საქართლნი), კადუსნი, გურგანნი (გურქანნი, ვირქანნი); ერთის წყაროს გადმოცემით ამ კადუსთ) უმთავრესი ღმერთები იყო არმაზი, გაცი, გაიმი და ზადენი, მათი ძრიელი მეფე ფარსმანი მეფობდა მონათესავე კოლხთა, ბრუტოსთა და სხვათა ზედა. ვან-რა რატის ლურსმურ ნაწერების მიხედვითაც ყველა ეს მიდიის ერები ჩნდებიან მონათესავედ ალაროდელ-ხეთელთა ანუ

- 76 -

ურარტთა, ურასტთა, ე. ი. ერისა, რომლის სახელი ურასტ უახლვდებაქ რთველების სამშობლოს სახელს ურასტან=ვრასტან. მართალია, ყველა ეს გადმოცემა და თქმულება ჯერ მეცნიერების ქარ-ცეცხლში არ გატარებულა, მაგრამ მაინც ვხედავთ ნიშნებს, რომ სწავლულნი ნელნელა იცვლიან თავის აზრს საქართველოს შესახებ, რომ ჭეშმარიტი მეცნიერები საქართველო-სომხეთიდგან მოელიან მსოფლიო ისტორიის ერთ ფურცლის განათებასა და გაშუქებას. მართლაც-და, ამაყს საბერძნეთს, რომელიც თავის თავს სთვლიდა კეთილშობილ ელინად და სხვებს უწოდებდა ბარბაროს და (=ველურად), თითქმის ყველა თვისი ღმერთები წაუღია ან ეგვიპტიდგან, ან კოლხიდიდგან დე ამ უკანასკნელიდგან თვით უმთავრესი ქალღმერთი ათინაც. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ საბერძნეთის დამაარსებელნი-გმირნი მოისწრაფიან საქართველოსკენ, რომ გაიტაცონ აქედგან ოქროს საწმისი, გაიცნონ აქაური გმირები, აქაური ქვეყანა, მეფე მისის კარმიდამო-სასახლე-პალატებით, შეჰკრიბონ ადგილობრივი ლეგენდები შესახებ მიჯაჭვულ ამირან-პრომეთეოსისა, მის მიერ ცეცხლის მოტაცებისა ციდგან და სხ.-და-სხ.

ყველა ეს, ვიმეორებთ, ჯერ ჯერობით ნებას არ გვამლევს გადაჭრით ვთქვათ, თუ ქართველ-სომეხთა მსოფლიოს რა წილი უდევს კაცობრიობის ისტორიის შექმნაში, თუ, სახელდობრ, რა ჯამი მონაღვაწევი მიიტანეს ამათ საკაცობრიო კულტურის საკურთხეველზე, მაგრამ რომ ეს ქართველთა მსოფლიო საკეთილოდ იღვწოდა, რომ მას კაცობრიობის წინაშე დიდი დამსახურება აქვს, ეს კი ცხადია ყველასთვის. ამის უტყუარი საბუთია აუარებელი რიცხვი იშვიათ და ძვირფას ხელნაწერებისა, რომელნიც დღეს გვაქვს ჩვენ, უმდიდრესი სახალხო ლიტერატურა, საკვირველის ხელოვნებით და კაზიმულობით აშენებული ტამარ საყდრები, კომპეები, დაბა-ქალაქები, ციცაბო კლდეებზე გაყვანილი რუ-არხები, მდინარეებზე გადაკიდული საუკუნო ხიდები, ბონდები, ფრი-

- 77 -

ად განვითარებული ენა, თავისუფლად გაჩენილ კაცის თავისუფლებისთვის ბრძოლა, უმაგალითო გმირულ-რაინდული თავგანწირვა მისთვის, – ყველა და ყოველივე ეს შეემლო მხოლოდ დიდ ერს და ასრეთიც იყო უწინ ქართველობა, რომლის სული დღესაც ფეთქავს მამაპაპურად:

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამანტისა:
იგივ მხნეთ იგივ გულადი,
მებრძოლი შავის ბედისა“.

ამისთანა ერი „ნული- ვერ იქნებოდა, მას ჯერჩინება ჰქონდა საკუთარი კულტურა დაემყარებინა მშობლიურს ცის ქვეშ მშობლიურს ნიადაგზე.

გადავხედავთ რა ჩვენს წარსულს ასრეთის განმსტრობით, პერსპექტივით, ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია ზოგიერთ მეცნიერის აზრი, რომ თუ ქართულსა და სპარსულში ან ქართულსა და ბერძნულში არის მსგავსი ან ერთნაირი სიტყვა, უეჭველად იგი უნდა იყოს ან სპარსული, ან ბერძნული და არა ქართული. მართალია, ქართულშიაც ერანიდგან შემოდინოდა მძლავრი ტალღა, მაგრამ არა ნაკლების სიძლიერით ერანშიაც შედიოდა საქართველოდგან. მედეას მიერ მიდიის დაარსების ლეგენდასაც თავი რომ დავანებოთ, მაინც შეგვრჩება მრავალი წვლილი, მაჩვენებელი იმისა, თუ რა ძლიერებით უნდა ემოქმედნა ქართველთა სისხლს სპარსეთის ერის დადუღებაში. ჯერ ისევ დარიოზის დროს და შემდეგაც, როგორც გვაუწყებენ ჰერიდოტე (მე-V საუკ. ქრ. წ.) და სხ. მწერლები, კოლხები და მათი მეზობლები ხუთ წელიწადში ერთხელ სპარსეთს აძლევდნენ ას-ას ქალვაჟს. შემდეგ საუკუნოებში მრავალ ომების დროს სპარსელებთან ამ უკანასკნელების მეფეები არა მცირე ქართველობას მიელალებოდნენ სპარსეთისკენ, იაყუბ ყენმა, შაჰ-აბაზ 1-მა და სხ. ყენებმა ხომ ათასობით, ათიათასობით და ასიათასობით მიირეკეს ქართველები და დაასახლეს ლურისტანს, ფარსისტანს და სხ. არის

– 78 –

უტყუარი ცნობა, რომ ამ გადასახლებულ ქართველების ზეგავლენით ბევრად შეიცვალა და გაუმჯობესდა ბუნებით უმწო ტიპი სპარსელებისა, მათ არისტოკრატიისა. სპარსთა მეფის სატახტო ქალაქში შაჰ-აბაზის დროითგანვე გაჩნდა „ყულთა ჯარი“ (გვარდია), რიცხ. 30000 მეომრამდე, რომლის უმეტესობას შეადგენდა ქართველობა. ამ გვარდიის სარდლად ერთხანს იყო ქართველივე, როსტომი, ცნობილი მეფე საქართველოსა. მნელია ითქვას, რამდენი ქართველობა შეეძინა სპარსეთს შაჰ-აბაზის შემდეგ ვიდრე ნადირშას და ალა-მაჰმად-ხანის დრომდე, ეს კი შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მე-XVIII საუკ. მიწურულს სპარსთა სახელმწიფოს მოსახლეობა წარმოადგენდა რაღაც კონგლომერატს, რომელსაც უხსოვარ დროითგანვე შეადგენდნენ თაჯიკები (ბინადარნი სპარსნი), თურქ-თარაქამის ელის 41 გვაროვნობა ყაჯართა და ავშართ მოთავეობით, ქურთთა

10 გვაროვნობა ზენდთა მოთავეობით, ლორთა 6 გვაროვნობა ბაკტიარების მოთავეობით და არაბთა რვა გვაროვნობა. სამწუხაროდ ამ ცნობების შემკრები ბუტკოვი არას გვეუბნება სპარსეთში დასახლებულ ქართველების შესახებ, მაგრამ ეს მოსახლეობაც რომ დიდი იქნებოდა მაშინ, ეჭვს გარეშეა, ვინაითგან- იქ მრავალ ტანჯვა-წვალება-გადაგვარების შემდეგაც ქართველების რიცხი მაინც 40-60 ათასამდე არის. რაღა თქმა უნდა, ამ სხვა და სხვა გვარ-ტომის მოსახლეობას არ შეეძლო თვისი ენის და ზნე-ჩვეულების კვალი არ დაეჩნია თვით ბინადარ ერის ენასა და ყოფა ცხოვრებაზე, მეტადრე თურანობას, რომელსაც არა ერთხელ დაუპყრია მთელი ერანი და არა ერთხელ უმეფნია ამ ქვეყანაში. ამიტომაც, მოსალოდნელია, რომ სპარსულში იპოვებოდეს აუარებელი რიცხვი წმინდა ქართულ, თათრულ, არაბულ, სომხურ სიტყვათა.

ასრეთია ჩვენი შეხედულობა საქართველოს წარსულზე და ეს შეხედულობა გვაძალეებს დიდის სიფრთხილით მოვეკიდოთ „ნასესხებ“ სიტყვების სიის შედგენას. ქართველი ერი,

- 79 -

ვიმეორებთ, ერთი უუძველეს ერთაგანია, სპარსებს, ბერძნებს, სომხებსა და ბევრ სხვა ხალხებზე უწინარეს გამოსული ისტორიულს სარბიელზე. საჭიროა, ჯერ ზედმიწევნით შევისწავლოთ ამ ძველი ერის ისტორია, მწერლობა და, განსაკუთრებით, ენა მის კილოებითურთ და მერე შევუდგეთ „ნასესხებ“ სიტყვების სიების წერას. უამისოდ ჩვენი შრომა უნაყოფო იქნება და სასაცილო მდგომარეობაში ჩაგვაყენებს. ორიოდე მაგალითი.

ყველამ იცის, რომ რკინეულის, ოქრო-ვერცხლის, სპილენძის და თვით ფოლადის მომგონ-მჭედლებად ითვლებიან ძველი კოლხები (ქართველები) და მათნი მეგვარ-ტომენი. თუ ეს მართალია, მოსალოდნელია ისიც, რომ აქედგანვე გავრცელებულიყოს ამ ლითონების სახელებიც. აგრეც იყო ზოგიერთ შემთხვევაში: ბერძნეთ მწერლები თვითონვე ამბობენ, ჩვენს ენაზე ზოგიერთ ლითონს მომგონთავე სახელი დაერქვაო. თუმცა პროფ. ჩუბინაშვილი გვაუწყებს – ქართული რკინა სპარსული სიტყვააო, ხოლო ქართ. ოქრო (=ორქო, ვოქრ) ბერძნულიო, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ, ეს სიტყვები და აგრეთვე ვერცხლი (=ვეცხლი) =მეგრ. ვარჩხილი=სვან. ვარჩხილ იყოს წმინდა ქართული სიტყვები და თავდაპირვანდელ ქართ. არჩხილ – ვერცხლ – ეცხლიდამ (ვრყევადი ასოა: ორბი=ვერბ, ვერძი=ერჯი, ორი=ვორი) წარმოებულიყოს დალისტნის ხალხების არაც (ავარ!), არზ (ხურკ.) არცუ, არს, აც, და აგრეთვე აფხაზ. არაზენ, სომხ. არწათ, ბერძნ. არგიროს, ლათინ. არგენტუმ, ფრანგ. არჟან და სხ. ამ სახითვე, ქართ. რკინგ (აფ. აფხა, ლეკ-ახტური რაყ, სომხ. ჰერკათ) სვანურში დაცულ თავდაპირვანდელ ფორმით ბერეჟ *), თითქოდეს, უახლოვდება ლათინურს ფერ-

რუმ, ფრანგ. ფერ, ხოლო ოქრო=ორქო=ვოქრ (აფხ. ახდ)
– ლათინურს აურუმ, ფრანგ. ორ, ბერძნ. ხრისოს.

*) მისგან ბერეჟიანი (გვარია).

– 80 –

ვერ წარმოგვიდგენია აგრეთვე, ქართული კატა რათ უნდა იყოს არაბული სიტყვა! ამ პირუტყვს თითქმის ყველა ტომის ენაზე ერთნაირი სახელი ჰქვია – კატა, გეტუ, ქეთუ, გატუ, კატტა, კოტ, კიტ, კატუნია, კოტტა, კნუტი, კატიონოკ და სხ. რაღა არაბების მოსვლას დაუცადეს ქართველებმა ყველგან და ყოველმხრივ გავრცელებულ და უწინარეს დროითგანვე მოშინაურებულ ცხოველის სახელის შესაძენად, მერე იმ ცხოველისა, რომელიც გადმერთებული იყო ხეთელების სამეზობლო ეგვიპტეში?

პროფესორ ჩუბანიშვილის ლექსიკონში რომ ჩაიხედოთ, სიმინდს აღმოიკითხავთ არაბულ სიტყვად. საიღამ სადაო, წმინდაო საბაო! სიმინდი ევროპაში პირველად გადმოიტანეს ამერიკიდან არა უადრეს 1492 წლისა (დეკანდოლ – Мбстопроисх. Воздѣльв. растеній) და არაბებმაც, რასაკვირველია, მის შემდეგ გაიცინეს ეს მცენარე და ამ ხანს ხომ არაბთ ნიშანწყალი აღარ იყო საქართველოში და, რაღა თქმა უნდა, სიმინდის სახელსაც ვერ შეასწავლიდენ ქართველებს!

„მუშა“ ლექსიკონში არაბულ სიტყვად სწერია, სხვა სიაში – სომხურად. რათა მერე? დედამიწის პირზე ყველა ენაში მუშაობისა და მუშის, მშრომელის სახელი ერთ და იმავე ფესვიდგან მომდინარეობს! ბერძნ. ერგასია – შრომა, ერგასტირ – მშრომელი, ლათ. ოპერა – შრომა, ოპერარიუს – მშრომელი, ფრან. ტრავაილ – საქმე, დეტრავაილ – მსაქმობი, მუშა, და სხ. ქართულშიაც ეგრეა და ორივე ცნება თათრულის მსგავსად და ერთ და იმავე ფესვიდგან წარმოებულია:

თათრ. იშლამად=ქართ. შრომა, მუშაობა

იშ საქმე

იშჩი (მიმღეობა) მშრომელი, მუშა, მოსაქმე

ამ თათრ. იშ-ს მე ვუტოლებ ქართულს ქ = სვ. ჩ

(ვი-ქ = სვან. ხვი-ჩო*) და ვფიქრობთ, რომ მისგან, ვით

*) შეადარე ს=შ=ქ: სული (სუნი, შვინვა) =მეგრ. შური= სვან. ქვინ.

– 81 –

იშიდამ იშჩი, წარმოებულია ქართ. მიმღეობაც მუშა, სვან. მიმღ. მუჩუმე (=მუქუმი=მქმი) და მერე მიმღეობის ფორმიდამ ზმნა მუშაობა = ინგ. მუშუობა=სვან. (ლი) შშაე. ამგვარადვე გვაქვს სვან. (ლი)-სყი –კეთება, მიმღეობა – მუსყი – მუშაკი.

„წელი არაბულია, ჟამი სომხური, ზამთარი სპარსული“.
ჩვენ უკუღმა გვგონია. წელი (=წელიწადი)=მეგრ. წანა= სვან. ზა; იგივე არაბულად სანა, სპარსულად სალა, ძველ შუა მდინარულად სარ. ქართული წა (=წანა) და სვან. ზა ნიშნავს მიმავლობას, განუწყვეტელ სრბოლას წინისკენ, სამა-რადისო-საუკუნოისკენ და მისგან გვაქვს სვან. ზა=ზავიმ =ქართ. ზაფხული (ფხული მიმდებარა ზმნიდამ ფეხვა, ფუჩქნა, გაფოთლა, გაფხიანება*) და აგრეთვე გა-ზა-ფხული, ზა-მთარი („მთარი“=მეგრ. თირი-თოვლი, ინგ. თირთვილი=რთვილი) ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ესრეთი ცნებები, ვით წანა, ზა, ზამთარი, ჟამი**) და სხ. პირველად ქართულს ნიადაგზე წარმოსდგებოდა მაშინ, როდესაც ჯერ ისევ კარ-დუნიას გარემოს, როგორც გვაუწყებს ჯუანშერის ქრონიკაც, გაუყრელად სუფევდნენ სინდნი, ასურნი, სპარსნი, ბერძენნი, ჰრომნი, ჰინდნი და აგ-მაგუგნი.

დაახლოვებით ამავე დროის სიტყვად გვინდა ჩავთვალოთ სიების ავტორების მიერ არაბულ სიტყვად გამოცხადებული ვარდიც, რომელიც არათუ ქართულს, არამედ დიდისტნის ხალხების თითქმის ყველა ენაზე იხმარება აგრეთვე ვარდ-ად. ისტორიულს დროს, ე. ი. არაბების შემოსევის შემდეგ (საქართველოს შემოესივნენ მეშვიდე საუკ. ქრ. შ.) ამ სიტყვას ვერ ისესხებდნენ ქართველები, ვინაიტგან ეს მცენარე ამავე სახელით ვარდი იხსენიება ჯერ ისევ ნინოს მოგზაურობის ლეგენდებში და ამავე სახელით იწოდება ვარდ-

*) აფხაზ. აფხინ – ზაფხული.

**) ინგ. ზამანა – ხანა, ეპოქა.

ციხე, რომელსაც არაბების შემოსევის ორის საუკუნის წინად ბერძენთ მწერალი პროკოპი იხსენიებს ბერძნულის თარგმანით – როდოპოლის (=ვარდციხე). ამიტომაც ამ ვარდის გაჩენა-დაბადების დროდ ჩვენ ვთვლით იმ ხანას, როდესაც ქართველებისა და არაბების წინაპრები ერთმანეთს ემეზობლებოდნენ შუამდინარის არემარეზე.

ამავე დროის სიტყვად მიგვაჩნია ქართული კარი რომელიც ძველ ეგვიპტის და შუამდინარის არემარეზედაც გვხვდება კარად. „კარ-დუნიასი“ („=მსოფლიოს კარი) არაბთა მფლო-ბელობის ჟამს იწოდებოდა ბაბ-ილუდ (=კარი ღვთისა), ევფრატის ხეობაში იყო ხეთელთა სახელოვანი ქალაქი კარ-ხიმიში, იმავე ხეობის ყელში აწინდელ არზრუმს ერქვა კარანა*), მის გასწვრივ აწინდელ ყარსს – კარი (სი), ამას ზეით იყო ტაოს-კარი, ტაშის-კარი, თოლას-კარი, თუშეთის-კარი, დუშეთის-კარი, წინამძღვრიანთ-კარი, ღართის-კარი, და მრ. სხ. რაღა თქმა უნდა, ყველგან აქ კარი წარმოებულა ქართულ ზმნიდამ კრა=კვრა და ნიშნავს სიმაგრეს, ქვეყანასა თუ შენობაში შესასვლელ-გასასვლელის სიმტკიცეს, კარს, რომლის მაგიერ იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე

კეტი=კერტი ზმნიდამ კეტვა=კლეტვა (ფანას-კეტი – ციხე-სიმტკიცე ფანასი).

„ღვინო ბერძნულია“. ვეჭობთ. ვაზის სამშობლოდ მეცნიერებს მიაჩნიათ საქართველო და მისი არემარე (ალფ. დეკანდოლი – Мбстопроисх. воздѣльв. раст., გვ.191-193) . ბერძნებმა საქართველოში (კოლხიდას) ნახეს შვენიერად და-მუშავებული ვენახები, ღვინის შადრევნები აქაურ მეფის აიეთის დიდებულ სასახლის წინაეზოში, და აქვე დაისწავლიდნენ ღვინის სახელსაც. ამიტომაც სიტყვები „ვინო“, „ვინუმ“, „ინოს“ და სხ გაყრილ-წასულებად მიგვაჩნია ქართულ თავდაპირვანდელ ვინო-დამ, რომლიდამაც დღემდის დაგვრჩენია ვენახი და არა ღვენახი.

*) კარნი=კარანი. კარან-ა, ვით პერანგა (მთაა), უნაგირა (მთაა) ტაბახმელა და სხ.

– 83 –

ფალი. ეს სიტყვა მეფე-მთავრების სახელებს ერთვოდა უწინარეს დროითგანვე. მაგალ., მე-XX საუკ. ქრ. წინად შუამდინარის უძლიერესს მეფეს ერქვა ამრაფალი ანუ ამარფალი. შემდეგ ეს ნართაული სახელი ასურეთის მეფეებმაც მითვისეს და ასრე წარმოსდგა ცნობილი სახელები ტიგლათ ფალ-ასარ, სარდანაპალ და სხ. ეს ფალი ჩვენშიაც შეუცვლელად ედება მეფე მთავართა სახელებს (მამფალი, დედუფალი – სვან. დედფალ) და შეცვლილადაც (თამარ-მეფე=თამარ-ნეფე). შატბერდის კრებულში (გვ. 16) პირდაპირ სწერია: „მეფენი ნეფობენ“. ამავე ფესვიდან გვაქვს: მეგრ. მაფა (მეფე), მეუფე, უფალი (დედუფალი – დედფალი), სეფე, სეფე-წული, სეფისკვერი. ყველა ეს ფორმები, ჩვენი, წარმომდგარა ზმნიდამ ფლა-ფლობა და მისგან სრულიად კანონიერად წარმოებულა მიმღეობა – მეფე, მეუფე, მამფალი, დედფალი (ვით მოღვაწლე=მოღვაწე, ისე მეფლე=მეფე, მეუფლე=მეუფე).

ასრეთია, ვიმეორებთ, ჩვენი განმსტრობა საქართველოს წარსულისა და ესრეთი გამსტრობა წუთსაც არ უნდა დაივიწყოს ჩვენის გამოცემის გამჩხრეკმა. რალა თქმა უნდა, ვერ დავიჟინებთ, რომ ჩვენი ესრეთი თვალთხედვა ყველა თავის კერძობაში იყოს უნაკლო, უცდომელი, რომ, ხშირად სწორე განმარტებას ვერ ვაძლევდეთ ამა თუ იმ სიტყვას, მაგრამ ესრეთი „უსწორობლობა“ აქ დიდ ცოდვად არ მოგვეჩვენება, თუ გვწამს, რომ ჩვენ მიერ დადგენილის თვალსაზრისით საქართველოს და მასთან დაკავშირებულ სომხეთის წარსულისას შესწავლას მოითხოვს თვით ჭემმარიტება. გარნა წინდაწინვე ვგრძნობთ, რომ ჩვენ მიერ მკრთალა გამოხატული ჩვენი აზრი დღეს ბევრს ჭკუაში არ დაუჯდება, მაგრამ პირად ჩვენ გვწამს, მოვა დრო, და იგი უკვე არს, რომ ეს ჩვენი აზრი გაიმარჯვებს სავესებით, სათანადო სიმართლითა და სიმლიერით. ამისთვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა ფრიად

საფუძვლიანი შესწავლა ქართულის ენისა მის კილოებითურთ, რომ ყველა კილო ისე შევისწავლოთ, ვით შეისწავლა მეგრული და აფხაზური მეტად სანდო და კეთილსინიდისიერ მუშაკმა პეტრე ჭარაიამ, ხელში გვექნება უშრეტ-ულეველი წყარო არათუ მარტო ენის, არამედ თვით საქართველოს ისტორიის შესასწავლადაც, ვინაითგან ქართულ ერის უძველესი ისტორია იმდენად მატანებში არ შენახულა, რამდენადაც ენაში დაცულა. გვჯერა, რომ ზედმიწევნითი ცოდნა ქართულის ენისა მის კილოებიანად და აგრეთვე აღმოსავლეთის ძველ ერთა ენებისა არქეოლოგია-ისტორიისა და ლეგენდა გადმოცემების დახმარებით მეცნიერებას მისცემს შეძლებას უარყოს შაბლონურ-დამყაყებელი და უკუღმართი შეხედულობა საქართველოს წარსულზე, ჯეროვანი ნათელი მოჰფინოს მას და ქართველ ერს მიაკუთნოს სათანადო ადგილი და პატივი ისტორია-ცივილიზაციის შემქნელ ერთა შორის.

ასრეთ გამარჯვებას ჩვენ მოველით თითქმის ჩვენს სიცოცხლეშივე და მოველით მაღალნიჭიერ ნიკო მარრისა და მის სკოლისაგან, თუმცა ამ სკოლას ზოგიერთში დღეს ვერ ვეთანხმებით.

მ. ჯანაშვილი.

თხზულებანი და გამოცემანი მ. ჯანაშვილისა.

ა. მწერლობა მათე საუკ.	ფ. 40 კ.
ბ. საუნჯე მათე საუკუნისა ი	„ 20 კ.
გ. შოთა რუსთაველი .	„ 40 კ.
დ. საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი .	„ 1 მან.
ე. ფარს. გორგიჯანიძე და მისნი შრომანი	„ 40 კ.
ვ. საქართველოს გეოგრაფია (ვახუშტისა) .	„ 2 მან.
ზ. Географія Грузіи (მისივე) .	„ 1 მან.
წ. Исторія грузинской церкви.	„ 40 კ.
თ. Царица Тамара .	„ 50 კ.
ი. Грузинскія обитатели ВНБ Грузіи .	„ 25 კ.
ია. საქართველოს ისტორია, ნაწილი I .	„ 1 მან.
იბ. ქართული გრამატიკა .	„ 50 კ.
ივ. ნაშრომი .	„ 20კ.

შ. ნ.: მზადდება დასაბეჭდათ ლექსიკონი მეცხრე საუკუნისა.